## საუბრები „იდიოტთან“

# რუსთველი – სუფია?!

**რედაქციისგან:**

**ერთ თვეზე მეტია, რაც ჩვენმა გაზეთმა სიახლე შესთავაზა მკითხველს რუბრიკით - „საუბრები „ვეფხისტყაოსანზე“ დაიწყო გამოქვეყნება წერილების სერიისა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის შესახებ.**

**პირველივე პუბლიკაციამ (ალ. გვახარია, „ვეფხისტყაოსანის“ აღმოსავლური კომენტარები“), როგორც ჩანს, მკითხველ საზოგადოებაში „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესების ახალი ტალღა ააგორა. ამაზე მეტყველებს რედაქციაში მიღებული არაერთი წერილი და სატელეფონო ზარი, რომლითაც საზოგადოების წარმომადგენლები ახალი რუბრიკისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ.**

**ამ დღეებში რედაქციაში კვლავ გაისმა ტელეფონის ზარი: მოქალაქე გვთხოვდა, ტელეფონით ჩაგვწერა მასთან საუბარი, რადგან რესპოდენტი წინააღმდეგი იყო ვინაობის გამჟღავნებისა.**

**- უკაცრავად, მაგრამ ანონიმურ წერილს ვერ გამოვაქვეყნებთ, – იყო პასუხი რედაქციიდან.**

**– ნუთუ არ გაინტერესებთ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი სუფია გახლდათ? – სრულიად მოულოდნელად „მოგვახალა“ უცნობმა.**

**–???**

**- ალბათ, ფიქრობთ, რომ ეს კიდევ ერთი „ბრალდებაა“ რუსთველის მიმართ. აკი სერიოზული, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები მას ხან მანიქეველად მიიჩნევდნენ, ხან – მაჰმადიანად, ხან კი... ვინ მოთვლის, კიდევ რად!**

**საერთოდ, კატეგორიულობა არ მჩვევია, მაგრამ ჩემი ვარაუდის დასაბუთება, ვფიქრობ, ცალსახად შეიძლება.**

**– რა საბუთი არსებობს?**

- თვით პოემის ტექსტი! მისი პირველივე, თუნდაც ზეპელი, გადაკითხვისასაც კი თვალში მოგხვდებათ სუფიური სიმბოლიკა და უამრავი ტექნიკური ტერმინი, რომლებითაც პირდაპირ „გადაპენტილია“ იგი თავიდან ბოლომდე. აი, მაგალითად: პირველივე სიტყვა, რომელსაც ეკითხულობთ – პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ სიმბოლოთა ენიდან რომ „ვთარგმნოთ“, სუფია-ს ნიშნავს.

**- თუ შეიძლება, უფრო გარკვევით და მწყობრად!**

- თამარის ეპოქის სუფითა ენა არაბული ენა გახლავთ, ის კი კოდირების, „სიტყვებით თამაშის“ დიდ შესაძლებლობას იძლევა. აი, მაგალითად, ცნება „ვეფხვი“ აღინიშნება ძირით ნ მ რ, მაგრამ იმავე ძირით აღინიშნება აგრეთვე „ბეწვის სამოსელი“, რომელსაც სუფიები ატარებდნენ, და „შეუბღალავი ღირსება“ – რაც, სიყვარულთან ერთად, სუფიზმის საფუძველთა საფუძველია.

**- კარგი, ვთქვათ, ვენდეთ თქვენს მსჯელობას და ვირწმენეთ, რომ ვეფხისტყაოსანი, ანუ ტარიელი სუფიაა...**

- უკაცრავად, სიტყვას შეგაწყვეტინებთ: მნიშვნელოვანია, რომ პოემის ავტორია სუფია, ანუ ის, ვინც თავს „რუსთველს“ უწოდებს!

**- და... რა გამომდინარეობს აქედან? რუსთველი რა, ქართველი, ქრისტიანი არ იყო? როგორც ვიცი, სუფიზმი ისლამის ერთ-ერთი სექტა უნდა იყოს!**

- თქვენ ერთდროულად სამი შეკითხვა მომეცით, თავიდან მოვყვეთ.

ჯერ პირველ კითხვაზე გიპასუხებთ:

გარკვეულ მიზეზთა გამო, სუფიები დიდი მისტიფიკატორები იყვნენ. მაგალითად, ერთსა და იმავე პიროვნებას შეეძლო, საჭიროებისდა მიხედვით, „განესახიერებინა“ მრისხანე მეფეც, ბრძენი ვეზიერიც, ვირეშმაკა მასხარაცა (სხვათა შორის, „მასხარა“, აგრეთვე, არაბული სიტყვაა და სუფია-ს აღმნიშვნელ კიდევ ერთ ტექნიკურ ტერმინს წარმოადგენს) და ზანზალაკიანი კეთროვანიც, ყველა რომ სიკვდილივით გაუობნის. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ გარეგანი, ფიზიკური გარდასახვა, არამედ, პირველ რიგში! შინაგანი, ფსიქიური „გადართვა“ „მუშაობის სხვა რეჟიმში“. თავისთავად იგულისხმება, ასეთი რამ ყველას არ ხელეწიფებოდა. მხედველობაში მყავს უკვე გარკვეულ დონეს მიღწეული ინდივიდები...

სუფიებისათვის უცხო არ იყო ლიტერატურული, პოეტური მისტიფიკაციაც, რისი უამრავი მაგალითი მოიპოვება არაბულ და სპარსულ, აგრეთვე, სხვა ხალხების ლიტერატურაში. მიმაჩნია, რომ ასეთივე ლიტერატურული მისტიფიკაციის შედეგი გახლავთ „ვეფხისტყაოსანიც“.

რა შეიძლება დავასკვნათ, აქედან გამომდინარე? ეს ყოველივე, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს – და ნიშნავს ცალსახად! – რომ პოემა შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც იმგვარად, რა სახითაც მოცემულია იგი (ანუ, როგორც ნახევრად ზღაპარი, ნახევრად სარაინდო-სასიყვარულო რომანი), ასევე მეორენაირად, ან იქნებ – მრავალნაირადაც. ერთი სიტყვით, ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს (პირდაპირაც გვეუბნება „დასაწყისში“: „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“-ო) და შემდეგაც, კითხვაში გართულებს, სპეციფიკური ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით მრავალგზის შეგვახსენებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ – სუფიური, ე.ი. მრავალლაზანიანი (ან, თუ გნებავთ – მრავალლაზანტანი) ნანარმოებია.

პასუხი მეორე კითხვაზე: ის, რომ რუსთველი სუფიაა, სრულიადაც არ გამორიცხავს არც მის ქრისტიანობას, და, მით უმეტეს, არც მის ქართველობას. ოღონდ, უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს უფრო სწორად, რას ნიშნავდა იმ დროში „ქართველობა“.

ჩემი აზრით, ეროვნულობის უმთავრესი ნიშანი – მკაფიოდ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული საერთო-სახალხო მენტალიტეტია, ხოლო ინდივიდი, ამ ასპექტში, ფასდება იმით, თუ რამდენად აქვს მას დათავისებული ეს საერთო-სახალხო, ანუ ეროვნული მენტალიტეტი. სხვანაირად იმდროინდელი (და – არა მხოლოდ იმდროინდელი!) „ქართველის“ განსაზღვრისას აუცილებლად ჩიხში მოვექცევით, რადგან საქართველოს მაშინდელ მოსახლეობაში ფიესირდება სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი, საკუთარი სუბკულტურის მქონე უამრავი (ხშირად – მრავალრიცხოვანი) ეთნიკური ჯგუფი: საკუთრივ ქართველები, ებრაელები, სომხები, ოსები, ბერძნები, ყიჩაღები, თურქები, არაბები, სპარსელები და სხვანი. ეს ეთნიკური ჯგუფები არამც და არამც არ წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულ რაღაც დახურულ სისტემებს. პირიქით, ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან, მათ შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა, დანათესავება; ისინი ერთ საერთო-სახელმწიფო ენაზე – ქართულ ენაზე მეტყველებდნენ და – რაც ყველაზე მთავარია! – ისინი ყველანი თანაბარნი იყვნენ კანონის, სახელმწიფოს წინაშე (რა თქმა უნდა, საკუთარი, პირიფონული სოციალური სტატუსის შესაბამისად: უფლებრივად თანაბარნი იყვნენ ქართველი და არაქართველი მდაბიონი, ქართველი და არაქართველი დიდებულები და ა.შ.). ცხადია, ასეთ პირობებში ეს ხალხი ერთგულად ემსახურებოდა თავის სახელმწიფოს, თავის სამშობლო საქართველოს და აქტიური წვლილი შეჰქონდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის აღორძინებაყვავებაში. ამიტომაც არის, რომ დღესაც კი არავის მოუვა თავში აზრად იმის გამოთვლა, თუ რამდენი ეთნიკური ქართველი ან არაქართველი იბრძოდა ვახტანგის, დავითის, თამარის დროშებქვეშ, ქმნდა ხელოვნების შედევრებს, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე იღვწოდა: იმარჯვებდა ქართველთა ლაშქარი, ბრწყინავდა ქართული ხელოვნება, ზეობდა საქართველო...

ერთი სიტყვით, მაშინდელი „ქართველი“ – მე დღევანდელი „საქართველოს მოქალაქის“ შესატყვის ტექნიკურ ტერმინად მიმაჩნია.

სხვათა შორის, წინაადმდეგ შემთხვევაში – ე.ი. თუკი საკითხს გენეტიკური კუთვნილების თვალსაზრისით მივუდგებით – მაშინდელი „არაქართველების“ სიის დაწყება თვით ბაგრატიონებით მოგვიხდება... ამასთან, ეს სია წარმოუდგენლად გრძელიც გამოგვივა. თუმცა, მგონი, საუბრის თემას გადავუხვევ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური კუთვნილების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სუფიზმის, როგორც ასეთის, რაობასთან. ამის შესახებ კი ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად, პასუხი მესამე შეკითხვაზე:

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში სუფიზმი მართლაც ხშირად იწოდება ისლამის ერთ-ერთ სექტად, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. მათი პოზიცია ასეთია: უბრალოდ, სუფიზმი ისლამის ნიაღში განვითარებისთვის ძალზე ხელსაყრელი პირობები ჰპოვა და მასთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საკუთარი ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ამ რელიგიის ბევრი გარეგნული ნიშან-თვისება შეიძინა. ისე კი, სუფიური ტრადიცია მა განიხილავს, როგორც ფენომენს, რომელიც კაცობრიობის დასაბამითგანვე არსებობს. ეს არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ან ჯგუფებისათვის ერთადერთი მისაღები აზროვნებისა და ცხოვრების წესი, რომლისთვისაც არ არსებობს არც გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები, არც ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ჩარჩოები: ყველა სუფია ერთმანეთის მოყვასი, მოყვარე, ძმა და მეგობარია (გავიხსენოთ: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“), ხოლო სიყვარული – ადამიანთა (მით უმეტეს – მოყვარეთა, მოყვასთა, ძმათა და მეგობართა) თანაცხოვრების აუცილებელი პირობა და უმთავრესი ატრიბუტი გახლავთ. მისი დევიზია: „გული მივცეთ გულისათვის, სიყვარული – გზად და ნიდად!“

სუფიზმი, თავისი არსით, ანტიდოგმატური მოძღვრებაა, მაშინ, როცა ყველა ფორმალური რელიგია – იქნება ეს ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, თუ სხვა – პირველ რიგში, როგორც ცნობილია, გარკვეულ დოგმათა კომპლექსს, დოგმატს ეყრდნობა.

თვითსრულყოფის ცალკეულ საფეხურებზე, სუფია, რა თქმა უნდა, იყენებს გარკვეულ „აქსიომებს“, ანუ ისეთ პირობით ჭეშმარიტებებს, რომელთაც დამტკიცება არ სჭირდებათ, რათა, მათზე დაყრდნობით, შეძლოს შესაბამისი „თეორემების“ „ამოხსნა“, ანუ მიმდინარე თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაძლევა. მაგრამ, როგორც კი იგი ამ საფეხურზე ამაღლდება და შემდეგის დასაძლევად მომწიფდება, მის მსოფლმხედველობაში ეს „აქსიომები“ „თეორემებად“ ტრანსფორმირდება და საჭირო ხდება – ახლა უკვე მათ „დასამტკიცებლად“! – „აქსიომათა“ ახალი სისტემა.

ეს პროცესი გრძელდება დაუსრულებლად – თვითსრულყოფის ბოლოს წინა საფეხურის ჩათვლით.

სრულყოფის ბოლო საფეხურზე, ანუ „მწვერვალზე“ ასული სუფია აღარ საჭიროებს აღარანაირ „აქსიომებს“, ანუ პირობით ჭეშმარიტებებს, რადგან იგი უკვე ებსოლუტურ ჭეშმარიტებას დაეუფლა, უფრო ზუსტად – ეზიარა და თვით შეერწყა მას, ანუ სრულყოფილი, „სრულქმნილი ადამიანი“ გახდა...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, რომ სუფია – თუკი ის მართლაც სუფიაა და თავს არ იტყუებს! – ვერ იქნება ორთოდოქსალური აღმსარებელი ერთი რომელიმე რელიგიისა, ჩვეულებრივი გაგებით. სწორედ ამიტომ, სუფიები იდევნებოდნენ ყველა ფორმალური რელიგიის მიერ, როგორც მნვალებლები, ერეტიკოსები და აქედან გამომდინარეობს მათი მიდრეკილებაც მისტიფიკაციებისადმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რელიგიური მიმიკრიისადმი“.

**- გამოდის, რომ სუფიები – ათეისტები არიან?**

- პირიქით: ერთადერთი, რაც მათ ცალსახად სწამთ – ღმერთის არსებობაა. ამდენად, მათთვის კაცობრიობა იყოფა (ძალზე პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა!) არა ურთიერთდაპირისპირებულ ქრისტიანებად, მაჰმადიანებად, იუდეველებად და, თუ გნებავთ, კომუნისტებად (ორთოდოქს კომუნისტებად, რომელთაც აქვთ საკუთარი რელიგია – მეცნიერული კომუნიზმი, ჰყავთ თავისი წინასწარმეტყველნი – მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი), არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, მორწმუნენად და ურწმუნოებად, ამასთან „მორწმუნე“ მათთვის სულიერად ჯანსაღი ადამიანის სინონიმია, „ურწმუნო“ კი... გასაგებია, ალბათ!

**- თუ თქვენი ვარაუდი სწორია და რუსთველი სუფიაა; ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ სუფიური ტრაქტატი...**

- არა მარტო! ჩემი აზრით, ის არის სარაინდო-სასიყვარულო რომანიც, ფილოსოფიური თხზულებაც, რა თქმა უნდა – სუფისტური ტრაქტატიც და... ისტორიული მატიანეც: პოემის მთავარი გმირები ისეთივე რეალური ისტორიული პირები არიან, როგორც მისი ავტორი. ისინი, ყველანი, ერთი წრის წარმომადგენლები არიან და კარგად იცნობენ ერთმანეთს. სხვა ამბავია, რომ მათი პერსონიფიცირება წინასწარგანზრახვით გაძნელებულია ჭეშტრის მიერ. რუსთველი, მისივე აღიარებით, გარკვეული რისკის ფასად, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის არა მარტო საკუთარ (და იქნებ, არა მხოლოდ საკუთარ!) სუფიისტურ მრწამსს, არამედ აღწერს თავის თანამედროვე გვირგვინოსანთა ცხოვრების ის მონაკვეთს, იმ სფეროს, რომელიც ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო გაშუქებული. რუსთველი აქაც ორიგინალურია: იგი იძლევა არა მშრალ, ზეადპირულ, „მიუკერძოებელ“ აღწერას პიროვნებებისას და მოვლენებისას, არამედ ძალზე ემოციურად, თვითმხილველის გატაცებით გვიხატავს რელიეფურ, ცოცხალ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტებს თავისი გმირებისას. ამდენად, ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ ფსიქოლოგიური რომანიც შეგვიძლია ვუწოდოთ.

**- ამრიგად...**

- იქნებ, შეგეგესვენა? და თუ თქვენი და მკითხველის ნებაც იქნება, სხვა დროს განვაგრძოთ ჩვენი საუბარი?

**- კეთილი. მაგრამ კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაგვაწოდოთ თქვენი ვინაობა, ფსევდონიმი მაინც შემოგვთავაზეთ, რათა მკითხველს ნარეკუდგინო თქვენი თავი!**

- დოსტოევსკის თავადი მიშკინი ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირია. შეგიძლიათ, „იდიოტი“ მიწოდოთ – სულაც კი მეჩოთირეობა. პირიქით, პატივადაც ჩავთვლი. ნამდვილ სახელს კი, მაპატიეთ და არ გაგიმხელთ: წყნარ ცხოვრებასა და ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებ.

თუკი თქვენი მკითხველი დაინტერესდება, საუბრის გაგრძელებაზე უარს არ გეტყვით და თქვენ გახდებით ავტორი პირველი ქართული საგაზეთო სანინის ოპერისა „საუბრები“ იდიოტთან“! თანახმა ხართ?

**- მომხიბვლელი იდეაა, როგორ დაგიკავშირდეთ?**

- თავად შეგეხმიანებით; ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ჩემო ბატონო!

# სუფისტური სიმბოლიკა

**– მაშასადამე, თქვენ ამტკიცებთ, რომ რუსთაველის უკვდავი პოემა სუფიათა საიდუმლო ენაზეა დაწერილი და ამის შესახებ ავტორი სათაურის მეშვეობით („ვეფხისტყაოსანი“) გვაყოობინებს?**

– უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სათაური თვითგაშიფრავდი სიტყვაა. გასაშიფრად ჩვენ მოვიშველიეთ არაბული ენა, რომელიც XII საუკუნეში ისევე, როგორ უცხო საქართველოს ტერტორიაზე, როგორც სუფიზმი.

ისღა დაგვრჩენია, ეს გასაღები „საკეტს მოვარგოთ“, გადავატრიალოთ და ერთად შევაღოთ „ჯადოსნური კარიბჭე“.

**– და ეს „ჯადოსნური კარიბჭე“, ალბათ, „პროლოგია“, არა?**

– დიახ, მაგრამ არ ვიცი, რამდენად იქნება შესაძლებელი ახლა მისი საფუძველიანად განხილვა, რადგან ის, ფაქტობრივად, რეზიუმეა მთელი პოემისა: მასში ავტორი მოკლედ ეხება ყველა იმ პრობლემასა თუ საკითხს, რომლებიც შემდეგ, ტექსტში, ფართოდაა გაშლილი და გაშუქებული.

თავიდან მოვყვეთ:

როგორც მთლიანად პოემა, ისე პროლოგიც, ერთი შეხედვით, იმ დროში მიღებულ „სტანდარტულ თარგზეა გამოჭრილი“. ეს გულისხმობს, სხვათა მოძღვრებაში, იმასაც, რომ, უპირველეს ყოვლისა, ავტორმა ღმერთს უნდა შესთხოვოს შემწეობა წამოწყებულ საქმეში.

რუსთველი ასეც იქცევა, მაგრამ როგორ აკეთებს ამას? იგი არსად არ ახსენებს წმინდა სამებას – არც „პროლოგში“, არც მომდევნო, ძირითად ტექსტში – არსად!

სწორედ ეს იყო უპირველესი ეჭვი და პრეტენზია მის მიმართ ყველა დროში და ათასგვარი გამოსაგონის საბაბიც. მაგრამ აქ საქმე სულ სხვა რამეშია: ჩვენს ავტორს მხოლოდ ასე უნდა დაეწერა.

**– იმიტომ, რომ სუფია იყო?**

– ამ ფაქტორის მთლიანად უგულვებელყოფა, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ უნდა ყოფილიყო მთავარი: სუფიებს არა სწევეთათ ღია კარის მტვრევა, და ისიც – საკუთარი თავით! მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ აბსოლუტურად მცდარია „მეცნიერული“ მოსაზრება, თითქოს რუსთველი სამეფო კარის პოეტი იყო, ანუ „ოქროს გალიაში გამოკეტილი უნყინარი ბულბული“, რომელიც ისეთ ეგზალტაციაში ჩააგდო საკუთარმავე ჭიკჭიკმა, რომ ღმრთის სწორი, წმინდა სამების მეოთხე იპოსტასად შერაცხული საკუთარი მბრძანებლის შეყვარება გაბედა!

არა, ბატონო, ავტორი არ გახლავთ სამეფო კარის, ანუ პროფესიონალი პოეტი, რომელსაც საკუთარი ხელოვნება პროფესიად, ე.ი. თავის თავისი და ოჯახის საარსებო წყა[illegible] გაუხდია.

ეს კაცი პროფესიონალი სხვა საქმეში გახლავთ: იგი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი და დიდი სახელმწიფო მოხელეა, ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსი, და ყველა მისი აზრი, სიტყვა თუ საქციელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მისი კეთილდღეობის სურვილითაა ნაკარნახევი.

თუმცა „სურვილი“ აქ მთლად ის სიტყვა არაა, რომელიც სრულად გამოხატავს სათქმელს: არსებობდნენ და, იმედია, ჯერაც არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც პატრიოტიზმი არა თუ არ არის ლტონი სიტყვა, არამედ ქვეყნის, სახელმწიფოს სამსახური – მათი არსებობის ერთადერთი გამართლება – ცხოვრების აზრი და მიზანიცაა, მათი ცხოვრების წესიაა! ისინი გასცემენ ყველაფერს, რაც კი რამ აქვთ – საკუთარი ღირსებისა და პატიოსნების გარდა – მითუმეტეს, რომ სახელმწიფო სამსახური არც მოითხოვს მათგან ამას. სწორედ ამგვარი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

**– დავუშვათ, პოლიტიკოსია რუსთაველი. რა კავშირშია ეს წმინდა სამებასთან?**

– პირდაპირში! ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და აღმსარებლურ სიჭრელეზე: იგი თუ არ სჭარბობს, არც არაფრით ჩამოუვარდება ახლანდელს! მთელ ამ ხალხს სამი რამ ჰქონდა საერთო: ენა (სახელმწიფო ენა – ქართული), მამული (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და სარწმუნოება... მონოთეიზმი, ანუ ერთი ღმერთის რწმენა-აღიარება! სწორედ ამ საერთოს, ამ გამაერთიანებელ პრინციპს არ უნდა მისდგომოდა ჩრდილი და, პრინციპში, არც მიადგა: თუკი ქრისტიანს შეიძლება გაუწნდეს ზემოთ აღნიშნული პრეტენზია პოემისა და მისი ავტორის მიმართ, ასევე შეიძლება გაუწნდეს მუსულმანსაც (არ დაგვავიწყდეს: ისიც „ქართველია“, ე.ი. საქართველოს მოქალაქეა!), რადგან არც მოპამედია ამ კონტექსტში სადმე ნახსენები და არც ალლაჰი; იუდეველსაც – არ ახსენებს იაჰვეს, ან ადონაი – უფალს, და ა.შ. და ა.შ.

სამაგიეროდ, იგი მოიხსენიებს და არა ერთხელ ერთ ღმერთს („ჰე, ღმერთო ერთო!“), რომელიც ყველა ამათთვის საერთოა და რომლის საწინააღმდეგო არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს („კერპთაყვანისმცემელთა გარდა, რომლებიც ამ დროისათვის, ალბათ, ერთეულები თუა სადმე შემორჩენილი). ამდენად, გარკვეული ნეიტრალური დამკიდებულების პირობებში, ვერც ერთი კონფესიია ვერ აუკრძალავდა და ვერ უსაყვედურებდა თავის მრევლს მისი პოემის ნკაითხვას და იგეს (პოემა) საერთო-ეროვნულ საკითხავად იქცეოდა, რაც, მართლაც, აღსრულდა კიდეც (ვფიქრობ, იმავე მიზანს ემსახურებოდა თითქმის ყველა ქართული დიალექტის, აგრეთვე სომხური, ებრაული, არაბულ-სპარსული ლექსიკის ფართო გამოყენებაც!). უფრო მეტიც: მე თუ მკითხავთ, „ვეფხისტყაოსანი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც კი იქცა!

– საინტერესო მოსაზრებაა!

– ამაშია მისი დიდი ძალა და დიდი მნიშვნელობაც, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპეკტში მაინც!

**– თქვენი მოსაზრებები, გარდა იმისა, რომ უცნაურია, ბუნდოვანების შთაბეჭდილებასაც ტოვებს...**

– კიდევ ერთი „ბუნდოვანი“ და „გაუგებრობის“ წარმომშობი ფრაზა: „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასაჭანისა“! თუ „მიჯნურთა სურვილს“, „მიჯნურობას“, რომელსაც არაერთხელ ეხება ჩვენი ავტორი, ჩვეულებრივი, მინიერი (მატერიალისტური!) პოზიციიდან განვიხილავთ, ხელთ შეგვრჩება პრიმიტიული სექსუალური მისწრაფებები და სხვა არაფერი.

მოდით, გამონაკლისის სახით, ერთი ავტორიტეტი მოვიშველიოთ: „აქ იხილეთ, კაცნო, თუ სიძვაზედ რამ იყოს: რა სახოვარია, სიკუდილამდი – **ქრისტეს მცნობისა და ამ ბვარის ფილასოფოსის კაცისაგან – მრუშება!“**

და კიდევ:

„აქ აჩენს – მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძესო. **თუ ქალის მიჯნურობისათვის ეოქვას, – ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს!** მაგრამ უბნობს: მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო და დიდი სამძღვარი ძესო, და გეზვეწებათ: ამ ჩემს ნათქვამს ნიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურავინ გახდიო, რომ იმაზე არ მოიქვამოო“, და. ა.შ., და ა.შ.

ეს – ვახტანგ VI-ა, მეფე-პოეტი, დიდი მწიგნობარი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური ნუსხით გამომცემელი და კომენტატორი. ქვემოთ იგი თავს ვერ იკავებს და ნამდვილი რუსთველური სარკაზმით ამბობს: „ხამს მიჯნური ხანიერი: ეს გასინჯეთ: თუ ქალის მიჯნურობაზედ ეოქვასს – ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი. მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრნეს!“

ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია და იმაზე უკეთესადაც, ვიდრე მე შევძლებდი.

ერთს დავამატებდი მხოლოდ: მიჯნური (უფრო ზუსტად „მაჯნუნ“, რომელიც „ხელსა გვიქვიან არაბულითა ენითა“) – კიდევ ერთი ტექნიკური ტერმინია, „სუფია“-ს აღმნიშვნელი!

**– განა რამდენი ასეთი ტერმინი არსებობს?**

– უამრავი. კონტექსტს გააწია! თუ ფრინველთა სამყაროში „მოვხედით“, აქ ოფოფს უნდა მოველოდეთ (ბულბული – „ეგზალტირებული“ სუფიაა!), ან – ბუს; ცხოველთა სამყაროდან: ვეფხვი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, აქლემი, ყარყუმი და ა.შ.; მცენარეებიდან სუფიზმის სიმბოლოებია: ა) ფინიკის პალმის ხე (სემიტებთან); ვაზი (სპარსეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის სამხრეთში); მანდრაგორის ბუჩქი (ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში) და ა.შ.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ესეც ვთქვათ, ბარემ: იცით, როგორაა ძველებრაულად ფინიკის პალმის ხე? – თამარ!

**– ???**

– დიახ. და იმასაც გეტყვით, რომ ძველად ახალშობილისათვის სახელის შერჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ათასნაირი გათვლა-გაანგარიშების საფუძველზე ახდენდნენ: აქ შემთხვევითობა თითქმის გამორიცხული იყო – სახელი რაღაც აზრის, მნიშვნელობის მატარებელი უნდა ყოფილიყო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში!

– საქართველოში არაბთა შეოჭრისთან ერთად სუფიზმის ახალი ნაკადიც შემოვიდა (ჩვენს სამშობლოში ადრეც არსებობდა გარკვეული ტრადიცია, მაგრამ მოგვიანებით ვილაპარაკოთ ამაზე, თუკი დრო დაგვრჩება საამისოდ) და დამკვიდრდა არაბულ ენასთან ერთად. ქართველებმა მას საკმაოდ სწრაფად აუღეს ალღო (როგორც ეს არაერთხელ მიმხდარა მანამდეც და მას შემდეგაც, როცა, ნებსით თუ უნებლიეთ, გვიხდებოდა ურთიერთობა ახალ, გარედან შემოტანილ რელიგიურ-ფილოსოფიურ თუ იდეოლოგიურ მოძღვრებებთან. გავიხსენოთ, თუნდაც, რა სიმაღლეებს მიაღწიეს ჩვენმა თანამემამულეებმა სოციალურ-დემოკრატიულ მოძღვრობაში, როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ მიმდინარეობებში!) და, როდესაც საამისო აუცილებლობა შეიქნა, საკუთარ ინტერესებშიც გამოიყენეს იგი: დაკით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში სუფიზმის თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგშია აყვანილი!

**– ძალიან ხომ არ შევტოპეთ?**

– უნდა ვაღიარო, საკმაოდ სარისკო განცხადებაა, მაგრამ, როდესაც დავასრულებთ, თვითონვე ნახავთ, რა ლოგიკურობით ებმის ერთმანეთს ყველაფერი!

ახლა კი ის გავიხსენოთ მხოლოდ, რაც უცილობელი ფაქტებია და ისტორიული წყაროებით დასტურდება:

ა) დავით IV ისევე დადიოდა მეჩეთსა და სინაგოგაში, როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, და ეს სულაც არ ყოფილა უბრალო პოპულიზმით ნაკარნახევი: იგი სწავლობდა!

ბ) სხვა დანიშნულების ობიექტებთან ერთად იგი უამრავ ხანაგებსაც აშენებდა (ხანაგა – ფუნდუკია, რუსულად постоялый двор-ს რომ ეძახიან. სუფიური ტერმინოლოგიით კი ხანაგა – სუფიათა სავანეს ნიშნავს!)

გ) სახელმწიფო მმართველობის აპარატში მან შემოიღო მოძღვართმოძღვრის თანამდებობა („სახელო“), და ამ თანამდებობაზე მყოფი პირი, როგორც ჩვენი ისტორიული მეცნიერება ერთხმად აღიარებს, პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, თვით მეფის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვაბნიოს ამ „სახელოს“ ქართულმა დასახელებამ. ეს ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკურად მომძლავრებულმა დავითმა უარი თქვა ყველა ბიზანტიურ ტიტულსა და თანამდებობაზე და საკუთარ მოხელეთა „სახელოებიც“ გადმოაკარაფულა: „მსახურთუხუცესი“, „მანდატურთუხუცესი“, „მეჯინიბეთუხუცესი“, „მეღვინეთუხუცესი“ და ა.შ. „მოძღვართმოძღვარი“ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და ზუსტი შესატყვისია არაბული „შეიხ-ალ-შეიხ“ (უფრო ზუსტად, შეიხ – ამ შუიუხ-ისა, რაც ასევე სუფიური კატეგორიაა, და უმაღლეს იერარქს აღნიშნავს.

თვითონ „სახელო“ მოძღვართ-მოძღვრისა, ვფიქრობ, შეესაბამებოდა გვიანდელ „ეროვნებების (და/ან ელიგიების – იდ.) საქმეთა სახალხო კომისრის“ თანამდებობას, რომელიც ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველ მთავრობაში ეკავა კიდევ ერთ ქართველ სუფიას – **იოსებ ჯუღაშვილს!**

**– საოცარ ამბებს გვიყვებით! წარმოუდგენელ კატეგორიებს აკავშირებთ ერთმანეთთან...**

– ... დიახ, ისე გავცდით მეს ენი საუბრის ძირითად თემას! იქნებ მომავალში გავაგრძელოთ?

**– როგორც ინებებთ.**

ავტოპორტრეტი

# ახალგაზრდებს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ საინტერესო წლების გატარება

*ჯანაწყვეტილი პირველ გვერდზე*

ერთმანეთში აღრევა. მთავარი ის გახლავთ, რომ ელემენტარული სკოლის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების მეორე ეტაპისათვის, მეორე ეტაპის შედეგებს – შემდგომი ეტაპისათვის. ელემენტარული სკოლიდან ვერცერთი შემთხვევაში ვერ მოხვდები კარგ „ჯუნია ჰაი სქულში" (მეორე ეტაპის სკოლა), თუ არ გაქვს უმაღლესი აკადემიური მოსწრება, დაბალი დონის „ჯუნია ჰაი სქულის" დამთავრების შემდეგ ვერ ჩაირიცხები მაღალი დონის „ჰაი სქულში" და ბუნებრივია, ვერ ჩააბარებ მაღალი დონის უნივერსიტეტში. ეს არის ერთიანი, გადაბმული ჯაჭვი, რომელიც მთლიანობაში რიგიან ცოდნას იძლევა.

* იაპონურ სკოლაში მომზიდლა, აგრეთვე, იქ გამეფებულმა დისციპლინამ. ბავშვს რომ სკოლაში უშვებ, ის აბსოლუტურად დაცულია ნიფუთისგან. სკოლაში ვერ გაიგონებ ფრაზას „გაკვეთილი ცდება", ან „გაკვეთილი გავიცდინე". დაწყებით კლასებში დიდი დრო ეთმობა ხელოვნების სწავლებას. ჩემი შვილი დაეუფლა ფორტეპიანოზე, ფლეიტასა და ვიოლინოზე დაკვრის საფუძვლებს. გარდა ამისა, ყოველდღე უტარდებოდათ ხატვის გაკვეთილები. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპორტულ აღზრდასაც. ფორმიანი მოსწავლე იაპონიაში ბევრი პრივილეგიით სარგებლობს. ჩვენში სკოლის ფორმა ბევრს დოგმად მიაჩნია, მაგრამ, ვფიქრობ, ის გარკვეულ განწყობას უქმნის მოსწავლეს.

* საყვედური არ მეთქმის იმ სკოლის მიმართ, სადაც ჩემი შვილები სწავლობენ. ეს არის ჩვეულებრივი სკოლა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს განათლების სისტემის სტანდარტებს, მაგრამ რამდენად გვაკმაყოფილებს ეს სტანდარტები ჩვენ?

არ ვიცი, რა მდგომარეობაა ამ მხრივ კერძო სკოლებში, მაგრამ სახელმწიფო სკოლებში თვალშისაცემია კლასში ბავშვების დიდი რაოდენობა. არ შეიძლება ერთ საკლასო ოთახში 55-60 მოსწავლე იჯდეს. ბავშვის ესთეტიკურ აღზრდას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ვფიქრობ, დროის დინებას უნდა მივსდიოთ. სასურველია, მაღალ კლასებში დამატებითი საგნების სწავლება (ფსიქოლოგია, სამართალი, სოციოლოგია). ეს ისეთი საგნებია, რომლებიც ბავშვს გაუფარფოფებს თვალსაწიერს და სხვა საგნებსაც ახალი კუთხით დაანახებს.

* მასწავლებლების კვალიფიკაცია დღეს სერიოზულმა აუცილებლობას წარმოადგენს. ირგვლივ უამრავი რამ იცვლება და ბავშვები აქტიურად უნდა მოვამზადოთ ახალი ცხოვრებისთვის. ის მენტალიტეტი, რომელიც 10–15 წლის წინ ჰქონდა პედაგოგს, დღეს ვარგისად ვერ ჩაითვლება.

* მომხრე ვარ, შეიქმნას ალტერნატიული სახელმძღვანელოების სისტემა და აქ, პირველ რიგში, კვალიფიციურ პედაგოგს უნდა ვენდოთ, რომელმაც არჩევანი თავად უნდა გააკეთოს. დღესდღეობით, საერთო ჯამში, სკოლებში ურიგო სახელმძღვანელოები არ არის, მაგრამ რაც მეტი არჩევანი გვექნება, მით უკეთესი.

* ორი წლის მანძილზე ვკითხულობდი ლექციებს იაპონიის ქალაქ ოსაკას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიწვეული ვიყავი, სამეცნიერო-კვლევითი შუამობის ჩატარების მიზნით, დოკუმენტის თანამდებობაზე. ცხადია, ამ გარემოებამ საშუალება მომცა, ახლოდან დავკვირვებოდი იაპონიის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის ცხოვრებას. მახსოვს, პირველი გაოცება გამოიწვია დისტანციამ, რომელიც იაპონიაში სტუდენტსა და ლექტორს შორის არსებობს. სტუდენტის მონიწება და პატივისცემა ლექტორის მიმართ ძალიან დიდია. იაპონელი სტუდენტი გამოირჩევა თავისი მონესრიგებულობითა და სიბეჯითით. მისი სურვილი, დაეუფლოს მაქსიმალურ ცოდნას უნივერსიტეტის კედლებში, ძალზე საცნაურია. ასეთივე ენთუზიაზმს ვისურვებდი ჩვენი სტუდენტებისთვისაც.

საინტერესოა, თუ რამდენად საჭიროა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ამ რაოდენობის უმაღლესი სასწავლებლების არსებობა, ან რამდენაც ითვისებს ქვეყანა ამდენ უმაღლესდამთავრებულს? გადასინჯვა იმისა, თუ რამდენად აკმაყოფილებს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებელი თავის სტატუსს, ურიგო არ იქნება.

ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს უმაღლესში მისაღები გამოცდების სისტემა. უმაღლესში ჩარიცხვა, ალბათ, მრავალი კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს. მისაღები გამოცდების ჩვენთან შექმნილი ციებცხელების ნაცვლად, უპრიანი იქნებოდა მისი ლოგიკური სისტემატიზება.

* ზოგადად, დღეკანდელ თაობაზე პოზიტიური აზრი მაქვს. ახალგაზრდებს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ საინტერესო წლების გატარება. ისინი უთუოდ ნიჭიერები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად არა აქვთ ეკონომიკური შესაძლებლობა, დასახული მიზანს მიაღწიონ. ეს ჩვენი ცხოვრების სოციალური მხარეა. ახალგაზრდული ნიჭისა და ენერგიის რეალიზების საუკეთესო მაგალითის თანამედროვე ქართული ლიტერატურული ფენომენი წარმოადგენს. დღეს ქართულ მწერლობაში საინტერესო პროცესები აღინიშნება. თავს უფლებას მიცემენ და რამდენადმე განვაზოგადებ ამ მოვლენებს. თუ დავაკვირდებით XX საუკუნის 10–30-იან წლების ქართულ ლიტერატურას, შევნიშნავთ, რომ, თავისი სულისკვეთებით და პათოსით, იგი ჩაბმულია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში. ამ პერიოდის შემდეგ ისადგურებს ერთგვარი შეჩერების ხანა, რომელიც იდეოლოგიური კაბალით არის განპირობებული და იმუღებით მიმართულებას სძენს ლიტერატურას. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულმა ლიტერატურამ აანაზღაურა დანაკლისი და სერიოზულად ერთვება მსოფლიოს ლიტერატურულ სამყაროში მიმდინარე პროცესებში. პოეტებისა და მწერლების ახალი თაობა აქტიურად ამკვიდრებს საინტერესო სტილისტურ და ჟანრულ სკოლებს. ჩემი სიმპატიები თანამედროვე მწერლებიდან აკა მორჩილაძისაკენ იხრება.

* რაც შეეხება ჩემს ახლანდელ მოღვაწეობას, მოგახსენებთ: 1994 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე „ მხატვრული დროის და სივრცის პრობლემები XIX საუკუნის რეალისტურ ლიტერატურაში". ამ მიმართულებით დღესაც ვვარძელებ მუშაობას, ამჟამად ჩემი ინტერესი მხოლოდ ქართული ლიტერატურით არ შემოიფარგლება, არამედ – იაპონური, ევროპული და რუსული ლიტერატურებით. კონკრეტულად ვმუშაობ თემაზე: „მხატვრული დროისა და სივრცის ჟანრულ-კომპოზიციური ფუნქცია XX საუკუნის ლიტერატურაში". ჩემთვის მნიშვნელოვან ბოლოდროინდელ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს წიგნი „იაპონური დღიურები", რომელიც იაპონიაში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებების კვალდაკვალ დავწერე.

გამოხმაურება

**ნოდარ ნათაძე**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

# უცნობი რესპონდენტის პასუხად

მოგახსენებთ ჩემს აზრს თქვენ მიერ აღძრულ საკითხზე, თუმცა სუფიზმის სპეციალისტი არ გახლავართ.

„ვეფხისტყაოსნის" და სუფიზმის მიმართებაზე დღესდღეობით ორი მეტაკალეგად მყარი დებულება არსებობს. **პირველი:** პოემის პროლოგში (სტრ.22) ნახსენები „მიჯნურები", რომელთაც „საღმრთო სიახლე" აქვთ და „დაშვრებიან აღმაფრენითა", საფიქრებელია, სუფიები ანუ მუსლიმანი მისტიკოსები არიან.

**მეორე:** ვახტანგ VI-ის უაღრესად ხელოვნური კომენტარი „ვეფხისტყაოსნზე", რომელიც პოემაში აღწერილ მიჯნურობას „საღვთოდ თარგმნის", ანუ იგი ესმის როგორც ღვთისადმი მისტიკური სწრაფვის გამომხატველი ალეგორია, სტიმულირებულია იმით, რომ სპარსულ პოეზიაში ტრფიალის გამოხატვა და მის მიღმა, ალეგორიულად ღვთისადმი მისწრაფების გულისხმობა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. მეფე-პოეტს აქ უნდა, რომ ესოდენ მოხერხებული მეთოდი კეთილმსახურების გამოხატვისა და ქადაგებისა – სასიყვარულო პოეზიის მისტიკიურ ალეგორიად ინტერპრეტაცია – უცხო რელიგიის მიმდევართა მონოპოლიაში დატოვოს (ეს კ. კეკელიძის აზრი გახლავთ). თავისი მისტიკური კომენტარით იგი ეჯიბრება მუსლიმან მისტიკოსებს.

„ახალ განათლებაში" გამოქვეყნებული სტატიების ავტორი, რესპონდენტი, რომელმაც ფსევდონიმად „იდიოტი" აირჩია, ამ ორ ცნობილ დებულებას ვერაფერს ამატებს, როგორც დასაბუთებულ თეზისს. რაც შეეხება **კითხვის დასმას**, მე მგონი, ასეთად მის ნაწერში შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის აზრი, რომ, რაკი სემატური ძირი „ნმრ" ვეფხვსაც აღნიშნავს და ზალის ტანსაცმელსაც, რასაც სუფიები ხმარობდნენ, ვეფხვის ტყავის ცმაც შეიძლება სუფიზმზე მიუნიშნებად ჩაითვალოს. **მე არ ვიცი** არის თუ არა ძირი „ნმრ" მართლაც ამ მნიშვნელობათა მატარებელი ( მახსოვს მხოლოდ, რომ ამ ძირზე აკადემიკოს მ. წერეთელს ჰქონდა ყურადღება მიქცეული „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით), მაგრამ, თუ ნიშნავს კიდევ, ეს ჯერ კიდევ არ მოასნავებს, რომ პოეტს ტარიელი სუფიად ჰყავს ნაგულისხმევი, ან რმა კავშირს ხედავს თავის თემასა და სუფიურ მოძღვრებას ან პრაქტიკას შორის.

რესპონდენტს მრავალი შეცდომა აქვს. წინააღმდეგ მისი მტკიცებისა, რუსთაველი **სამებას ახსენებს,** თუმცა მინიშნებით ( „ერთარსებისა ერთისა") (სტრ. 845. ზედსართავი „ერთარსება" სამების ატრიბუტი გახლავთ); არ არსებობენ, რამდენადაც ვიცი, არამუსლიმანი სუფიები; არ არის მართალი, რომ სიტყვებში – „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია" – პოეტი გულისხმობს რაიმე სხვას, თამარის ქების გარდა; წინააღმდეგ ავტორის აზრისა, სუფის „ქართველობა" ფეოდალურ საქართველოში ძნელი წარმოსადგენია. შეუძლებელია, ავტორთან ერთად, იმის თქმა, რომ დავით IV „ ისევე დადიოდა მეჩეთსა და ეკლესიაში, როგორც სინაგოგაში" (ეკლესიაში იგი **სალოცავად** დადიოდა, მეჩეთსა და სინაგოგაში კი არა).

ის, რომ ქრისტიანობაც, ისლამიც და იუდაიზმიც მონოთეისტური რელიგიებია, არ ნიშნავს, რომ ამით რბილდება მათი შეუთავსებლობა მათაღმსარებელთა თვალში.

სუფიზმი არის **ისლამური მისტიციზმი** – მისწრაფება ღმერთთან შერწყმისა, მისკენ სწრაფვაში საკუთარი მეობისა და თვითცნობიერების დაკარგვისა – არც მეტი, არც ნაკლები. ყველაზე მარტივი საშუალება საამისოდ არის თავის გაბრუება დერვიშებში ცნობილი „ბზრიალა ცეკვით", ყველაზე ამალლებული – მაღალი პოეზია ჯალალედინ რუმისა, ნიზამისა, ჯამისა და მრავალი სხვისა. (თითქმის ყველა დიდი სპარსელი პოეტი სუფი გახლავთ). სუფიზმის ფილოსოფიური ბაზა ნეოპლატონიზმია (III ს. ქრისტეს შემდეგ). სიტყვა „სუფის" ორი ძირითადი ახსნა არსებობს. ერთს იგი გამოჰყავს ბერძნული „სოფოს"-იდან ( „ბრძენი"), მეორეს – არაბული სიტყვიდან, რომელიც შალის უხეშ სამოსს აღნიშნავს. დიდძალი ევროპული ლიტერატურიდან, რაც სუფიზმის შესახებ არსებობს, შეგვიძლია დავასახელოთ ედვარდ ბრაუნის, ნიკოლსანის, არბერის, მასინიონის გამოკვლევები (ეს ჩამონათვალი მეტნაკლებად შემთხვევითია. სპეციალისტი, რა თქმა უნდა, შეუდარებლად მეტს დაგისახელებთ). აქ დაფიქსირებულია სუფიზმის თეორიული საფუძვლები, მის მიერ აღიარებული პრინციპები, მისი სულისკვეთება, სუფიების ცხოვრების პრაქტიკა, სუფიური პოეზიის სტილი და მენტალიტეტი. დასახელებულია ძალიან მარავალრიცხოვანი სიმბოლოებიც ანუ საგანთა სახელები, რომლებშიც სუფი, როგორც ხელდასხმული ანუ საიდუმლოს ზიარებული (ბერძნულად – „მისტი"), ალეგორიულ აზრს დებს (იხ. პირველ ყოვლისა Arberry, Sufiism), თუმცა ეს სრულებითაც არა ნიშნავს, რომ ყველა ლიტერატურულ ქმნილებაში, სადაც ამ ყოველდღიურ საგანთა ხსენება გვხვდება, ამ სახელებში ალეგორიული (მისტიკური) აზრი დევს და ამიტომ შეგვიძლია მათში სუფიზმი დავინახოთ. სუფიური შეხედულებების გადმოცემაში რესპონდენტი მათ ფრიად განსხვავებულ სახეს ხატავს, ვიდრე ისაა, რასაც ზემოხსენებული მკვლევარები ხატავენ. მისი მსჯელობა, ჩემი აზრით, უფრო საინტერესო იქნებოდა, იგი რომ წყაროს უთითებდეს, საიდანაც მისი ცნობები მომდინარეობს.

მე, პირადად, როგორც „ვეფხისტყაოსნის" მკვლევარს, ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პოემის, მისი ძალიან მკაფიო სიუჟეტური და მხატვრული სტრუქტურის მიღმა („ვეფხისტყაოსანი" პოეტური ენის ყოვლისმომცველ გამოყენებით დაწერილი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური **რომანი** გახლავთ) არის კიდევ რაღაცა ეზოთერიული – შინაარსობრივი სტრუქტურა (დავიმოწმებ ზ. გამსახურდიას და ც. ინნკირველის მუშაობას ამ თემაზე), მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ მისი ამოცანობა ოდესმე მოხდება, რადგან ის ეზოთერული მოძღვრებები, რომელთა კვალი „ვეფხსტყაოსანში" **იგრძნობა,** ალბათ, საუდმამოდ დაკარგულია. ბატონ „იდიოტი" – ის ინტერესი ამ თემისადმი ბუნებრივია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მის მიერ დანახული „თანხვედრები" („ვეფხისტყაოსანსა " და სუფიზმს შორის) ამ ამოცანის ამოხსნასთან გვაახლოებდეს.

# „დამკვეთთა თავხედობა“

–ნინა საუბრის ბოლოს თქვენ თავად აღნიშნეთ, გავცდით საუბრის ძირითად თემასო. მაგრამ ისეთი ფრაზით დაასრულეთ საუბარი, რომ არ შემიძლია, იმავე თემას არ მივუბრუნდე:

–სტალინი, რა, მართლა სუფია იყო?

–მიმაჩნია, რომ იყო! ამაზე აბსოლუტურად სწორი პასუხის გაცემა კი, ალბათ, თვით სტალინს შეეძლო მხოლოდ, ან კიდევ–ორიოდე მის თანამეზღვიეს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ტრადიციას, ზეპირ გადმოცემას ვენდოთ და კიდევ – საკუთარ ინტუიციას...

იცით, შეიძლება იცვამ-იხურავდე, როგორც სუფია (ამაზე, თუკი მოისურვებთ, კიდევ ვისაუბროთ), მოძრაობდე, როგორც სუფია; დაისწავლო პირობითი ნიშნები, მისალმებები, ფრაზები და ა.შ. ისაუბრო, როგორც სუფიამ, მაგრამ ჭეშმარიტ ოსტატს – ნამდვილ სუფიას– ამ ზედაპირული ნვრილმანებით, გარეგნული მიბაძვით შეცდომაში ვერ შეიყვან, ვერ შეაცდენ, რამეთუ ლომი ჭანგთაგან შეიცნობის!

იაკობ მოციქული გვასწავლის: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა – მკვდარ არს“ – ო. ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია ჩვენი შემთხვევისთვისაც: ბოლოს და ბოლოს, სწორედ საქმენი გვიჩვენებენ, ვისთან გვაქვს საქმე! და სტალინს რომ საქმეები უკეთებია...

თუმცა, არსებობს კიდევ „არაპირდაპირი“ (ვისთვის –როგორ) მინიშნებები, მაგალითად: მისი უკიდურესობამდე უბრალო, სადა ცხოვრების წესი, ასეთივე ჩაცმა-დახურვა, ძალზედ თავისებური მეტყველებისა და წერის მანერა; ფანტასტიური შრომისუნარიანობა– თვით ძალზე ხანგაზმულ ასაკშიც კი (სუფიებს აქვთ სპეციალურ ვარჯიშთა სისტემები, რომელთაგან ბევრი სწორედ ასეთი შრომისუნარიანობის გამომუშავებაზეა ორიენტირებული); უდიდესი ნებისყოფა, ჰიპნოზური და ტელეპატიური უნარი (რასაც არაერთი თვითმხილველი ადასტურებს); ამათი გამომუშავებაც შედის სუფითა „ მოსაშზადებელ პროგრამაში“...

ცნობილია ასეთი ფაქტიც: როცა სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა (?!) და სულთმობრძავი იწვა, მისი განკურნების მსურველნი, მრავალ პროფესიონალ და არაპროფესიონალ დასტაქრებთან ერთად, სუფია ჰაქიმებიც აღმოჩნდნენ. ისინი უმორჩილესად ითხოვდნენ, დაეშვათ „კაცობრიობის დიად შვილთან“ და ლამის გარანტიასაც იძლეოდნენ, განკკურნავთო!

აქ, ერთი შეხედვით, არაფერია საკვირველი, თუ არა შემდეგი გარემოება: სუფია-ჰაქიმების ერთადერთი, მაგრამ უთუო, სიტყვაშეუბრუნებელი პირობა პაციენტთან ურთიერთობისას, ის არის, რომ ინიციატივა, თხოვნა განკურნებისა – უშუალოდ ავადმყოფისგან უნდა მოდიოდეს; უკიდურეს შემთხვევაში, თუ თვითონ ავადმყოფი გონზე არაა, მისი ოჯახის წევრებისაგან მაინც. აქ არანაირი „შეღავათები“, „განსაკუთრებული შემთხვევები“ არ არსებობს, ერთადერი გამონაკლისის გარდა –როცა ავადმყოფიც სუფიაა!

არაა ეს არგუმენტი? ჩემთვის არის!

და კიდევ ერთიც: ბორის საოსტატო სემინარიაში თითქმის ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ ფმაწვილები: იოსებ ჯუღაშვილი; შემდგომში XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი „გახსნილი“ სუფია, „რუსული (?) მისტიციზმის ბურჯად“ აღიარებული ვიორგი გურჯიევი (ისიც – ჩვენი თანამემამულე) და მოგვიანებით, ვაჟაფშაველად ცნობილი ჩვენი უდიდესი პოეტი-მისტიკოსი ლუკა რაზიკაშვილი...

სხვათაშორის, ასეთი ღონის შეგარდების კონცენტრაცია, ერთსა და იმავე პერიოდში და ერთსა და იმავე ადგილას, მიუთითებს იქვე ძლიერი მასნავლებლის არსებობაზეც! ეი, მისი ვინაობა კი, სამწუხაროდ, ნამდვილად უცნობია ჩემთვის!

მაგრამ ჩვენ – „პირველსა სიტყუასა ზედა“ მივიდეთ.

**–ერთობ თავისუფლად ვმსჯელობთ ფრიად სერიოზულ თემებზე; მაპატიეთ გამოთქმისთვის, მაგრამ ისე იოლად ისვრით ყოველად წარმოუდგენელ ჰიპოთეზებს, რომ კაცს ანაზდად გაუელვებს – ხომ არ დამცინისო. თანაც, ეჭვი არ მეპარება, რომ მშვენივრად აცნობიერებთ: ძალზე გაგიჭირდებათ თუნდაც ერთიორი თანამოაზრის პოვნა.**

**–მაშ რა მიზნით აკეთებთ ყოველივე ამას, რატომ?**

იმიტომ, რომ თურმე, ბევრი რამაა, მეგობარო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებია!

ძნელი დასაჯერებელია, არა? კარგახანს არც მე მჯეროდა, მაგრამ...

როგორც გახსოვთ, ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რუსთველი, თითქოს, აგრძელებს თავისი დროის ლიტერატურულ ტრადიციას და ემორჩილება არსებულ „შაბლონს“ – პოემას იწყებს (პირველი და მეორე სტროფები) ღმერთისადმი მიმართვით. სინამდვილეში, პირველი სტროფი მაინც, „განმარტებაა“ ღმერთისა, როგორც ასეთისა: „რომელმან შექმნა სამყარო, ... მისგან არს ყოვლი ხელმწიფე...“ უფრო სწორად, აქ მოცემულია ავტორისეული ხედვა, შეგრძნება, აღქმა ღმერთისა.

აქვე, მეორე სტროფში, იგი „მიჯნურობის“ საკუთარ გაგებაზეც ზოგადად უკვე მიგვანიშნებს ( არ დაგვავიწყდეს ვახტანგ VI -ის კომენტარი!).

ამას ყველაფერს ( ღმერთის „განმარტებას“, ვედრებას მისადმი, მინიშნებას „ მიჯნურობის“ არსზე) ფანტასტიური ლაკონიურობით ახერხებს – სულ ორად-ორ სტროფში! და ეს მისი აზროვნებისა და წერის მანერა (ერთად შერწყმული უკიდურესი ლაკონიურობა და სიცხადე) უკვე გარკვეულ აზრს გვიქმნის.

შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო ამბები მოდის.

ახლა, წესით, ავტორმა ხოტბა უნდა შეასხას ნაწარმოების „ დამკვეთს“ ან „ადრესატს“, რომელსაც უძღვნის თავის ქმნილებას. საზოგადოდ, ეს შეიძლება იყოს მეფე ,დედოფალი, სამეფო ოჯახის წევრი, დიდი ფეოდალი ან რიგითი მოკვდავიც კი – მაგალითად, ვინმე შეძღებული ვაჭარი, რომელმაც მეცენატობა გაუწია, მაგრამ არაფერი ამისი მსგავსიც კი, არავითარი ხოტბა და ქება-დიდება! მე-5 სტროფში (ზემოთ აღწერილი ლოგიკით, ეს სტროფი რიგით მე-3 უნდა იყოს, მაგრამ ამას ახლა არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) ავტორი ამბობს, მოგვიანებ, „მიბრძანეს“ –ო ... „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, ანუ მისთვის მართლაც „დაუკვეთიათ“ ნაწარმოების დაწერა და „დამკვეთი“– ორი ან რამდენიმე პიროვნება ყოფილა ( არა „მიბრძანა“, არამედ – „მიბრძანეს“!).

–ჩემი აზრით, „მიბრძანეს“ უფრო აღმატებულ ფორმას გამოხატავს, მაგრამ მივყვეთ თქვენს ლოგიკას, ვინ შეიძლება იყვნენ ეს „ დამკვეთნი“?

–ამაზე – ოდნავ მოგვიანებით.

...შემდეგ ავტორმა უნდა მოხაზოს თემა, რომელსაც ეხება ნაწარმოები, ან – დამკვეთის სურვილზე უნდა მიანიშნოს.

ჩვენს შემთხვევაში (ეს – აშკარაა და ამაზე, უკვე დიდი ხანია, აღარავინ დავობს!) ესაა „ქებანი“ და „შესხმა ხოტბისა შერისა“ თამარ მეფისა და მისი მეუღლის – მეფე დავით სოსლანის მიმართ.

მაგრამ, რეალურად...

რა ხდება?

მესამე სტროფში, სადაც მეფე-მზის - თამარის „ლომზე“, ანუ დავით სოსლანზეა ლაპარაკი, ისეთი დაუფარავი ირონია გამოსჭვივის, რომ უარესი – ძნელი წარმოსადგენია! „მას არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?! "-ო, თითქოს ჩვენ გვეკითხება ავტორი და იქვე მიგვანიშნებს (ისევ და ისევ: „შეფარვით“ გვაწვეთებს გამოთქმულის ჭეშმარიტ აზრს, როგორც ეს „მიჯნურობის“ შესახებ მსჯელობისას მოიმოქმედდ და კვლავაც არაერთხელ იზამს ამას!) ამ ორჭოფობის მიზესს:

„მისთა მჭვრეტელთა ყანდისა (?!!! – იდ.) მირთმა ხამს მართლ მიშერისა!“

მართლაც და, საოცარია: სად მეფერაინდი, თამარის „ლომი“ და სად – მისთვის ყანდის (შაქარყინულის, მარმელადის) მირთმეევ!

არ დაგვავიწყდეს XII საუკუნეა, ქართულ სამეფო კარზე ჯერაც ძლიერია არაბული კულტურის გავლენა; შენარჩუნებულია მრავალი ტრადიცია და შეხედულება! არაბთა აზრით კი ვაუკაცი საერთოდ არ მიირთმევს ტკბილეულს, „ვაუკაცი“ და „ტკბილეული“ საზოგადოდ ურთიერთშეუთავსებადი, უფრო მეტიც, ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია!

**–ვფიქრობ, ობიექტურობა ხშირად გლალატობთ, რადგან ცდილობთ, თქვენს ლოგიკას მოარგოთ ფაქტებიც და პოემის ტექსტიც. უბრალოდ საოცარია თქვენეული ინტერპრეტაციები. მაშ, რას გვიბრძანებთ, რა ვიფიქროთ რუსთველის დამოკიდებულებაზე დავით სოსლანის მიმართ?**

–პირველი ის, რომ დავით სოსლანი ჩვენს ავტორზე (და, იქნებ, საკუთარ მეუღლეზეც! ) ბევრად უმცროსია ასაკით, თითქმის ბავშვია!

და მეორე: ...თუმცა ამ მეორე „ვარაუდზე“ არცა ღირს შეჩერება – არც დრო და ადგილი მემეტება საამისოდ და არც თვით დავით სოსლანი (მაგრამ ... ვინ იცის!).

კიდევ უფრო გაოცდებით მე-4 სტროფის („თამარს ვაქებდეთ... “) წაკითხვისას, თუკი ჩემს კიდევ ერთ მოსაზრებას მოისმენთ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ, რამდენადაც ვიცი, XII საუკუნეში, ჩვენს დროში მიღებული პუნქტუაცია, ჯერ არ არსებობდა, არ იხმარებოდა. ანუ: დაწერილის წაკითხვისას წამკითხავს შეეძლო, შეეცვალა ინტონაცია, და, შესაბამისად, შეეცვალა წაკითხულის აზრიც!

თუ ჩვენც ანალოგიურად მოვიქცევით, ანუ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დასმულ სასვენ ნიშნებს შევცვლით, ე. ი. შევცვლით ინტონაციას, აი, რას მივიღებთ: „ თამარს ვაქებდე(თ) მეფესა?! "( მრავლობითის ნიშანი „თ“ აქ პრინციპულად არაფერს ცვლის). ამ ფრაზაში რაც გამოსჭვივის, უკვე ირონია აღარ ეთქმის! ეს ვიღაცის (თუმცა, რაღა „ვიღაცის“ – „დამკვეთთა“! ) თავხედობით გამოწვეული აღშფოთებაა, გულიდან ბრაზით ამოხეთქილი! (პირადად მე, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, რაღა თქმა უნდა, აქ, ამ ჯაცის რისხვით შემართული, მუშტად შეკრული მარჯვენაც წარმომიდგება თვალწინ!)

თუმცა, შეიძლება „დამკვეთთა თავხედობა“ აქ არაფერ შუაში იყოს: შეიძლება თვით ის აზრი აღაშფოთებს ავტორს, რომ თამარის „ქების“ გამოთქმას ავალებენ, სწორედ მას ავალებენ!

თუმცა!

აქვე, ამავე მე-4 სტროფის II III და IV სტრიქონებიდან ირკვევა, რომ რუსთველს აღრე უკვე გამოუთქვამს თამარის „ქებანი“ „არ ავად გამორჩეული“, თანაც ისე, რომ მთელი სული და გული ჩაუქსოვია ამ საქმეში: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა, და კალმად მე ნა რხეული“-ო, გვეუბნება ის. აქ საკუთარ თავზე, საკუთარ გრძნობებზეა ლაპარაკი. შედეგიც შესაბამისი ყოფილა: „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“-ო, ბრძანებს დიდი პოეტი და აშკარაა: აქ ავტორის სიამაყე გამოსჭვივის, საკუთარი ნახელავით კმაყოფილი ავტორის სიამაყე!

–ბოდიშს გიხდით, მაგრამ ისევ მცდარ ინტერპრეტაციას გვთავაზობთ. თავად დაუკვირდით საკუთარ ნათქვამს , სადაა ლოგიკა?

–დროა გასული!




# ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲘᲡ „ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ“

დიდი საჩუქარი მიიღო ქართველმა მკითხველმა. გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ნოდარ თაბიძის** წიგნი **„გალაკტიონი“**, რომელიც ეხება დიდი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. წიგნში გაშუქებულია გალაკტიონის ბიოგრაფიის ბევრი საინტერესო ფაქტი, ნაშრომნენია მგოსნის შემოქმედებითი ლაბორატორია, გაანალიზებულია მისი მუშაობის სტილი და მანერა.

ნოდარ თაბიძე აანქარავებს გალაკტიონის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს, გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც გაიარა გენიოსმა პოეტმა.

მართლაც, უზარმაზარი შრომა აქვს განეული ბატონ ნოდარ თაბიძეს ამ წიგნზე მუშაობისას. მონოგრაფიაში აურაცხელი მასალაა მოძიებული, ერთად თავმოყრილი და გაანალიზებული. წიგნი რამდენიმე თავისაგან შედგება. თავდაპირველად ავტორი აღგვიჩენს სოფელ ჭყვიშს, სადაც დაიბადა და გაიზარდა გალაკტიონი, წარმმტაცი ფერებით გვისურათებს სოფელსა და მის შემოგარენს. ვეკითხულობთ წიგნის სტრიქონებს და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს კინოკადრებს ვუყურებთ. შემდეგ ავტორი გვაცნობს პოეტის წინაპრებს, შმობლებს, ნათესავებს; ჩვენ თვალნინ ცოცხლდება დიდი გალაკტიონის ბავშვობა, ქუთაისის სასულიერო სასნავლებელში გატარებული წლები. განსაკუთრებით მძაფრდება აღწერილი თბილისის სემინარიის პერიოდი, იქიდან ნოეტის გარიცხვა, რადგან მისი სული ვერ შეგუა სემინარიის მკაცრ და უაზრო შინაგანაწესს. სემინარიიდან წამოსული შემდეგ, გალაკტიონისათვის იწყება სოფლის რიგითი მასნავლებლის უინტერესო ცხოვრება, რასაც მტკივნეულად განიცდის პოეტი. მაგრამ სკოლა მალე დაიხურა და გალაკტიონი ქუთაისს დაუბრუნდა. მოღვაწეობს გაზეთების „კოლხიდის“, „მნათობისა“ და „ცხოვრების“ რედაქციებში, დიდ აკაკისთან ერთად მონაწილეობს პოეზიის საღამოებში.

1913 წელი გარდამტეხი წელია პოეტის შემოქმედებაში. როგორც ნოდარ თაბიძე აღნიშნავს, ამ დროიდან გალაკტიონი განთავისუფდება ტრადიციული ქართული ლექსის გავლენისაგან და ჩვენს ეროვნულ პოეზიაში სრულიად ახალი, თვითმყოფადი ვერსიფიკაციული სიახლეები შემოტანა. ამ პერიოდში გაიცნო გალაკტიონი ოლღა ოკუჯავას. აქედან იწყება ის უფაქიზესი ურთიერთობა, რასაც ოლია „უგონო სიყვარულს“ უწოდებს. ტრაგიკული აღმოჩნდა ახალგაზრდებისათვის ეს ურთიერთობა, 1937 წელს ოლია დაუაბიძრეს და, მოგვიანებით, დახვრიტეს. გალაკტიონმა მძიმედ განიცადა ფიზიკური დაკარგვა, რაც მთელი სიმძაფრით გადმოგვცა ლექსში „უკანასკნელი მატარებელი“.

ნოდარ თაბიძე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გალაკტიონის პირველი წიგნის გამოცემას, რომელმაც გენიოსი პოეტის სახელი მოუტანა მის ავტორს. შემდეგ მოგვითხრობს „ცისფერყანნელებთან“ გალაკტიონის ურთიერთობაზე, მაგრამ ეს ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან პოეტმა მათი ბევრი დებულება ვერ გაიზიარა.

ნოდარ თაბიძე ეხება თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში არასწორად გაშუქებულ გალაკტიონის ე.წ. „რევოლუციური“ პერიოდის პოეზიას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მგოსანი მიესალმა არა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას, როგორც ადრეულ პერიოდში იყო მინნეული, არამედ თებერვლის რევოლუციას. ამის დადასტურებაა იმ დროს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი გალაკტიონის ლექსების, აგრეთვე, 1919 ნელს გამოცემული კრებული **„აირსტატული ყვავილების“** თემატიკა, რომელშიც 86 ლექსიდან მხოლოდ სამი ეძღვნება რევოლუციას ისიც თებერვლის რევოლუციას. მრავალმნიშვნელოვანია ნ. ტაბიძის დასკვნა: **„პოეტის გაგებით, რევოლუცია საერთოდ გულისხმობს ძველის დამხობას და ახალი, პროგრესული ნყობიერების დამყარებას. ამიტომაც ესალმება თებერვლის გადატრიალებას, თუმცა მრავალმხრივ არ აქვს გაცნობილი ამ აქტის ისპეკტები, მისთვის ამჯერად ისიც საკმარისია, რომ ძველი დაემხო“.**

წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა XX საუკუნის 10-20-იანი წლების ისტორიული მოვლენების გაშუქებას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. გალაკტიონი მხურვალედ მესალმა ამ მოვლენას, ამასთანავე, მძაფრად განიცადა 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია. ნოდარ თაბიძე პირველად წარმოაჩენს გალაკტიონის ბიოგრაფიისათვის აქამდე უცნობ მეტად საყურადღებო ფაქტს: თურმე, მგოსანი 1920-21 წლებში მდინარდ მუშაობდა მენშევიკური მთავრობის ჟურნალ „სახალო გვარდიელში“. ეს ფაქტი, ბუნებრივია, აქამდეც უცნობი იყო მკითხველისათვის. ცხადია, გალაკტიონი ე.წ. გასაბჭოების წლებში საგანგებოდ მალავდა ამას, რადგან იცოდა, რომ ამ შემთხვევის გამო კომუნისტების რისხვა არ ასცდებოდა. აკი გალაკტიონს დაეშუქრნენ კიდეც. ცნობილია, რომ 1921 წელს გაზეთმა „კომუნისტმა“ მსა (ი. გრიშაშვილთან ერთად) „ნაციონალისტი მგოსანი“ უწოდა, რომელმაც „თავი აიშვა“. საბედნიეროდ, გალაკტიონი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას.

ნოდარ თაბიძე დიდი აღმაფრენით აღგვიწერს გალაკტიონისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ერთ მოვლენას. როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მგოსნებს ძველად პოეტთა მეფედ ირჩევდნენ ხოლმე. გალაკტიონის თაყვანისმცემელმა ახალგაზრდა პოეტებმა გადაწყვიტეს, საქართველოშიც დაემკვიდრებინათ ეს ტრადიცია. 1921 წელს 25 იანვარს გალაკტიონი საქართველოს პოეტების მეფედ აკურთხეს. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენია „ოფიციონზს“. პოეტების მეფეს გაზეთი „კომუნისტი“ დაესხა თავს და მწერალთა კავშირიდან მისი გარიცხვა მოითხოვა, მაგრამ გენიოს პოეტს ვერაფერი დააკლეს. დიან, საქართველოში პოეტების მეფე მხოლოდ გალაკტიონია.

კიდევ ბევრი შეიძლებოდა გვეთქვა ნოდარ თაბიძის „გალაკტიონზე“, გვეთქვა მის ავტორზე, რადგან ჩვენი ღრმა რწმენაა, ასეთი დიდებული საჩუქარი, კარგა ხანია, არ მოუღია ქართველ მკითხველს. ვულოცავთ ბატონ ნოდარ თაბიძეს ამ წიგნის გამოცემას და გალაკტიონის ცხოვრების შემდგომი პერიოდის ამსახველ ახალ ნაშრომებს მოველოდ მისგან.

***ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲘᲜᲭᲠᲐᲫᲘᲐ***
***ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ***

ᲐᲮᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔᲡ

**ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲠᲐᲓᲔᲜᲯᲯᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜ ᲠᲔᲠᲘᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲜᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ - „ᲡᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗᲔᲑᲘ ᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐᲡ ᲡᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲣᲠᲔᲚᲘ ᲐᲦᲓᲐᲒᲔᲓ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲠᲐᲠᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ.**

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲐᲬᲐᲠᲐᲒᲔᲑᲡ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲠᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲣᲚᲣᲚ ᲞᲠᲘᲒᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲘᲗᲕᲐᲡᲣᲤᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ. ᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲔᲠᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲨᲠᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲡ. ᲛᲝᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲐ ᲛᲝᲛᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲬᲘ�გᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲜᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲐᲠᲘᲤᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡᲐ“, „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲪᲮᲝᲠᲕᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲓᲘᲓ ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ.

1913 ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲒᲐᲜ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲗᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲘ. ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები „იდიოტთან“

# ფენიქსი, (მეტ)სახელად „მგოსანი“

## (მონოლოგი ჯიმენცარიდ)

**„დიდება შენდა, მაღალო ღმერთო!**

**აბა, მოვსულვარ პირნათელი, რათა პირისპირ შეგეყაროო და ბოლომდე განვიცადო სრულყოფილება შენი, ჭეშმარიტებაჰ უზენაესო! მე განვიშორე ყველა ცოდვა და ყველა საცდური ამქვეყნიური – შენი გულისთვის...**

**არასოდეს ვყოფილვარ უსამართლო, არ დამიჩაგრავს ძე კაცისა, არ მოიქვამს ტყუილი. არავინ გამიძარცვავს, არავინ მომიწამლავს, არც თუ მახვილით მომიკლავს ვინმე... მე სპეტაკი ვარ ღმერთისა და კაცის წინაშე და ესაა სისპეტაკე ფენიქს დიდისა...“**

*„წიგნი მიცვალებულთა“*

**„თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ**
**ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა!“**

*დპვით გურამიშვილი*

**„დაბრმავებული არ დაივიწყებს**
**თავის საუნჯეს – დაკარგულ თვალებს...“**

*უილიამ შექსპირი*

– ჩვენი უკანასკნელი საუბარი მაშინ შევწყვიტეთ, როცა ვამტკიცებდი, რომ რუსთველი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე ერთხელ უკვე ქქონია გამოთქმული „არ ავად გამორჩეული“ ქება თამარისა, ამ ახალ „დაკვეთას“ („მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“), ძლიერ აღუფფოთებია („თამარს ვაქებდეთ მეფესა?!!“), მისგან თანხმობის მიღებასაც დიდი ძალისხმევა დასჭირვებია („გასტეხს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვიისა ღბილისა“) და ამ საკმაოდ აღოგიკური, წინააღმდეგობრივ გარემოებას იმით ვხსნიდი, რომ ზემოთ აღნაშნულ ორ ფაქტს, ორ მოვლენას შორის (პირველი „ქების“ გამოთქმა და ახალი „ბრძანების“ მიღება) გასულია რაღაც დრო...

დიახ, დრო! „ჟამი, ყოველისა შემაქცევარი“!

მას შემდეგ, რაც დაინერა (თუ გამოითქვა) „არ ავად გამორჩეული“ „ქებანი“ თამარისა, ვიდრე ამ ახალ „დაკვეთამდე“, როგორცა სჩანს, გარკვეული დროა გასული და დროის ამ მონაკვეთში რაღაც ისეთია მომხდარი, რომ ჩვენი ავტორის დამოკიდებულება თამარ მეფის მიმართ დიამეტრალურადაა შეცვლილი! მან იცის, რომა მის შესახებ „დამკვეთებმაც“ მშვენივრად უწყიან, ამასთან, მის ხასიათსაც კარგად იცნობენ, და ეს არის სწორედ, როგორც მე ვვარაუდობ, მისი აღშფოთებისა და ბორგვის მიზეზი: როგორ-თუ, ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ თამარის ქებას ითხოვენ **ჩემგანო!**

მერედა, რა უნდა მომხდარიყო ნეტავ ისეთი, რამაც პოეტს ასე ააყრევინა გული თავის მბრძანებელზე? ან ვინ არის იგი, ასეთი ტონით ლაპარაკის უფლებას რომ აძლევს საკუთარ თავს?

ისევ და ისევ! თვითონ პოეტი გვპასუხობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმავე მე-4 სტროფში:

„... სისხლისა ცრემლდათხეული!!!“

აი, რა ყოფილა– მისთვის **სისხლის ცრემლები** დაუფლენიათ!

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში „ეს „სისხლის ცრემლები“ სპარსული პოეზიიდან გადმოლებულ, ძლიერი ემოციების გამომხატველ მეტაფორადაა მიჩნეული. არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ „ტირილი“, „ცრემლთა ღვრა“ – სუფიათა „საიდუმლო ენაზეც“ ძლიერ ემოციურ განცდებზე, უზენაესის გამძაფრებულ მისტიურ წვდომაზე მიუთითებს! მაგრამ, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, განვასხვავოთ, სადაა წმინდა სუფიური პლასტი და სად – რეალისტურ-ისტორიული. რამეთუ ჩვენ ახლა სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ, სწორედ რეალისტურ-ისტორიულ პლასტზე გვაქვს აქ საუბარი!

კი, ბატონო! დავუშვათ, „სისხლის ცრემლები“ მართლაც მეტაფორაა (იგი, მოგვიანებითა, სხვა ქართველმა პოეტებმაც გამოიყენეს არაერთხელ; ვთქვათ, აკაკის „სისხლის ცრემლები ვღვარეო, მაგრამ... რას ვუზამთ მაშინ მე-10 სტროფს?

**„თვალთა** მისგან **უნათლოთა** ენატრამცა ახლად ჩენა!“

და იქვე:

„მიაჯუთ ვინ – **ხორცთა დაწვა** კმარის! მისცეს სულთა ლხენა!“ (პუნქტუაცია აქაც შეცვლილია).

რა, **„უნათლო თვალნი“** და **„ხორცთა დაწვა“** – ესეც მეტაფორებია?

შეიძლება, არის (რაკი ასე ფიქრობენ აღიარებული ავტორიტეტები!), შეიძლება – არა!

მე – „იდიოტი“ ვარ! apriori მე არა მჯერა არანაირი „ავტორიტეტებისა“ და ამიტომ მიმაჩნია, რომ – **არა!** მეტაფორა აქ არაფერ შუაშია: ჩვენი პოეტი – ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ წერისას მაინც – **ბრმაა**, უფრო სწორედ, **დაბრმავებულია – მისთვის თვალები ამოუშანთავთ!**

სავსებით ბუნებრივია შეკითხვა: აკი თამარ მეფე ჩვენს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ჰუმანურობითაა ცნობილი! აი, ნახეთ, რას წერს ბასილი ეზოსმოძღვარი: „... დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა-ვინ დასჯილი... თვით არცა ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეხადა თანანადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკუეთილ იქმნა და **არცა სიბრმითა დაისაჯა**“!

...და შემდეგ:

– „... თვინიერ **გუზან**, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებთან განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით... ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და **დავით მეფისა** ნინაშე მოიყვანეს.

ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყალება თამარისი, ამისთუის მისსა შეკითხვამდის **თვალნი დასწუნა**“!

აბა, რას იტყვით?

თუკი ჩვენი ავტორი მართლაც ეს გუზანია, რომელიც დავით სოსლანს თამარ მეფის უკითხავად თვალების დათხრით დაუსჯია, მაშინ სრულიად გასაგები ხდება მისი აშკარა ანტიპათია „თამარის ღლმის“ მიმართ, რომელიც საკმად არაორაზროვანი ირონიით გამოხატა, „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა“-ო, რომ ამბობს.

მაგრამ... რამდენად სერიოზული იქნება პიროვნების იდეტიფიცირების მცდელობა მხოლოდ ერთ მიმანიშნებელ ფაქტორზე დაყრდნობით?

რამდენადაც ვიცი, ამისათვის, სულ ცოტა, სამი მონაცემი მაინცაა საჭირო, მაგალითად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში მაინც): სახელი, მამის სახელი, გვარი; ან – გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა; ან – სახელი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. და ა.შ... მხოლოდ ერთი „ფაქტორი“ (სიბრმავე, „სიბრმითა დასჯა“), ისიც „შეფარვით“ მინიშნებული ნამდვილად არ არის საკმარისი...

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ითვალისწინებს იმას, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკუთარი პიროვნების შესახებ, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს და ქვემოთ, მე-8 სტროფში, აზუსტებს,თუ კონკრეტულად რა **„დანაშაულისათვის“** არის იგი **„სიბრმითა დასჯილი“**:

**„მე რუსთ ველი!** ხელონითა ვიქმ საქმესა ამა დარი...“ (და არა „მე, რუსთველი, ხელონითა....“)

„მე რუსთ ველი“ – ე.ი. „მე რუსებს ველოდები“-ო. თუმცა, დაკონკრეტებაა საჭირო: ავტორი საზოგადოდ „რუსთ“ კი არ ელის არამედ – სწორედ „იმ“ რუსს!

– დიახ, „რუსი იგი ძნელბედი და სუფუსუეო“, „იგივე რუსი... კაენსაებრ მკლველი არა ძმისა, არამედ თავისა თვისისა...“ (თამარის სიტორიკოსის სიტყვები გახლავთ).

უნდა გითხრათ, რომ ამ ადამიანის პიროვნებას ჩვენს თხრობაში ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს, რადგან მან და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა – შეიძლება, უნებლიედ, მაგრამ მაინც! – ფატალური გავლენა მოახდინეს არა მარტო თამარისა და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პირად ცხოვრებაზე, არამედ საქართველოს ისტორიულ ბედ-იღბალზეც...

ამრიგად, უკვე გვაქვს პიროვნების მიმანიშნებელი ორი ფაქტორი: პირველი – ეს პიროვნება „სიბრმითა“ ყოფილა დასჯილი, და მეორე – იგი დაუსჯიათ არა სხვა დროს და არა სხვა რამ დანაშაულისათვის, არამედ სწორედ თამარის მეფობის ჟამს – მისი პირველი ქმრის, გიორგი ანდრიას ძისათვის თანადგომის გაწევისათვის, მისი ბოლომდე ერთგულებისათვის! ასეთი კაცი – ისევ და ისევ ერთია და ერთადერთი: გუზანა...

და, თუმცა ეს ორი „ფაქტორი“ უკვე საკმაო სიზუსტით მიანიშნებს მის პიროვნებაზე, მაგრამ, პრინციშში, არც ესაა საკმარისი, რადგან არაა დაცული „წმინდა ტრიადის პრინციპი“, ეს თავისებური „ოქროს კვეთის წესი“ სუფიზმში...

უნდა გითხრათ, რომ მესამე ფაქტორის, ამ ultimaratio-ს ძიების პერიოდი იყო ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და საინტერესო ეტაპი „ვეფხისტყაოსნის“ ჩემეული „ბგერად-ჩხრეკისა“.

ვერც კი გეტყვით, რამდენჯერ გადავიკითხე არა მარტო „პროლოგი“, არამედ მთლიანად პოემაც, მაგრამ... ამაოდ! გავფიცხდი და შორს მოვისროლე საწერ-კალამიცა და ჩემი ჩანაწერებიც...

ყველაფერს თავი დავანებე, თვით ფიქრსაც კი (ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა მაშინ) მარტო ერთი სიტყვა ვერ ამოვიგდე თავიდან: გუზანი. ალბათ, იმიტომ, რომ ეს სახელი საქართველოში არავის არასოდეს რქმევია, ამ კაცის გარდა – არც მანამდე და არც მის შემდეგ!

ერთხელაც, სუფრაზე, ჩემს სომეხ მეგობართან საუბრისას, სრულიად შემთხვევით (თუკი ამას „შემთხვევით“ ეთქმის !) ვახსენე იგი.

– გუზანი არ ვიცი, მაგრამ გუსანი, ახპერჯანი, ძველსომხურად ის არის, რასაც ეწოლა აშუღს ვეძახით,– მითხრა მან.

მომენტალურად გამოვფხიზლდი: მართლაცდა, არასოდეს იცი კაცმა, სად რას დაკარგავ და სად რას იპოვნი!

ცხადია, ცარიელ სიტყვაზე არ ვენდე ნორკას და მისი ინფორმაცია საფუძლიანად გადავამოწმე ...

მართალი აღმოჩნდა! სიტყვა „გუზანი“ მნიშვნელობით იგივეა, რაც სომხური „გუსანი“ (აქ ეს სიტყვა სპარსულ-არაბულიდან უნდა იყოს შესული), ფრანგული **„მენესტრელი“**, ესპანურ-იტალიური **„ბარდი“** და ინგლისური **„ბარდი“** და ნიშნავს **პოეტ-მომღერალს, სახალხო მთქმელს** (უფრო ხშირად – მოხეტიალეს), რომელიც საკუთარი აკომპანიმენტის თანხლებით მღეროდა საკუთარსავე პოეტურ ქმნილებებს: ჰიმნებს, ბალადებს, საგებს და ა.შ. და ა.შ.

ერთსაც დავამატებდი – სწორედ ეს სიტყვა უნდა იყოს ეტიმოლოგიური არქე-ტიპი სიტყვისა „მგოსანი“: „გუზანი“ – „გუსანი“ – „მგოსანი“...

და „წმინდა სამკუთხედიც“ შეიკრა, **ხოლო მის ცენტრში აღმოჩნდა კაცი,** ყრმობიდანვე პოეტური ნიჭით გამორჩეული, რისთვისაც ზედსახელად (გინდა, მეტსახელად) უწოდეს „გუზანი“, იგივე „მგოსანი“... მოგვიანებით – დამსახურებისამებრ აღზევებული მეფეთა მიერ, ერთგული და ნაერთგულარი... და, ბოლოს: გიორგი რუსის რევანშისტულ პუტჩში მონაწილეობისა და ბოლომდე მისი ერთგულებისათვის – შერისხული, შეპყრობილი და თვალებ-დათხრილი...

დანარჩენზე, თუკი სურვილი გექებათ,შემდეგ ვისაუბროთ.

ინფორმაცია

## თამბირ-სემინარი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას მიეძღვნა

ჩვენი საზოგადოების მიზანია, მოსწავლე ახალგაზრდობა აღიზარდოს ფიზიკურად განვითარებული, ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი; შრომისა და სამშობლოს თავდაცვისთვის მზადმყოფი. ამ ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სწავლების ეფექტურობის ამაღლება.

ამ მიმართებით სამტრეფდიაში სექტემბრში განათლების განყოფილების ინიციატივით, (გამგე **ბ. ვაშაკიძე**) ჩატარდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა თამბირ-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების განყოფილების მუშაკები, ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი **ჯ. ნიკურაძე,** რომელიც მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანელობს და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ბ. თელია.

მასწავლებელთა შეკრებაზე განხილეს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დებულებაში შეტანილი ცვლილებების დანერგვა სასკოლო ცხოვრებაში და სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვა საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციებისა და ბრძანებების მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე I-XI კლასების ფიზიკური აღზრდის კომპლექსური პროგრამაში შეტანილი ცვლილებები და სხვ.

მასწავლებელთა შეკრებაზე აღინიშნა, რომ სკოლის კლასგარეშე ფიზკულტურულ სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის განკუთვნილი თანხები ძალზე მცირეა და გამოთქვა აზრი, რომ დაისვას საკითხი მთავრობის წინაშე კლასგარეშე მუშაობისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, თანხის გაზრდის შესახებ.

ეს კი საგრძნობლად გააუმჯობესებს სკოლებში კლასგარეშე ფიზკულტურულ-სპორტულ მასობრივ მუშაობას და მოსწავლეთა უმრავლესი ნაწილი ჩაბმული იქნება სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებში.

თათბირზე აღინიშნა, რომ ფიზიკური აღზრდის სასნავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭიროა სასნავლო სპორტული ინვენტარის შეცვლა ზოგიერთ სკოლაში. ამ საკითხის მოგვარება ვერ ხერხდება ძირითადად იმის გამო, რომ რაიონებში ინვენტარი არ შემოდის. ამ მიმართებით საჭიროა და აუცილებელი საქართველოში შეიქმნას სანარმო, რომელიც დაამზადებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სასნავლო დაწესებულებებისათვის სპორტულ ინვენტარს და სხვ.

ითქვა ისიც, რომ მოსაგვარებელია მოსნავლეთა სამედიცინო შემოწმების საკითხი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 09.06.2000 წლის ბრძანებულება.

აღსანიშნავია, რომ სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებება დასახული ფიზიკური აღზრდის სასნავლო პროცესისა და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის, მათ მიერ, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში სამტრედიი ერთ-ერთი რაიონია, სადაც ჩატარდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა თათბირ-სემინარი, რაც მისაბაძი უნდა გახდეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების ხელმძღვანელთათვის.

**როლანდ აბულაძე**

*განათლების სამინისტროს აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კონტრკულტურა, როგორც მეხამრიდი და განმწმენდი

ძალიან დამაინტერესა გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე გამართულმა პოლემიკამ, რომელიც შეეხებოდა „ეეფხისტყაოსნის“ ახლებურ ინტერპრეტაციას. ამ პოლემიკაში უცნობი ავტორის მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას ბატონი ნოდარ ნათაძე ეკამათება. წარმოდგენილი სტატიების ციკლში ავტორი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ გაგებას, და ძალიან მარტივად რომ თქვას, პოემას სუფიზმური „გასაღებით“, სუფიზმურ კონტექსტში ხსნის. მეორე მხრივ, ბატონი ნოდარ ნათაძე პრინციპულად არ ეთანხმება და აკრიტიკებს ამ პოზიციას. მე დამაინტერესა პოლემიკის პროცესმა, გამიჩნდა მასში მონაწილეობის სურვილი და მადლობელი ვიქნები, თუ უცნობი ავტორი და ბატონი ნოდარ ნათაძე ჩემს პოზიციასაც მიაქცევენ ყურადღებას.

საქმე არა იმდენად თვით „ეეფხისტყაოსნის“ გააზრებას შეეხება, რამდენადაც – საზოგადოდ საკითხის დაყენების ახლებურ ფორმებს, სამყაროს ხედვის განსხვავებულ რაკურსს. თუმცა, ეს ფორმა აზროვნებისა, არაა თავისთავად ახალი ან ავტორის მიერ მოგონილი, მაგრამ, საქართველოს თანამედროვე რეალობაში იგი სრულიად უნიკალურია. საქმე ისაა, რომ მაშინ, როდესაც ავტორი განიხილავს „ეეფხისტყაოსანს“, როგორც სუფიზმურ ნაწარმოებს, იგი, ჩემი აზრით, თვითონ აზროვნებს სუფიზმური აზროვნების ნაყოფის კონტექსტში და სწორედ ესაა ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო, ამასთან ერთად, სწორედ აქ ეხედავ მე უცნობი ავტორის ძირითად დებულებათა შეუსაბამობას ბატონ ნოდარ ნათაძის მოსაზრებებთან.

ამდენად, ჩემთვის, წარმოდგენილი პოლემიკა საინტერესოა კულტუროლოგიური თვალსაზრისით. ზოგადად რომ ვთქვათ, ჩვენ მოვგეგება შესაძლებლობა თვალი ვადევნოთ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შიდა კულტურულ დიალოგს – დიალოგს კონტრკულტურასა და ძირითად კულტურულ ღირებულებებს შორის. ასეთი დიალოგი, საზოგადოდ, საინტერესოა და ნაყოფიერ შედეგს გვაძლევს. რადგანაც აქ ერთ ენაზე, ერთ კულტურულ კონტექსტს მიგნით მოქცეული ორი დაპირისპირებული მსოფლმხედველობა ესაუბრება ერთმანეთს. იმის თქმაც, რომ ასეთი დიალოგი არის დიალექტიკური პირობა კულტურის განვითარებისა. ამდენად, იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

დავიწყოთ სახელით. თავიდანვე იგრძნობა, რომ ბატონ ნოდარს ეწოთირება ფსევდონიმი „იდიოტი“, რომლითაც უცნობი ავტორი გამოდის. ეს ბუნებრივი იცაა, რადგან ტრადიციული საზოგადოების ერთ-ერთი ნიშანია სამყაროს მდგრადი, გახევებული პოსტულატების შექმნა და, მეტიც, მისი პროპაგანდა. საზოგადოება ხომ, მნიშვნელოვანნაწილად, გაზიარებული სტერეოტიპების აღიარებაზეა აგებული. წითელი შუქი – სდექ, მწვანე – იარე, ჰიმნი – ფეხზე ადექი, არ იქურდო, არ იმრუშო,– ეს ის პრინციპებია, რომელმაც შეკრა და შექმნა საზოგადოებები, კულტურები და ცივილიზაციები. ამ პრინციპთა გაზიარება ამყარებს ყოფას და სოციუმის შიგნით ინდივიდის არსებობას გარანტირებულს ხდის. თავის სიღრმეში ამ პრინციპთა აღიარება პირობაა თითოეული ჩვენგანის ფიზიკური გადარჩენისა.

კანონი ბოროტის და კეთილის გარჩევა და სამყაროს ერთიანი ხედვა კანონია, რომელსაც ცივილიზაცია ამყარებს. ეს პროცესი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ეფუძნება ენის ფენომენს. ენა სამყაროს შიდა ხატია და იმისათვის, რომ ჩვენ ერთიანი, კოლექტიურად შეთანხმებული აზროვნება შევძლოთ, ენის ერთიანი ინტერპრეტაცია უნდა გვქონდეს და რაც, უფრო ერთიანია ეს ინტერპრეტაცია, მით უფრო იოლია ჩვენი გაერთიანება.

აი, სწორედ ამ ერთიანი, ერთპლასტიანი ინტერპრეტაციის წარმომდგენელია, ჩემი აზრით, ბატონი ნოდარ ნათაძე. მისთვის ნაწყვეტი „იდიოტი“, სწორედ რომ იდიოტს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ბატონ ნოდარს წაუკითხავს დოსტოევსკის „იდიოტი“, ალბეთ, იცის მეფის კარზე „მასხარის“ ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებაც, დარწმუნებული ვარ, გაუგია მასკარადის მითოსური მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ბატონი ნოდარ ნათაძისთვის ეს მაინც უცხოა, ყოველივე ეს გაუგია, მაგრამ მისთვის სიტყვა მაინც ერთი ხატის ფორმით აღიქმება. ამიტომაც ეწოთირება ბატონ ნოდარს უცნობი ავტორის ფსევდონიმი.

მართლაც და, რატომ „იდიოტი?“ მესმის, რომ „იდიოტში“ ღრმა აზრი დევს, მაგრამ თუ შენი შესარჩევია ეს სახელი, მოდი და დაირქვი „ბობოქარი ნიაღვარი“ ან „უშიშარი ლომი“, „ზორო“ ან „მზრუნველი ბაბუა“, ან სხვა რამ ამ სტილში, რაღა „იდიოტი“? მე, სადღაც, მესმის ბატონი ნოდარის...

მაგრამ სხვაგვარად აზროვნებს უცნობი ავტორი. უცნობი ავტორი, ბატონო ნოდარ, სხვა სიბრტყეშია, ვიდრე თქვენ ან მე. შეეცადოთ ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ პოლემიკას:

მე ზუვით უკვე ვახსენე კონტრკულტურის ფენომენი. კონტრკულტურა კულტურის ალტერნატივაა, მისი ნგრევის აქტია. მაგრამ არა მარტივად ნგრევის, არამედ ნგრევით აღორძინების პროცესია. ეს თითქოს კულტურის გასხვლა და მამარგვლაა, რათა არ დაიზაროს და დაიჩრდილოს ახალი, ჯანმრთელი და ჯანსაღი. მაგრამ რას ანგრევს კონტრკულტურა?

კულტურა ქაოსის ანტონიმია და პირობაა კაცობრობის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი არსებობისა. მაგრამ კულტურა, იმდენად, რამდენადაც იგი ტრადიციებისა და კლიშეების, ტაბუების, კანონების ფორმით იქმნება, თავის არსშივე რაგიდული და დოგმატური და სწორედ ეს რაგიდული ნაწილი კულტურისა არის არანაკლებ საშიში, ვიდრე ტოტალური ქაოსი. ეს ნაწილი შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან, დაივიწყოს თავისი დანიშნულება და გაიხდეს სრულიად დესტრუქციული. ამ დროს იგი ინარჩუნებს თავის პრო-სახეს, მაგრამ უკვე არა იდეალებს, არამედ თავის თავს ემსახურება. ასეთი იყო ინკვიზიცია, ნაციზმი, კომუნიზმი, ნაციონალიზმი და ა.შ. მიზანდაკარგული იდეოლოგიის ცოცხალ მაგალითებს, ლოკალურად; საქართველოშიც ვხედავთ. მაგალითად: ეროვნულობის დაცვის ყალბი ლოზუნგებით ბრძოლა პიროვნების თავისუფლებისა ნინაალმდეგ. ვითომ ქრისტიანობის დროშით ‹‹ალაპაჭრება თავისუფალი აზროვნების ნინააღმდეგ. ვითომ ქრისტიანობის დროშით ‹‹ალაპაჭრება თავისუფალი აზროვნების ნინააღმდეგ და სხვ.

აი, სწორედ ამ ენის თავიდან აშენებლობა, გაავითარებულ სულიერ კულტურებში არსებობდა ფენომენი კონტრკულტურისა, როგორც მეხამრიდი და განმმენდი ჩვენი ყოფისა. ვინ არიან კონტრკულტურის წარმომადგენლები? – ისინი რჩეულნი და ხშირად ზვარაკად ედებიან ჩვენს არსებობას და თავს სწირავენ, რათა ჩვენ არ გადავიქცეთ მხეცებად.

ასეთი იყო ქრისტე. ქრისტე ტრადიციულ იუდეური კულტურის მნგრეველად მოვლენა ქვეყანასა, ათი მცნების შიგნით მან თვალთმაქცობა გაწმინდა და ახალი ტაძარი ააგო. ქრისტე ერთდროულად ქადაგებდა ცეცხლსა და მახვილს და უაღრეს შებრალებასა და მოტევებას. იგი იყო ერთდროულად დამნაგრეველი ტრადიციისა და კულტურის შემოქმედიც.

ასეთები არიან ძენ ბუდიზმის მომდევრები. ძენში საგანგებოდ გამოიყოფა ტრადიცია სიწმინდეების შერყვნისა და ბუდას სახელის ძაგებისა. ძენის მოძღვარნი საჯაროდ ლანძღავენ ბუდას სახელს და მას უწმაწურ სიტყვებს უწოდებენ. აქ ლაპარაკია არა ფსევდონიმზე „იდიოტი“ ბატონო ნოდარ, არამედ, ღვთაების უაღრეს შეურაცხყოფაზე და ეს საგანგებოდ კეთდება იმისათვის, რომ ადამიანმა არ დაივიწყოს ღმერთი იმისათვის, რომ ღმერთის სახელი არ გახევდეს და არ გაუბრალოვდეს.

ასეთები არიან სუფიტები, ანუ მოხეტიალე დერვიშებიც, რომლებიც იოანე ნათლისმცემელივით მარტივი მოსასხამით შემოსილნი ირანში, საქართველოსა და ინდოეთში მოძღვრავდნენ ხალხს. მიჯნურთა და ხელთა იერით ისინი ეძიებდნენ ღმერთს და, სასიყვარულო ლირიკის ენსაზეში შესულნი, უერთდებოდნენ თავიანთი ტრფობის ობიექტს. როგორც ფარვანა სანთლის შუქის ირგვლივ მოფარფატე, იწვებოდნენ და უერთდებოდნენ პირველსაწყისს.

ასეთი იყო მაისტერ ეკჰარტი, რომელმაც ღმერთის განსაზღვრებისა და რელიგიური ერთგულების უნიკალური მაგალითი მოგვცა: „მე მირჩევნია ვიყო ჯოჯოხეთში ღმერთთან ერთად, ვიდრე ცათა სასუფეველში მის გარეშე“.

ასეთი იყო ლაო-ძი, რომელმაც მთელი ცხოვრება ბავშვის თვალებით უყურა სამყაროს და შექმნა „დაო დე ძინი“ – ნააზრევი, ლიდი საკიდური ჩინური კულტურისა. გავიხსენთო, რა ჰქვია ადამიანს, რომელიც აბვშვის ფსიქიკური განვითარების დონეს არ სცილდება მოზრდილ ასაკში – „ოლიგოფრენია – თანშობილი ან ჩვილ ასაკში შეძენილი განუვითარებლობა ფსიქიკური უნარებისა. გამოირჩევა ოლიგოფრენიის სამი ხარისხი – დებილიზმი, იმბეცილობა და იდიოტია“. ტრადიცია და მიღებული წესი სიტყვებს „დებილი“ და „იდიოტ“ სალანძღავად იყენებს, უფრო რბილად, შეიძლება ვინმეზე ვთქვათ: „ბავშვივით აზროვნებს“, „ბავშვობიდან ვერ გამოვიდა“ და ტონი ამ გამოთქმათა არის დაცინვითი, ან უკეთეს შემთხვევაში, კნინობითი. მაგრამ გვახსოვდეს, რომ ეს ის მდგომარეობაა, რომელსაც ქადაგებდა ქრისტე, როგორიც იყო ლაო-ძი, რისკენაც მიილტვიან მისტიკოსები, ისეთი კი, ვინც „გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან“ და „დალაგებული აზროვნება აქვს“, მოიძებნება მილიარდობით.

ყოველივე ეს საფუძველი და ლოგიკაა იმ სულიერი მიმდინარეობისა, რომელსაც კონტრკულტურა ეწოდება. კონტრკულტურაა მისტიციზმი, სუფიზმი, ძენი – ესაა ის ფენომენი ჩვენი ცივილიზაციის შიგნით, რომელმაც უნდა გამოგვაფხიზლოს და არ გადაგვაქციოს ინკვიზიტორებად თუ ნაცისტებად.

კონტრკულტურაა, როდესაც ბრძენნი იდიოტი ჰქვია და წმინდანს – შლეგი.

კონტრკულტურის გარეშე დაიღუპება ის, რასაც ცივილიზაცია ჰქვია.

დარნმუნებული ვარ, ბანქოს დასტა უცნაო არაა ჩვენი მკითხველისათვის, ჯოკერიც გითმამაშიათ. „ჯოკერი“ – მასხარა ყველაზე მაღლა დგას ბანქოს იერარქიაში. რატომ? გასაოცარი არაა ჯოკერი სჯობნის მეფესა და დედოფალს? ჯოკერი ხომ იდიოტია? მაგრამ ასეთია ბანქოს ლოგიკა, ბანქოსი, რომლის ფესვებია ძალზე ღრმად – ტაროს ტრადიციაში იმალება. რომელიც, მკვლევართა აზრით, ეგვიპტელ ქურუმთა მიერ კოდირებული მისტიური ცოდნის მოდელია.

ტაროს დასტაში, ჯოკერს სხვაგვარად სულელი ეწოდება, ამ ფიგურის სიმბოლიკის ინტერპრეტაცია, მოკლედ, შემდეგია:

„როდესაც მოდის დრო, და ეს ყოველივე ის ასე ხდება, როდესაც ძველი წესები, საჯაროვნო სტრუქტურები, რწმენა და ცრურწმენები კარგავენ ძალას და ვეღარ ასრულებენ თავის სამსახურს, მაშინაა საჭირო წმინდა სულელი. იგი ცხოვრობს თავის შიდა სამყაროში და, ამდენად, არაა შეზღუდული იმ საერო შეთანხმებებით ან საზოგადოების ნორმებით. ღმერთები, ან ბრმა შემთხვევა არჩევენ იდიოტს, რომელიც გადაარჩენს და გარდაქმნის საზოგადოებას. ხანმოკლე დროით იგი ხდება მეფე (რადგან მხოლოდ ხანმოკლე სიგიჟეა მისაღები) და ბევრი ცდილობს მერე, თუ ბედი სწყალობს, ააღორძინებს სამყაროს.

არის ხოლმე მომენტები ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ჩვეული აზროვნება დრომოჭმულია. მაშინ დგება დრო წმინდა სიგიჟისა (ბანიის). აქ არ არსებობს კანონები, რადგან სწორედ კანონებია ის, რაც გაუფასურდა. ერთადერთი გამოსავალი უფსკრულში გახლეჩებული ნახტომია, ჩვენ შესაძლოა, გადარჩენის იმედი გვქონდეს, მაგრამ ამისი გარანტია არ არსებობს.

იდიოტი წარმოადგენს დაუთრგუნველ სიცოცხლის სულს, რომელმაც გადმოლახა ჯაბირები, ბობოოქად მოედო არემარეს და ახალი კალაპოტი გაჭრა“.

საქმე ისაა, ბატონო ნოდარ, რომ ნებისმიერ თეზისს, და ეს თვქენ, როგორც არა მარტო ფილოლოგმა, არამედ ფილოსოფოსმა, ჩემზე კარგად იცით, სჭირდება ანტითეზისი იმისათვის, რომ მოხდეს სინთეზი და განვითარება. ასეთი ანტითეზისია ის, რაც უცნობი ავტორის მიერ „ეეფხისტყაოსნის“ გააზრებაში გვეძლევა დღეს. და ეფიქრობ, ასეთი არატრადიციული ხედვა დღევანდელ ჩამყაყებულ ყოფაში, მხოლოდ მისასალმებელია.

თუნდაც მივუბრუნდეთ ერის ავტორისეულ განსაზღვრებას. ავტორი დავით აღმაშენებელის ეპოქაზე საუბრისას აღნიშნავს: „ჩემი აზრით, ეროვნულობის უმთავრესი ნიშანი – მკაფიოდ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული საერთო-სახალხო მენტალიტეტია, ხოლო ინდივიდი ამ ასპექტში ფასდება იმით, თუ რამდენად აქვს მას გათავისებული ეს საერთო-სახალხო ანუ ეროვნული მენტალიტეტი. სხვანაირად, იმდენინდელი (და – არა მხოლოდ იმდენინდელი!) „ქართველის“ განსაზღვრებისას აუცილებლად ჩნიში მოვექცევთ, რადგან საქართველოს იმდროინდელ მოსახლეობაში ფიქსირდება სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი, საკუთარი სუბკულტურის მქონე უამრავი (ხშირად მრავალრიცხოვანი) ეთნიკური ჯგუფი: საკუთრივ ქართველები, ებრაელები, სომხები, ოსები, ბერძნები, ყიფჩაღები, თურქები, არაბები, სპარსელები და სხვანი“ – განა ეს არაა პასუხი იმ აბსურზზე, რომლის მსხვერპლიცაა დღეს ჩვენი გათიშული და დანგრეული საქართველო? განა ეს არაა პასუხი იმ ტრაგიკულ თვალთმაქცობაზე, რომელსაც „ეროვნების გრაფა“ ჰქვია და რომელსაც ბატონი გურამ შარაძე ასე აქტიურად მოსავს ეროვნულ საბურველში. განა ეს არაა პასუხი იმ ტყუილ იდეალებზე ზე-ქართველისა და ზე-საქართველოსი, რომელმაც ორასწლიანი ნანატრი დამოუკიდებლობის და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სიხარულის ნაცვლად, ეროვნული მოძრაობისა და იდეალების სრული დაკნინება მოიტანა. ჩვენ, სამწუხაროდ, აღმოვჩნდით მსხვერპლი ამ ტყუილისა და ამ ტყუილს ეწირება ჩვენი სახელმწიფო დღესაც.

იდეალი ცოცხალი მხოლოდ მაშინაა, როდესაც მის უკან ცოცხალი ადამიანი დგას და ემსახურება მას, ხოლო თუ იდეალი გახევდა, იგი კვდება. ასე კვდება ერი, ცივილიზაცია, რელიგია. სწორედ ასეთ დროსაა საჭირო ახალი ხედვა და გამბედაობა გადადასებისათვის.

განა არ გვჭირდება გამოფხიზლება? განა არ უნდა გადავაფასოთ დღეს ყველაფერი ქართული – ანუ შერეული ნიდა დაპატიმრებული ჩვენი საზოგადოების მიერ?

ბატონო ნოდარ, დღეს საქართველოში გაბატონებულია კორუფცია, ქვეყანაში ბრძოლაა იმის თაობაზე, ვის რამდენი ეროვნება და არა იმაზე, ვის რამდენი ეკალ^ა^ა... გაზულქმებული ჩინოვნიკები დღეს ძარცვავენ ქვეყანასა. როგორ ფიქრობთ, ბატონო ნოდარ, რანაირად ცხოვრობენ ისინი? ისინი ხომ არ იკრიბებიან მსაოწყო ლოკეებში ან სატანისტურ შაბაშებზე? ისინი უსხედან ქართულ სუფრას და ქართულ ღვინით, აი, ამ თანმიმდევრობით სვამენ სადღეგრძელოებს: „თამადის“, „მშობლების“, „ჩვენი ბედკერული მამულის“, „ტკბილი მოგონებების“... „დაშლა – არ მოშლის“.

ბატონო ნოდარ, „ეეფხისტყაოსანი“, იმ გაგებით, როგორც დღეს ის ესმით, ამ ხალხის ხელშია და იგი მკვდარია; სწორედ იმისათვის, რომ გაცოცხლდეს „ეეფხისტყაოსანი“, საჭიროა მისი ახალი წაკითხვა.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ – წაკითხვა სიცოცხლეა და არა ჭეშმარიტება. მე არ მინდა კამათი უცნობი ავტორის მიერ წარმოდგენილი „ეეფხისტყაოსნის“ ინტერპრეტაციის შესახებ, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ჩემთვის წარმოდგენილი პოზიცია ძალიან ახლოა, მაგრამ ახლოა არა მხოლოდ როგორც „პოზიცია“ ან „მეცნიერული აზრი“, თუმცა ასედაც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად ახლოა, როგორც თანამედროვე გაცოცხლება დიდი მისტიური ძალის მქონე ტექსტისა. ვფიქრობ, ავტორი შემთხვევით არ აღნიშნავს, რომ ისტორიის განმავლობაში, „ეეფხისტყაოსანნი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც კი იქცა!“ – მას ეს ძალა დღესაც აქვს. და დღეს, ის ინტერპრეტაცია, რომელსაც სუფიზტური ინტერპრეტაცია შეიძლება ვუწოდოთ ჰოემისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია სოციალურ ასპექტში.

ამდენად, მინდა მადლობა გადავუხადო უცნობ ავტორს და ბატონ ნოდარ ნათაძეს, რომელთაც, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო პოლემიკა გამართეს. თქვენი პოლემიკა განსაკუთრებულად სასიამოვნოა მკითხველისათვის და მე ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავ გაგრძელდება.

**ბეორგი ბარგველაშვილი**
*ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი*

# Who is he?

„ვინ მაოცებს ყველაზე მატად?!
ის, ვინც არ მიცნობს,
და მაინც აუგად მიხსენიებს!“

*პლატონი*

„დე, წერო! ოღონდ
შენ იცოდე, ზეცავ, სიმართლე!“

*ედიტ პიაფი*

უჩინმაჩინი, „რუსთველისაგან“ განსხვავებით, რომელსაც XII-XIII საუკუნეების მემატიანეები კატეგორიულად „არ იცნობენ“, გუზანი იმავე პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთობ პოპულარული პიროვნებაა. თუმცაღა, ეს იც ვთქვათ, ბარემ: მისი პოპულარობა – „იუფას პოპულარობა“ გახლავთ!

... დიახ, მას მოიხსენიებს – და, როგორც წესი, ნეგატიურ კონტექსტში! – სამივე ქართველი მემატიანე, რომლებიც „საქართველოს ოქროს ხანას“ აღწერენ: თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ბასილი ეზოსმოძღვარი („ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“) და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება დიდისა მეფეთა-მეფისა თამარისი“). ამ წყაროებიდან ყველაზე დიდი მოცულობის მასალას გვანდავს „ისტორიანი და აზმანი...“, რომელიც ხუთ ეპიზოდს შეიცავს გუზანის მოხსენიებით; დანარჩენი ორი კი – მხოლოდ თითო ასეთი ეპიზოდის შემცველია. შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად, კრიტიკულად გავაანალიზოთ ინფორმაცია, რომელსაც ეს წყაროები გვანვდიან.

დავიწყოთ ბოლოდან.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა ყველაზე ლაკონიურია – იგი სულ ორიოდე ფრაზით იფარგლება: ***„მისსა (თამარის) სამეფოსა შინა ერთიეცა მსახური არ განპატიჟებულა, თვინიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თუალნი დასწნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“.***

ამ მოკლე ცნობაში ოთხი მომენტი იქცევს ყურადღებას:

პირველი – გუზანი მოხსენიებულია **ტაოსკარელად**. ვფიქრობ, გვაქვს უფფება ვივარაუდოთ, რომ, როგორც ჩანს, ისტორიკოსს უსარგებლია რაღაც განსხვავებული, ადრეული პერიოდის დოკუმენტით, სადაც ჩვენი გმირი ახალგაზრდობისდროინდელი ტიტულით იყო მოხსენიებული, ალბათ, ჯერ როგორც მხოლოდ სასეფეწნული მამულის, ციხე-ქალაქ ტაოსკარის მფლობელი. და, თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ერისთავთა ერისთავის თანამდებობა (რომ იგი სწორედ ამ „სახელის“ მფლობელი იყო, ქვემოთ ირკვევა) მას შემთხვევით არ ჩავარდნია ხელთ: იგი იმ ფეოდალური სახლის, იმ გვარის ერთ-ერთი წარჩინებული წევრთაგანი გამოდის, რომელსაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა;

მეორე – გუზანი დაუპატიმრებიათ არა საქართველოში, არამედ–**„გაღმა გასული სპარსეთს“**, ანუ: ამ კაცის დაპატიმრება – დასაჯა არ ყოფილა პროგოიერებული მისი იმყამინდელი საქმიანობით, არამედ ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო, როგორც **სპეც. ოპერაცია სპაში სახელმწიფო დამნაშავის შემდგომი ქმედებების აღკვეთის მიზნით** – ანუ, უბრალოდ, როგორც **შურისძიების აქცია** უკანასკნელის მიმართ;

მესამე – „გუზანი შეუპყრია ვინმე **ზაქარია ასპანის ძეს**, და მეოთხე – დაპატიმრებული გუზანი **„დარბაზისათვის“** (ანუ სახელმწიფო საბჭოსათვის) **გადაუციათ**.

როგორც ვხედავთ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე საერთოდ თავს იკავებს გუზანის „დანაშაულის“ აღწერა-შეფასებისაგან (თუმცა, ეს საკმაოდ მოულოდნელად და გაუგებრადაც კი გამოიყენება – თუნდაც იმიტომ, რომ ეს პიროვნება უკვე ყველასათვის არის ცნობილი, როგორც **ერთადერთი დასჯილი დიდგვაროვანი თამარის მეფობის დროს!**). ავტორი მხოლოდ მისი დაპატიმრებისა და დასჯის ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება...

ამ ამბების განსხვავებულ სურათს ხატავს ბასილი ეზოსმოძღვარი: ***„ესე (გუზანი) შეიპყრეს მოიბაეთა თივისათა და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყალება თამარისი, ამისათვის მისსა შეკითხვამდის თვალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთისა“.***

როგორც ვხედავთ, აქ არსადაა **ნახსენები** არც **ზაქარია ასპანის ძე**, როგორც გუზანის „ამყვანი“ (იგი შეუპყრიათ ვიღაც „მთიბავთა თივისათა“), არც – დარბაზი, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა – და, მათ შორის, გუზანის „საქმის“ – შემსწავლელი, სამართლის გამჩენი და განაჩენის გამომგანი ორგანო. პირიქით, **ბასილი ხაზს უსვამს, რომ არავითარი სასამართლო და საქმის განხილვა არ ყოფილა.** დავით მეფეს, რომლისთვისაც გუზანი მიუგვრიათ, კარგად სცოდნია რა თავისი მეუღლის მოწყალე ხასიათი (და, იქნებ, დარბაზის წევრთა ფარული სიმპათიებიც გუზანის მიმართ!), „მისსა შეკითხვამდის“ დაუსჯია იგი თვალების დაწვით. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში დავითს მარტო „სახელმწიფო ინტერესები“ არ ამოძრავებდა, მას საკუთარი „ანგარიშების“ გასწორება სწადდა გუზანთან და ეს შემთხვევა (თუკი ეს – შემთხვევა იყო!) ხელიდან არ გაუშვა!

ბასილის, როგორც თამარის აპოლოგეტსა და მისი პოლიტიკის აგიტატორ-პროპაგანდისტს, არ შეუძლია (ან, იქნებ, უფლებაც არა აქვს!), ფაქტების უბრალო კონსტატაციით დაკმაყოფილდეს და გუზანის „დანაშაულს“ ასე აღწერს: ***„გუზან, ღირსი სიკუდილისა... ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“.*** როგორც ვხედავთ, ჩვენი გმირი აქ ყოველგვარი ტატუსატურის გარეშე მოიხსენიება, როგორც ერთი ვინმე ჩვეულებრივ ავაზაკთაგანი და ამას ხაზიც ესმევა: იგიო, – „ავაზაკობდა მალვით“. ბასილი ამბობს, რომ გუზანი არის „ღირსი სიკუდილისა“, რადგანაც ის, თურმე „ორგულებით განდგა“, მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს „განდგომა“, ან, საერთოდ, ვინ არის, რა კაცია ეს „გუზან, ღირსი სიკუდილისა“ – ამაზე ბასილი სიჩყვასაც არ ძრავს. ალბათ, იგულისხმება, რომ მისმა თანამედროვეებმა თვითონაც მშვენივრად უწყიან გუზანის ვინაობა და „საქმენი საგმირონია“, მომდევნო თაობებმა, შთამომაელობამ კი – არც არის საჭირო, რომ იცოდეს!

... ვაუგებარია, აგრეთვე, რა იგულისხმება ბასილის სიტყვებში „ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთა“ (თუ რატომაა გაუგებარი, ამის შესახებ – ქვემოთ...)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის სახით ჩვენ საქმე გვაქვს... გუზანის ფარულ გულშემატკივართან! ერთი მხრივ, იგი მოვალეა (ან, იქნებ სულაც, იძულებული!), საჯაროდ დაგმოს გუზანი და გაემეიჯნოს მას, როგორც „სახელმწიფო დამნაშავეს“, მეორე მხრივ კი – ჯერ შეფარვით (აქაც და ისევ – შეფარვით!) მიგვანიშნებს სიტუაციის ალეგიკურობას, (გუზანი, როგორც შემდეგ შევიტყობთ, ტაოს ერისთავთა-ერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი, რატომღაც „კოლას სადმე“ – ე.ი. ფეოქტობრივად, „საკუთარ ტერიტორიაზე! „... მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“!), შემდეგ კი პირდაპირ, აშკარად გვეუბნება, რომ მისთვის, ყოველგვარი გამოძიება-გასამართლების გარეშე, – დაუთხრია თვალები დავით სოსლანს – ვითომდა, იმის შიშით, რომ თამარს, თავისი მოწყალე ხასიათისა გამო, დაუსჯელი არ დაეტოვებინა იგი, „ღირსი სიკუდილისა“!

... და თუკი ჩვენი ეს უკანასკნელი ვარაუდიც სწორია, მით უფრო საინტერესო და აუცილებელიც კი ხდება, ბოლომდე ჩაეწვდეთ გუზან ტაოელის „დანაშაულის“ არსს, მისი „განდგომის“ მიზეზსა და მიზანს, რადგან ყოველივე ამაზე, შესაძლოა, ბასილი ეზოსმოძღვრის ვინაობასაც მოჰფინოს ნათელი...!

„ისტორიანი და აზმანი...“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხუთ ისეთ ეპიზოდს შეიცავს, სადაც გუზანია მოხსენიებული, მაგრამ მათგან ერთი (რიგით V), ფაქტობრივად, ჩვენთვის არავითარ საინტერესო ინფორმაციას არ იძლევა (აქ თამარის გულმოწყალებაზეა ლაპარაკი; ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე შენყალებულსა და „მსუბუქად“ დასჯილს ჩამოთვლის მემატიანე და მათ შორის მოიხსენიებს გუზანსაც), მეორე კი (რიგით III ეპიზოდი) – მხოლოდ გიორგი რუსის რევანშისტულ „პუტჩში“ გუზანის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებს, ისიც არაპირდაპირ: „პუტჩისტთა“ თავშეყრის ადგილი სწორედ გუზანის რეზიდენცია ყოფილა (ვარდენ დადიანმო „გაგზავნა ლაშქარნი ქუეყნისანი და მივიდეს გუზანისაჲ. მუნით ნარმოვიდა რუსი და... მივიდეს გეგუთს“). სამაგიეროდ, დანარჩენი სამი ეპიზოდი (რიგით I, II და IV ეპიზოდები) თითქმის ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს გუზანის პიროვნებაზე, საკუთრივ მისსა და მისი ოჯახის, „პუტჩის“ შემდგომ ბედზე...

კერძოდ, „პუტჩის“ ჩაშლის შემდეგ, ***„... გუზან, პირველთგანვე ნარმწყემედილი თავისა, აწცა გამმტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხვათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა, და სამძიგარი სხუთა აზნაურისშვილებითა, რომელთა თანა იყო მეკვინეთუხუცესიცა სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა. მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა და შაჰარმენის ლაშქრითა მისლვა გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად და ციხეთა შინა თურქთა შეყენებად. დაღაცავთ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტნისა დროშისანი და ესენი მეცირენი, და მხსენებელთა ქრისტესსა სჯულისასთა და თამარის ბეღისა და სიმარილისათა, შუმმა ჰყვეს და სიდიდითა მათითა და სიკეთითა დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს. ბოლოდ, მათთა გამქცეველთა და ამომწყუდველთა, ხელთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანაშემოქცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი...“ (რიგით IV ეპიზოდი).***

„გავშეფოთ“ ეს ინფორმაცია: „პუტჩის“ ჩაშლა-დამარცხების შემდეგ გუზანს, თითქოსდა, განუზრახავს ტაოსკარის, ვაშლოვანისა და სხვა მრავალი ციხის გადაცემა შაჰარმენისათვის, რისთვისაც წასულა ამ უკანასკნელთან ერთგული აზნაურებისა და **უფროსი ვაჟიშვილის** თანხლებით („სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“), რომელსაც ამ დროისათვის უკვე სჭერია სამეფო კარის **მეკვინეთუხუცესის** საპატიო თანამდებობა....

შემდეგ ამ ეპიზოდს წყვეტილობის აშკარა ნიშნები აქვს: გუზანისა და მის თანმხლებ პირთა შაჰარმენთან „გადასვლის“ მონაკვეთზე სრულიად ულოგიკოდ, ყოველგვარი „გადასვლის“ გარეშე არის მიბმული („გადაბმულიც“ კი არ ეთქმის!) მისი ვაჟისა და შაჰარმენის დიდი ჯარითურთ უკან შემოქცევის მონაკვეთი – როგორც მემატიანე თვლის, „გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად“ (რომელთა თან ნაყვანა მამა-შვილს, როგორცა ჩანს, ვერ მოუსწრია) და „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“ (?!)...

... ასეა თუ ისე, საქართველოს საზღვარზე გადმოსულ თორმეტთასიან ჯარში („პაპრონნი თორმეტისა დროშისანი“) თვითონ გუზანი უკვე აღარ ჩანს: ფიგურირებს მხოლოდ მისი ვაჟი – „სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“ – მეკვინეთუხუცესი – და, შესაძლებელია- შაჰარმენიც, საკუთარი პერსონით...

აი, გადმოკვეთეს მათ საქართველოს საზღვარი და „გავიდეს მთასა კოლისასა“. აქ კი საქმე მათთვის მოულოდნელად დატრიალებულა: „მიეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი (სწორედ ეს „ზაქარია ფანასკერტელი“ უნდა იყოს „ზაქარია ასპანის ძე“, რომელსაც ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე იხსენიებს) და ძინიელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. რაღაც მანქანებით (?!) ისინი მაშინვე („შეყრასავე თანა“!) მიმხვდარან (როგორ, რანაირად?), რომ ეს ხალხი მოდიოდა არა მარტო „გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად“, არამედ, აგრეთვე, „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“. მიმხვდარან, და უკანაც აღარ დაუხვევიათ: მიუხედავად იმისა, რომ, რიცხობრივი სიმცირის გამო, „დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს“, მაინც – „ქრისტეს სჯულისათა და თამარის ბეღისაცა სიმარილისათა“ წყალობით – უკუთქციეს მონინააღმდეგე, ხელთ იგდეს გუზანის ცოლ-შვილი, ხოლო უკან დაბრუნებულებმა აიღეს „ციხენი და სიმაგრენი“...

ისევე როგორც სხვა მრავალი მომენტიც, ეს ეპიზოდი ჩემმა გარკვეულ ეჭვებს აღძრავს. თავად განსაჯეთ:

ავტორი ამბობს, რომ გუზანი არის „გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა“. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს „გატანა“? აკი, ორიოდე ფრაზის შემდეგ, თვითონვე აღიარებს, რომ გუზანის ვაჟთან ერთად, შაჰარმენი მოდიოდა „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“, ე.ი. იმ მომენტისათვის, როცა შაჰარმენისა და ფანასკერტელის რაზმები ერომანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ტაოსკარიც, ვაშლოვანიცა და სხვა ციხეებიც ჯერ ისევ ქართულ გარნიზონებს ეკავათ! პრობლემა იმაში თუ მდგომარეობდა მხოლოდ, რომ, როგორცა ჩანს, ეს გარნიზონები თავისი პატრონის – გუზანის მიმართ ინარჩუნებდნენ ერთგულებას...

და კიდევ: თუ გუზანს, შაჰარმენის ჯარის მოყვანამდე, მხოლოდ განზრახული ჰქონდა ასეთი რამის ჩადენა (არადა, ასე გამოდის!), ვინ აუწყა ამის შესახებ ჩვენს მეისტორეს? ან ზაქარია ფანასკერტელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა როგორ შეძლეს ასე, თვალის ერთი შეკვლებით, მომხდურთა „ავი ზრახვების“ განჭვრეტა?

... თქვენი არ ვიცი და, მე კი ნამდვილად არ მჯერა, ზაქარია ფანასკერტელსა და მის ხალხს იმ დღეს „დიდად დაჭირვებული ომი“ გადაეხადოს, მით უმეტეს, რომ ამ „აშკარად უთანასწორო ბრძოლაში“ მათ დანაკარგებიც კი არ ჰქონიათ (წინაღმდეგ შემთხვევაში, არათუ მათი მოხსენიება არავის დაავიწყდებოდა, არამედ მონაკიცემების „გაბერვასაც“ არ მოერიდებოდნენ) ჩემი ვარაუდით, სულ სხვანაირად იყო საქმე და, აი, როგორ:

ბუზანსა და მის უფროს ვაჟს ნაჩქარევად მოუხდათ საქართველოს დატოვება (ამ აჩქარების მიზეზი ათასნაირი შეიძლება ყოფილიყო), ოჯახის დანარჩენი წევრები კი სამშობლოში დარჩენილან. ზაქარია ფანასკერტელი, რომელსაც, შეიძლება, დავალებული ჰქონდა „გუზანის საქმის მოგვარება“, მაგრამ ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ მას საკუთარი ინიციატივით ემოქმედა (კარიერისტები და მაამებლები

# Who is he?

ყველა დროში უხვად არიან!), მაშინვე მიხვდებოდა, რომ მამა–შვილი დიდხანს არ დატოვებდა უყურადღებოდ ბედის ანაბარა მიტოვებულ საკუთარ ოჯახს. ამიტომ მან, მე ვფიქრობ, სასწრაფოდ ხელი იგდო და მძეულად აიყვანა ეს უმწეო ადამიანები (ქალი და მცირეწლოვანი ბავშვები), ხოლო, მოგვიანებით, შეიარაღებულ რაზმად ერთად დახვდა რა კოლას მთასთან საზღვარზე გადმოსულ მეღვინეთუხუცესს (თვითონ გუზანი, ვიმეორებ, ამ ისტორიაში არსად ჩანს), მის დასაშანტაჟებლად გამოიყენა ისინი, რის შედეგადაც გუზანის ძე უომრად, – ან თითქმის უომრად ,– გაბრუნდა უკან,. არა მგონია, მხოლოდ მომხდურის უკუქცევა ყოფილიყო ზაქარია ასპანის ძის მიზანი: იგი, ალბათ, იმედოვნებდა, რომ ქალისა და ბავშვების (ანუ გუზანის ცოლ-შვილის) განთავისუფლებისა და ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ, გუზანი და მეღვინეთუხუცესი ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ მას. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა: გუზანი აქ საერთოდ არ აღმოჩნდა, მისი ვაჟი კი, ან არ ენდო ფანასკერტელის სიტყვას, ან თვითონ ფანასკერტელმა აღარ ცნო საჭიროდ თავისი გეგმის განხორციელება, რადგან მას, ჰირეული რიგში, მამა (გუზანი) სჭირდებოდა და არა–შვილი (მეღვინეთუხუცესი)!

მართალია, ეს გეგმა ვერ განახორციელა, მაგრამ ზაქარია ასპანის ძეს ის მაინც მოუხერხებია, რომ „მძიმე ომგადახდილსა" და უკუუმოძოცეულს აუღია „ციხენი და სიმაგრენი ალბათ, იმავე მეთოდის (შანტაჟის) გამოყენების გზით ხოლო გუზანის ერთგული (ცხადია, ქართული!) გარნიზონები თავისი ხალხით შეუცვლია...

რა თქმა უნდა, გუზანი არც ამის შემდეგ აიღებდა ხელს ცოლ-შვილის განთავისუფლების მცდელობაზე: რაკილა მიხვდა, რომ დიდი ძალებით საქართველოს საზღვარზე შეუმჩნეველად ვერ გადმოვიდოდა, იგი, როგორაც ჩანს, მარტო (ან რამდენმე კაცის თანხლებით) დაბრუნებულა და, ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებით, „ლოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით", ანუ ცდილობდა, თავისი ცოლ-შვილის ადგილსამყოფელი დაედგინა და როგორმე ტყვეობიდან გამოეხსნა ისინი.

რითიც დამთავრდა მისი ეს მცდელობა, ჩვენ უკვე ვიცით...

ზემოთ უკვე ორჯერ მომიხდა იმის აღნიშნვა, რომ გუზანი ვიღაც უბრალო მარაგზის ყაჩაღი და ავაზაკი კი არ ყოფილა, როგორც ეს ზეიძლება მოეჩვენოს ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტების წამკითხავს, არამედ ტაოს ერისთავთაერისთავი და კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელნი გახლდათ. მე ვეყრდნობოდი სწორედ „ისტორიანი და აზნაური" იმ ცნობას (რიგით II ეპიზოდი), რომელიც ახლა აქ სიტყვასიტყვით მომყავს: ბიზანტიიდან შემოქცეულ გიორგი რუსს **„პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა".**

ბოლომდე და სრულად რომ გავიცნობიეროთ ჩვენი გმირის სოციალური წარმოშობა და მდგომარეობა, მისი ადგილი სახელმწიფო იერარქიაში, ორიოდე სიტყვით შევახსენებ მკითხველს იმას, რაც სადღესაოდ კარგადაა ცნობილი ისტორიული მეცნიერებისათვის და არანაირ ეჭვს არ იწვევს.

კერძოდ: იავნე ჯავახიშვილის აზრით, **„ *საქართველოში სამეფოს მემკვიდრეც, მისი სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლების პატრონად, მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მონინავე წრეც, რომლის ნევრებსაც ეწოდებოდათ „მკუიდრნი ქუეყნისანი", ან „მკუიდრნი სამეფოსანი" და რომელნიც, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი დიდმნიშვნ- ელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მოჩანან".***

ამ „მცხოვრებთა მოწინარე წრეს", უპირველეს ყოვლისა, ერისთავთ–ერისთავები შეადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილისავე ცნობით, „გიორგი III- ისა და თამარ მეფის დროს საქართველოში ერისთავთერისთავები იყვნენ: სვანთა ერისთავთ-ერისთავი, რაჭის ერისთავი, ცხუმისა, ოდიშისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა და სამცხისა".

და შემდეგ:

„საერისთერისთავოთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდნენ, რომელნიც ნინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყვნენ.

ის ხელისუფალი, რომელსაც ამგვარი სამთავროს მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, იყო „მჯდომი მეფეთა ადგილსა", „მეფეთა ადგილსა ზედა" დადგენილად ირიცხებოდა და ეს კი საქეყენოდ გამგე ხელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისეცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც (!).

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ორი(!) ამგვარი „მეფეთა ადგილსა მჯდომი"-ა დასახელებული:

ერთი იყო „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა", რომელიც საქართველოს მბრძანებელს „ძუელთა მეფეთა ტაოელთა... ადგილსა შეეწყალა"..., მეორეს კიდევ „ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს ქართველი ისტორიკოსი, „მჯდომსა სომეხთა მეფეთა ადგილსა"...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დიდი მეცნიერის აზრით, **„*თუმცა სხვები მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ საფიქრელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ საერისთერისთაობის ადგილებიც, რომელიც წინათ, გაერთიანებამდეც, დამოუკიდებელ სამეფოებად ითვლებოდნენ, როგორც, მაგ., კახთა და რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით საპატიო სახელისუფლოდ იყვნენ ცნობილნი და ამ სახელთა მქონენნიც „მეფეთა ადგილსა მჯდომად" იყვნენ ცნობილნი".***

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ გუზან ტაოელი, ტაოს ერისთავთერისთავი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, ნამდვილად არის ერთ-ერთი განსაკუთრებით პრივილეგირებული ერისთავთერისთავთაგანი, რადგანაც იგი „მეფეთა ადგილსა მჯდომი" გახლავთ, თანაც არა სხვა რომელიმე მეფეთა, არამედ „მეფეთა ტაოელთა დიდებულთა", ანუ მმართველი [illegible]ინასტიის – ბაგრატიონთა – ნინაპრების „ადგილსა მჯდომ...ა"! ანუ: ის არის უზენაესი სამოქალაქო, სასამართლო და სამხედრო ხელისუფალი მისდამი რწმუნებული ტერიტორიაზე (ბაგრატიონთა მამაპაპაეულ სამკვიდრო მამულზე!), რომელიც, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავს. „რუსთველისაეე" სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა"!

მაგრამ!

ჩვენ კიდევ დაგვრჩა ერთი ეპიზოდი რიგით I. ან ისიც: თამარისა და გიორგი რუსის შეუღლებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილან „კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმინანსნი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აივსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქვეყანა. აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მისი ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცაღა იახლა, მიესწრნეს მესხნი და მარბიელ-გაშუებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქციენეს მუნცა და დაზოცნეს. და მუნითცა მოიღეს ურიცხუი კაცი და ცხენი ნინაშე მეფისა ღმრთივ-გვირგვინოსნისა და დღითი-დღე ალმატებულისა და წარმართებულისა..."

ირკვევა: ტაოს ერისთავთერისთავი სამხედრო საქმეშიც დიდად განსწავლული სარდალი და ძლიერი მეომარი ყოფილა. თუმცა შემატანე აქაც, ისეეე როგორც სხვა შემთხვევებში, აშკარად ცდილობს, დაკანონოს პირადად გუზანის როლი და მისი დამსახურება სხვებს გადაუნაწილოს, მაგრამ ბევრსაც ვერავის ასახელებს („... და ბოცო, და ვინცაღა იახლა, მიესწრნეს მესხნი..." და საბოლოოდ, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, ამ გამარჯვებასაც „ბედსა და სუესა თამარისას" მიიწერს. მიუხედავად ამისა, ფაქტი სახეზეა: გუზანს, პრაქტიკულად მარტო, მცირერიცხოვანი რაზმით („მარბიელგაშუებულთა" სწორედ იმას ნიშნავს, რომ საერისთავთერისთავოს ძირითადი სამხედრო ძალები ადგილზე არა ყოფილან – სათარეშოდ იყვნენ გასული მონინაალმდეგის ტერიტორიაზე) თურქთა უზარმაზარი ურდო დაუმარცხებია, რომლითაც ავსებული ყოფილა „ლარჯეთისა და შავშეთის ქუეყანა". შედეგიც შესაბამისი ყოფილა: „ურიცხუი კაცი და ცხენი" აუყვანიათ დავლად ქართველებს და „ღმრთივ-გვირგვინოსანნი" მეფისთვის მოუთმევიათ...

და – რაც გაკვირვებით უფრო მნიშვნელოვანია – იკრვევა აგრეთვე, რომ გუზან ტაოელის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალმოსილება მხოლოდ მისი პირადი სტატუსით არ განისაზღვრება, არ შემოიფარგლება.

რატომ?

იმიტომ, რომ აქ, ამ ეპიზოდში, პირდაპირაა ნათქვამი: იგი, გუზან ტაოელი, არის ძე, ანუ ვაჟიშვილი აბულასანისა!

ხოლო აბულასანი...

(გაგრძელება იქნება)

ინფორმაცია ქრონიკა

# აქ ბავშვებს თვითდამკვიდრებაში ეხმარებიან

*სულ ერთი წელია, რაც ჩვენს ქალაქში, ფურცელაძის ქუჩაზე, მუშაობს კავშირი **„ახალი ხელოვნება"** (არასამთავრობო ორგანიზაცია), ხოლო მის ბაზაზე – **მანანა ბეგიაშვილის** ლიტერატურული სტუდია. ქალბატონ მანანას ასეთი მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს, ჯერ კიდევ პიონერთა სასახლიდან. იგი ქალბატონ ფაცია პაიჭაძის თანამოაზრე და, მონაფე იყო. შემდეგ მას მიეცა საშუალება დამოუკიდებლად გაეგრძელებინა ეს გზა და, თუ ამ ერთნლიანი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, საკმაოდ წარმატებულადაც.*

*ჩვენს შეკითხვაზე, რა მიზანს ისახავს ლიტერატურული სტუდია და რამ განაპირობა მისი შექმნა, ქალბატონმა მანანამ გვიპასუხა: – ჩემი მთავარი ამოცანაა დაეეხმარო ბავშვს მოზარდს თვითდამკვიდრებაში, ამიტომაც ავიღე ე.წ. რუბიკონის ასაკი 9-17 წელი. მჯერა, აქედანვეა სერიოზული ზრუნვა საჭირო ადამიანის ინტელიგენტად ჩამოყალიბებისათვის. აქ ლიტერატურა მხოლოდ გამოხატვის ფორმაა. მინდა, თითოეულმა ბავშვმა საკუთარი შესაძლებლობის იარნმუნოს, რათა მომავალში თვითრეალიზაცია შედარებით იოლად მოხდეს. ფაქტობრივად, ჩვენთან ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრა უფრო ხდება, ვიდრე ლიტერატურულის, თუმცა ერთი მეორესთან ძალიან ჩაჭიდრნილია. კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი – შილერს აქვს ნათქვამი, რომ თავისუფლებისკენ მიმავალი ყველა გზა ესთეტიკაზე გადისო. სილამაზის აღქმისა და შეგრძნების უნარს კი აღზრდა ბავშვობიდანვე სჭირდება.*

**• ქალბატონო მანანა, რა მეთოდებით აღნევთ ყოველივე ამას?**

• სავარჯიშოებით, რომლებიც არაორდინალურ თემებზე კეთდება. ვცდილობ, რაც შეიძლება დამოუკიდებელი იყოს ბავშვი აზროვნებაში. სწორედ შემოქმედებითი აზროვნებისას (აკადემიურისაგან განსხვავებით) ხდება ყოველგვარი ქვეცნობიერის იმპულსური ამოტანა, ამ შემთხვევაში ქაღალდზე გადმოტანა. შემდეგ, რასაკვირველია, საჭიროა მასზე მუშაობა. მუშაობასაც მე ვასწავლი. თუმცა ისეე იმ თავაარს დავუბრუნდები – მუშაობის სწავლაც არ მოხდება საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების გარეშე. ბავშვი ზარმაცია მაშინ, როცა არ ჯერა საკუთარი თავის და ეშინია, უნიჭოდ არ მონათლონ.

**• აქ, ალბათ, მაინც ჰუმანიტარული მიდრეკილების ბავშვები, ლიტერატურის მოყვარულები მოდიან.**

• არც მთლად ასეა საქმე. ისეთებიც მოდიან, რომლებსაც რაღაც უნდათ, მაგრამ ვერ გაურკვევიათ რა უნდათ. ჩემი მიზანი კი მაინც ყდამაინც ჰუმანიტარული აზროვნების განვითარება კი არა, სტრუქტურული აზროვნების განვითარებაა. არ მინდა, პროფესია განვუსაზღვრო ვინმეს. როცა რაღაცას ვუხსნი, მინდა გავავებინო, როგორ ხდება განფენა, გაშლა, განლაგება. ეს არაა მარტივი. მისი გაგება და სნავლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი სულიერად შენთანაა, როცა ბავშვსა და მასწავლებელს შორის უნიღავი, შინაგანი ურთიერთობაა. ამას გარდა თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს მცნება „ჯგუფური სული". ვფიქრობ, ჩვენს სტუდიაში ასეთი სული ნამდვილად ტრიალებს. ჩვენთან არ არის სირცხვილი, რომ, ვთქვათ, დღეს ერთმა რაღაც ისე ვერ გააკეთა. არავინ არავის არ დასცინის.

მეორე და აუცილებელი, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, ესაა განათლება, რადგან გემოვნება იმის მიხედვით იხვენება და ვითარდება, თუ რა კითხულობს ბავშვი. არიან მწერლები რომლებიც აუცილებლად წაკითხული უნდა ჰქონდეს, მაგალითად, სელინჯერი, ქართველ მწერლობა ხომ თავისთავად და უულაბარაკოდ.

ლიტერატურული სტუდიის მენეჯერი, ქალბატონი **ლიკა მეგრელაძე.**

*მანანას მუშაობის მეთოდი თანამედროვე, ახლებური სიტყვაა „ახალი ხელოვნების" შემადგენლობაში გადასვლაც სწორედ ახალი ფორმებისა და მიმართულებების ძიების აუცილებლობამ განაპირობა. აქ გაცილებით ფართო არეალია საამისოდ. მუშაობის ფორმა ჯგუფურია, თუმცა ყველა ბავშვს აქვს თავისი ადგილი და სახე. საკარჯიშოების შერჩევაც საკმაოდ რთულია – ორი ერთნაირი საკარჯიში არც სტუდიაში და არც საშინაო დავალებად არასოდეს მოუცია მანანას. ეს, ფაქტობრივად, უსაგნო სნავლებაა, რომელიც, ძირითადად, თვითდამკვიდრების პრინციპს ეშყრება და მეთოდიკის სირთულე ესეცაა.*

*ჩვენ ყველა ბავშვის ნამუშევარი გვაქვს შენახული. ისინი თავად აფორმებენ ალბომებს თავიანთივე ნახატებით. ამ ერთ წელიწადში იმდენი მასალა დაგვიგროვდა, რომ სამი დიდი აქცია მოვაწყეთ, საგამოფენო დარბაზში – „ტაიპი". „ჩვენი ქალაქი", „ნაკრილები თოელის პაპას", „ცა-ბე აღსახდი". ამ აქციების მსვლელობისას ბავშვები თემატურად, ციკლებად გაერთიანებულ ნაწარმოებებს კითხულობენ, როგორც განმარტოებისას, ისე აქ სტუდიაში მეცადინეობის დროს შექმნილს. ჩვენთან უკვე ტრადიციად იქცა ყოველი განვლილი ეტაპის შემდეგ ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, შემაჯამებელი აქციის ჩატარება.*

*ვაპირებთ კიდევ ერთი საღამოს მოწყობას – „დიდები ამას ვერასოდეს გაიგებენ". მობრძანდით და თავად დარწმუნდებით, რამდენად საინტერესო და ორიგინალურია თითოეული ბავშვის თვალით დანახული სამყარო.*

ეჭვი არ მეპარება ქალბატონ ლიკას სიტყვებში. ბავშვებს ხომ ასე ძალიან უყვართ ოცნება, ფანტაზიორობა. ლიტერატურა საამისოდ ფართო გასაქანს აძლევს თითეულ მათგანს.

და კიდევ ერთი, ბავშვების ლიტერატურული სტუდიაით დაინტერესებს მასწავლებლის პიროვნული ფაქტორიც განაპირობებს. რაც გინდა, კარგი და კეთილშობილური იყოს ჩანაფიქრი ამ პირობის გარეშე, მას წარმატება არ უწერია. დიდები საგან განსხვავებით კი ბავშვები, ასეთ შემთხვევაში, არასოდეს ცდებიან.

## საუბრები „იდიოტთან“

# „თავნი და პირნი ქვეყნისანი” ამოსავალი და სხვები

აბულასანი, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, კიდევ უფრო დიდი და გავლენიანი ფეოდალი და სახელმწიფო მოხელე ყოფილა, ვიდრე მისი ვაჟი – ტაოს ერისთავთ-ერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი გუზანი გახლდათ...

ამ კაცის ავტორიტეტსა და პოლიტიკურ „წონაზე” თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მისი პოზიცია – აზრი და სიტყვა – თვით ისეთი ძნელი და კარგა ხანს გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებაშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, როგორც ახალგაზრდა თამარისათვის ღირსეული საქმროს შერჩევა და დაქორწინება იყო. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს თამარის პირველი ისტორიკოსი: ერთ-ერთ დარბაზობაზეო, რომელზეც ამ საკითხს განიხილავდნენ, „გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მკუიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა სახელითი აბულასან, და მეტყუელმან თქვა: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდამოუიხუენა ბიძისა, სავალათად წოდებულისაგან. და არს იგი ყივრაყთა მეფისა სვეინჯისა ქალაქსა...”, და ა.შ. და ა.შ. („ისტორიანი და აზმანი...”). ამ გაგნილვის შემდეგ სულ ცოტა ხანში აბულასანის „პროტეეე” რუსი უფლისწული ჩამოიყვანეს და მალევე ჯვარიც დასწერეს.

საოცარია, მაგრამ – ფაქტია: აბულასანი ქართულ მატიანეებში მეორედ აღარსად მოიხსენიება...

სამაგიეროდ, არსებობს სხვა წყაროები. კერძოდ, ესაა ორი წარწერა.

„ერთში (ერთ-ერთი XII საუკუნის ხატის მოჭედილობაზე – „იდ”)... თვით აბულასანი თავის თავზე ამბობს: „შეიწირე... ესე მსახურებაი ჩემგან ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურ(ჭლეთ)უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა”-ო (ე. თაყაიშვილის Арх. экс., II, 70).

მეორეგან – ვერეს ლურჯ მონასტრად წოდებულს (იოანე ღვთისმეტყველის სახელობის – „იდ”.) ეკლესიის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა, ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოსის-ყოფილი, ძე კეთილნათესავისა იობისი” ამბობს, რომ მან ააგო ეკლესია „ნაცვალსაგებელად ჩემთუის და საყუარელისა ძმისა ჩემისა, ერისთავ-ერისთავისა ქართლისა ამირათ-ამირისა რუსთისავისა და შვიდთა მთეულთა პატრონისა აბულასანისათვის” (ე. თაყაიშვილის Арх. экс., IV, 149-150).

ამრიგად, ირკვევა, რომ გუზანის მამა, აბულასანი – ერთდროულად თუ სხვადასხვა დროს – ყოფილა: ერთი მხრივ – „თავადი”, „რუსთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი”, მეორე მხრივ კი – „მეფეთა მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული” „ერისთავთ-ერისთავი”, „ამირათ-ამირა ქართლისა და ტფილისისა” და, ბოლოს, „მეჭურჭლეთუხუცესი”!

ვფიქრობ, გასაგებია, რა ნიშნითაცაა დაჯგუფებული ორად წოდება-თანამდებობების ზემოთ მოყვანილი ჩამონთვალი: პირველი ჯგუფის ტერმინები მფლობელის წოდებრივ და ქონებრივ მდგომარეობას მიუთითებენ, მეორისა კი – მის თანამდებობებს.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა „თავად”-ის მნიშვნელობა.

ეს ტერმინი გამოწვლილვით აქვს შესწავლი ივ. ჯავახიშვილს. აი, რა დასკვნამდე მისულა იგი: „თავადი” აზნაურივით წოდებრივი ტერმინი კი არ იყო, არამედ პირადი ღირსების აღმნიშვნელი... „თავადი” – დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა... „დიდებული თავადი” მთელ საგვარეულოში მხოლოდ „ერთი თავი” ყოფილა და „თავად”-ის დანარჩენ „სახლის კაცებს” მასთან თანასწორი უფლება და მასავით „თავადობა” არა ჰქონიათ... „თავადი”... შეიძლება „უხელოც” ყოფილიყო და არავითარი თანამდებობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო...! დიდებულთა, ნარჩინებულთა და თავადთა ცოლებსაც კი განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონიათ და, თუ ხელმწიფისა და მეფის თანამეცხედრეს „დედოფალი”, „დედოფალთ-დედოფალი” ეწოდებოდა, მათ კიდევ „დიოფალ”-ს და „დიოფალთ-დიოფალ”-ს ეძახდნენ, თორმე... „დიდებულნი”, „ნარჩინებულნი” და „თავადნი”, ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი, „თვალნი და პირნი ქვეყნისანი” იყვნენ”!

მნიშვნელოვანია ჩვენთვის ისიც, რომ აბულასანის საკუთრება ყოფილა (იგი იყო პატრონი!) ... „რუსთავი”, ანე „რუსთავი”!

ახლა – „სახელო” – თანამდებობის შესახებაც ვთქვათ.

თუ რას ნიშნავდა, რა ძალაუფლებას ფლობდა ერისთავთ-ერისთავი, ჩვენ უკვე ვნახეთ თვით გუზანის მაგალითზე: იგი, ფაქტობრივად, მეფისნაცვალი (გნებავთ – გუბერნატორი) იყო დიდი პროვინციისა.

რაც შეეხება „ამირთა ამირა”-ს თანამდებობას, ივ. ჯავახიშვილი, სათანადო წყაროების ნაკლებობის გამო, მხოლოდ ვარაუდობს, რომ ამ დროისათვის იგი, „უმთავრესად, რასაკვირველია, ქალაქის უფროსი იყო”. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ, ალბათ, დიდი ქალაქის (ან, იქნებ, დედაქალაქის) – თბილისის უფროსს – ამირთა ამირა ერქვა და მის ხელქვეით კიდევ რამდენიმე ამირა უნდა ყოფილიყო (ანალოგია: დღეკანდელი „მერი” და „გამგებლები”), ხოლო უფრო მომცრო ქალაქების (ჩვენს შემთხვევაში – ქართლის ქალაქების) სათავეში კი „უბრალო” ამირები მდგარან, რომლებიც ქართლის ამირათა-ამირას ემორჩილებოდნენ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ორივე ეს „სახელო” – თბილისის ამირთა-ამირისა და ქართლის ამირთა-ამირისა – ერთი კაცის კუთვნილება ყოფილა და ეს კაცი – აბულასანი გახლდათ!

საინტერესოა, რომ ამირები და ამირთა-ამირები – მეჭურჭლეთუხუცესის საგამგებლოში შედიოდნენ, მეჭურჭლეთუხუცესი კი... ისევ და ისევ აბულასანი ყოფილა!

„მეჭურჭლეთუხუცესის” შესახებ ცნობილია, რომ იგი ფინანსთა მინისტრი იყო და მეფის სავაზიროში – ვაზირთა ოთხეულში (მნიგნობართ-უხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი) შედიოდა, ხოლო „ღირსებით მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირთა უპირველესსა და მწიგნობართუხუცესს გარდა დანარჩენ ყველა ვაზირს უდრიდა...”! „ამასთანავე იგი „საპატიო” ვაზირად ითვლებოდა”... „მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეით ყოფილა: 1) ძველი ქალაქები, 2) საზოგადოდ ყველა „ქალაქის ამირანი” და „მეჭურჭლენი ქალაქისანი”, 3) ვაჭარნი და აღებმიცემობა, 4) სავაჭრო გადასახადები და ბაჟი, და 5) მეფის ყოველგვარი სავაჭრო და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი”...

(– ყველა ციტატა მოყვანილია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I V, თბილისი, 1982 წ. )

რატომ ვუთმობთ ამდენ დროსა და ადგილს ამ ისედაც ყველასათვის ცნობილი ამბების ხელახლა გამეორებას? რისთვის გვჭირდება ეს?

გვჭირდება, და აი, რისთვის.

უპირველეს ყოვლისა, ზემოთქმული ნათელს ხდის, თუ რატომ და სიიდან იცნობს „ვეფხისტყაოსნის” ავტორი ასე კარგად ქალაქების – დიდი სავაჭრო ცენტრებისა და ნავსადგურების – საქმიან ცხოვრებას, ვაჭართა წრის არა მარტო ტრადიციებსა და სხვადასხვა რიტუალს, არამედ აზროვნებისა და ცხოვრების წესის უამრავ ნიუანსსაც.

საქმე ის გახლავთ, რომ ფეოდალიზმის ხანაში პიროვნების თანამდებობრივი დანინაურება მარტო მისი პირადი წარმატება როდი იყო – იგი მთელი ოჯახის, მთელი გვარის დანინაურებას ნიშნავდა (მით უმეტეს, როცა საქმე გვარის, ფეოდალური სახლის თავკაცისათვის – თავადისათვის რაიმე „სახელო”-ს ბოძებას ეხებოდა): მაშინაც, ისევე როგორც ჩვენს დროში, ასეთი ადამიანი თანამდებობაზე საკუთარ „გუნდთან” ერთად მოდიოდა, რომელიც, ძირითადად, მისი „სახლის კაცებით” იყო დაკომპლექტებული. ოღონდ, ცხადია, ამ „გუნდში” მოსახვედრად მარტო „სახლის კაცობა” არა კმაროდა: აუცილებელი იყო სათანადო ცოდნა-განათლება და კომპეტენტურობა სახელმწიფო აპარატის იერარქიაში სათანადო ადგილის დასაკავებლად... მეორე მხრივ, ასეთ „გუნდში” მოხვედრა ახალგაზრდა მოხელისათვის კარგი სკოლა იყო გამოცდილების მისაღებად ამა თუ იმ სფეროში და, პარალელურად, ტრამპლინიც – მომავალი კარიერისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ჯერ ქართლისა და თბილისის ამირათ-ამირის, შემდეგ კი – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის „გუნდში”ერთ-ერთი უპირველესი და თვალსაჩინო პირი – მისი ვაჟი – გუზანი იქნებოდა...

მეორეც: რუსთველოლოგიაში, რამდენადაც ვიცი, დღემდე არსებობს სამი ვერსია „ვეფხისტყაოსნის” ავტორის ვინაობა-საქმიანობისა. პირველი ვერსიის თანახმად, „რუსთველი” საერო პირი ყოფილა და, მკვლევართა უმრავლესობის აზრით (არის სხვა მოსაზრებებიც), მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა სჭერია; მეორე ვერსიით, იგი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო – სავარაუდოდ, რუსთავის ეპისკოპოსი, და სწორედ ამიტომ იხსენებს თავს „რუსთველად”; მესამე ვერსია „კომპრომისულია” – არც მწვადს წვავს და არც შამფურს: „რუსთველი” სასულიერო პირი კი ყოფილა, მაგრამ, ამასთან მეჭურჭლეთუხუცესის „სახელოსაც” ითავსებდა, თორმე...

სამივე ეს ვერსია, ძირითადად, დაფუძნებულია... ზეპირ გადმოცემებზე! და, მიუხედავად იმისა, რომ პირადად რემში ამ „ზეპირ გადმოცემათა” უმყუარობა ყოველთვის გარკვეულ სკეფსისს ბადებდა (რვაასი წელია, რაც არ უნდა იყოს, გასული!), აღმოჩნდა, რომ მათ მაინც გაჩნიათ რეალური საფუძველი: დიახ, იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ – არა თვითონ „რუსთველი”, არამედ – მამამისი აბულასანი! დიახ, იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი, მაგრამ (ისევ!) – არა თვითონ „რუსთველი”, არამედ – მისი ბიძა ბასილი! აი, ის „ცეცხლი” (სამართლისა), ურომლისოდაც „კვამლი” (გზასაცდენილი, მცდარი აზრიც კი) არ არსებობს!!”

და – მესამე და უმთავრესი:

თუკი სამართლიანად ჩავთვლით ჩვენს ადრინდელ პუბლიკაციებში გადმოცემულ მსჯელობას და იმ მოსაზრებებს, რომელთაც ამ მსჯელობისას ვეყრდნობით, გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსნის” ავტორი სულაც არ ყოფილა ისეთი „უჩინმაჩინი” პიროვნება (არც „მეჭურჭლეთუხუცესი რუსთველის”, არც „ეპისკოპოს რუსთველის” არსებობა XII-XIII საუკუნეების ქართული მატიანეებით არ დასტურდება!), როგორადაც ის ადრე ითვლებოდა: სრულიად ცალსახად იკვეთება არა მარტო პირადად „რუსთველის” ვინაობა და საქმიანობა, არამედ მისი უახლოესი სანათესაოსიც! ჩვენს ხელთაა მთელი „გენეალოგიური შტო” „რუსთველისჯ, რომელიც ასე გამოიყურება:



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პორტრეტი

*„მარჯი, სად ეწყენი,*
*სად ვარ მკადარი,*
*სად ვარ მართალი;*
*პანტოკრატორო,*
*შენს წინ ვდგავარ*
*მუხლმოდრეკილი“*

**ირაკლი აბაშიძე**
*„ხმა ჯვრის მონასტერში“*

ცნობები „რუსთველის“ პორტრეტული გამოსახულების არსებობის შესახებ, კერძოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სამრეთის სვეტის მოხატულობაში, XVIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, დაფიქსირებული იყო ტიმოთე გაბაშვილის, ნიკოლოზ ჩუბინაშვილის, არქიმანდრიტ ანტონინის, დ.ვ. ბაქრაძისა და ალ. ცაგარელის ნაწერებში, მაგრამ უკვე 1902 წ. ნიკო მარმა აღნიშნულ ფრესკას ყველა მიაკვლია, რადგან ამ დროისათვის იგი ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# „იდიოტის" ოდიოზური გამოსვლები

გაზეთმა „ახალმა განათლებამ", დაახლოებით ერთი წლის წინ (19-25 ოქტომბერი 2000 წ. N30 /89), მკითხველს შესთავაზა ახალი რუბრიკა: *„საუბრები „ვეფხისტყაოსანზე" თანაც დასძენდა, რომ „რუბრიკა იქნება ღია და მასში მონაწილეობისათვის ინვეოდა... ყველას, ვისაც აღეძვრებოდა სურვილი „ვეფხისტყაოსანზე" მსჯელობისა".*

... და გაზეთი რუბრიკას იწყებს ალექსანდრე გვახარიას წერილებით - *„ვეფხისტყაოსანის" აღმოსავლური კომენტარები".*

რატომ მაინცდამაინც „აღმოსავლური?"

თავისთავად ეს და ასეთი თემა მეტად სერიოზული და ყოველმხრივ გამართლებული მეცნიერული თემაა. თვითონ წერილებში დასმული საკითხები და, საერთოდ, ამ წერილების სტილი და მისი ავტორის ზნეობრივი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი მეცნიერული ეთიკის ფარგლებში თავსდება.

მაგრამ ჩვენ მიგვანნია, რომ ახალი რუბრიკის ორგანიზატორებმა საგანგებოდ შეარჩიეს „აღმოსავლური" თემა. ამით მათ გარკვეული ნიადაგი მოუმზადეს „იდიოტის" ოდიოზურ გამოსვლებს: „საუბრები „იდიოტთან".

აქვე შევნიშნავთ, სრულებით არაა საეალდებულო ალექსანდრე გვახარია „იდიოტის" თანამოაზრედ და თანამზრახველად ჩავთვალოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, პატივცემულ ალექსანდრე გვახარიას მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული ინტერესები ამოძრავებდა და სხვა არაფერი.

ახლა ვიკითხოთ: რატომ მალავს თავის სახელს „იდიოტი"? განა „ვეფხისტყაოსანზე" მეცნიერული წერილების წერა სათაკილოა? თავის დროზე ივ. ჯაბადარიც მალავდა თავის სახელს „ნ.დ." („ნარ-დონი") ფსევდონიმით, რადგანაც კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა: ასეეე კარგად ესმის „იდიოტს", რასაც აკეთებს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, „იდიოტი" გულუბრყვილოდ ან ვინმესაგან წაქეზებით მოქმედებდეს. მისი ოდიოზური „იდეოლოგია" მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამას ზუსტად მიესადაგება რუსთველის ცნობილი აფორიზმი „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების".

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ამავე საუკუნის 80-იან წლებში, პატრიოტულად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია მიუჯდა „ვეფხისტყაოსანს" მისი ტექსტის წესრიგში მოყვანის მიზნით. რამდენიმე წელინადს მუშაობდნენ და ბოლოს მათი ღვაწლი დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის" ქართველიშვილიეული მდიდრული გამოცემით, 1888 წელს. დიდი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩიც მიინვიეს პოემისათვის ილუსტრაციების შესაქმნელად. ზიჩის მოღვაწეობა ვიწრო ინტელიგენტურ სფეროს გასცდა და საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო. საქმე ისაა, რომ ზიჩიმ მოანწყო „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა „სტატიკური" სცენები. ეს სცენები ისეთი მიმზიდველი და მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ უამრავი დამსწრე-მაყურებელი მიაწყდა. ერთი სიტყვით, ყოველივე ამას ქართველთა პატრიოტული სულისკვეთების დიდი აღმავლობა და აღტყინება მოჰყვა.

საქართველოში გაბატონებულ უცხო თესლს – რუსებს და რუსიფიკაციული პოლიტიკის ქართველ ადეპტებს, ცხადია, თვალში არ მოუვიდოდათ ქართველების ასეთი ეროვნული ზეიმი „ვეფხისტყაოსნის" გამო. სწორედ ასეთ დროს ჩნდება რენეგატი, რომელმაც, ლევან სანიკიძის თქმისა არ იყოს, ყველაზე უკეთ იცის, როგორ ამოარტყას იღლიაში ხანჯალი ქართველს.

ესაა ზემოთ უკვე ნახსენები „ნ.დ. (ნარ-დონი) – ივანე ჯაბადარი, რომელმაც მოსკოვურ ჟურნალ „Северный вестник"-ში გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა: „Писма о Грузии" 1889 წელს.

ამ წერილებში იგი აბიაბრუებდა საქართველოს მთელ ისტორიასაც და კულტურასაც. განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსანს". ივ. ჯაბადარი „ვეფხისტყაოსანს" სპარსულიდან თარგმნილად თვლიდა. ამით იგი ცივ წყალს ასხამდა ქართველთა აღტაცებასა და სიყვარულს „ვეფხისტყაოსნისადმი", აბუჩად იგდებდა და ამცირებდა ქართველთა ეროვნულ მეობას. ერთი სიტყვით, ეს „ნარ-დონი" რუსის სამსახურში იდგა და რუსებს უამეყდა საკმეველს, ქართველთა დამცრობის ხარჯზე. მისი ნიჰილიზმი თავის დროზე სათანადოდ გააკრიტიკეს ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ და სხვებმა.

რა პირადი გამორჩენა ჰქონდა ივ. ჯაბადარს ამ თავისი ქმედებიდან, ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ნ. მარის პირადი ამბიციები „ვეფხისტყაოსნისადმი" მისი პოზიციის გამო ცხადზე უცხადესია.

დამპყრობლები, ჩვენს შემთხვევაში რუსები, კოლონიურ ქვეყნებში ცდილობენ, ყოველი დამონებული ერის არასრულფასოვნება დასაბუთონონ, ჩააგონონ და დაარწმუნონ ეს ერი თავის ყოველმხრივ ჩამორჩენილობა-უვარგისობასა და უსუსურება-უძლურებაში. ამისთვის კოლონიზატორი აქეზებს, ხელს უწყობს და ყოველგვარ პირობებს უქმნის რენეგატიზმს, რადგან რენეგატის ხელით კოლონიზატორის შავბნელი პოლიტიკის განხორციელება უფრო მოხერხებული და ეფექტურია. ჩვეულებრივ, ასეთი რენეგატიზმი ცხოვრების ყველა სფეროში იდგამს საცეცებს. ეს იყო და არის ქართველთა ისტორიულ უბედურებათაგან უდიდესი და უმნიშვნელესი.

ამჯერად ჩვენი მსჯელობა ნ. მარს ეხება. ნ. მარი ძალზე რთული პიროვნება და მოღვაწეა. მას „მსოფლიო მასშტაბის დიდ მეცნიერად" თვლიან, მაგრამ ჩვენ ჩვენი ქართული ანგარიში გვაქვს მასთან. სიტყვას არ გავაგრძელებ და მივუთითებს მარიან კარბელაშვილის წერილზე, რომელიც გამოქვეყნდა რუსთველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო შრომათა კრებულში. „შოთა რუსთაველი", I: „რუსთველოლოგია XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე". ამ წერილში საფუძვლიანადაა შესწავლილი და შეფასებული ნ. მარის ე.წ. „რუსთველოლოგიური თეორია" და ამ „თეორიის" კრედო, ამიტომ ამ მხრივ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნ. მარი ი. ჯაბადარის შეხედულებებს იზიარებს. ერთი სიტყვით ივ. ჯაბადარი და ნ. მარი ერთ რუსულ ლუმელში გამომცხვარი „პიროგებია".

მ. კარბელაშვილის აზრით, ნ. მარს, „ნარ-დონისაგან" განსხვავებით, შესანიშნავად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის" სიდიადე..."

ნ. მარმა იცოდა, რასაც აკეთებდა. იგი არაფერში სცდებოდა. თავისთავად დიდი შეცდომაა, ვინც ნ. მარს ამ თავის „თეორიას" „შეცდომად" (ვუკ. ბერიძე) ჩაუთვლიან. ვინ არ შემდგარა „ვეფხისტყაოსნის" კვლევისას, მაგრამ მისი სახლის კარები არავის უმტვრევია. რუსთველის შესახებ რამდენი „თეორია" უარყვეს, მაგრამ კეტით არავინ არავის გამოკიდებია. რაღა ნ. მარი ამოიჩემეს ქართველებმა? ვუკ. ბერიძე აღიარებს: *„ამიტომ იყო, ნიკო მარს ეგ თქმა (1890 წელს ჟურნალ „თეატრში" გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის" განმაკაქიებელი წერილი – ა.დ.) არ აპატიეს და შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ყველაფერს ივიწყებენ და დიდი მეცნიერის ამ პირველთქმას, ანალგა ზრდობის პირველთქმას იგონებდნენ".*

რაშია საქმე? რატომ გამოირჩა ასე მწვავედ ნ. მარი სხვებისგან?

ნ. მარი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერი პიროვნება იყო, იგი ამასთანავე იყო ძალზე ჭკვიანიც. მან ანალგაზრდობიდანვე სწორად აუღო ალღო ცხოვრებას, თავიდანვე მიხვდა, საით უბერავდა ქარი და ამ ქარის მიმართულებით გაშალა იალქნები. თავისი სამეცნიერო კარიერისთვის მას ეცოტავა საქართველო და რუსეთის დიდ სივრცეებს მიაშურა. ამისთვის მან ქართველთა საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" სპარსულ თხზულებად გამოაცხადა, რითაც ერთი მხრივ, დაამცირა ქართველი ერი, ხოლო ამით, მეორე მხრივ, გული მოფხანა რუსულ იმპერიალიზმს და საიმედოდ გაიკაფა გზა თავისი სამეცნიერო კარიერისაკენ. ცხადია, რუსეთმა „თავის კაცს" უდიდესი სამეცნიერო გასაქანი მისცა და ნ. მარი რუსეთის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად ითვლებოდა. ცხადია, „ვეფხისტყაოსნის" დამცრობით ამაღლებული ნ. მარი ჩვენს დიდ პოემაზე თავის პირველდელ შეხედულებებს ვერ შეელეოდა და არც არასოდეს შელევია.

პოემის სპარსული დედნის ძიების საქმე ჩაკარდა: რაც არ არსებობდა, რას იპოვიდნენ, მაგრამ ამან „დიდ მეცნიერს" ნირი ვერ შეაცვლევინა. იგი სიკვდილამდე დარჩა თავისი ყალბი „თეორიის" ერთგული: ნ. მარი ჯიუტად იმეორებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" სპარსული ამბაავი და რუსთველი – მუსულმანი (კ. კეკელიძე). ახლა წარმოიდგინეთ, ეს „მსოფლიო მასშტაბის დიდი მეცნიერი" მთელი სიცოცხლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით ავრცელებდა ამ სიყალბეს.

„ვეფხისტყაოსანზე" ნ. მარის შექმნილი „ცრუ თეორია" (მ. კარბელაშვილი) ქართველი ერის მიმართ ჩადენილი ღალატი იყო. ამიტომ იყო, რომ მას ქართველებმა ვერ აპატიეს ვერც პირველი და ვერც შემდგომი თქმა ჩვენი პოემის მიმართ, რადგან, რამდენადაც დიდი სახელი ჰქონდა ნ. მარს მოხვეჭილი რუსულ და ევროპულ სამეცნიერო წრეებში, იმდენად ძმიმე, აუტანელი და შეურაცხმყოფელი იყო მისი ყალბი „თეორია" ქართველებისათვის, განსაკუთრებით, ქართველი ინტელიგენციისათვის.

მაგრამ ნ. მარი ამ მხრივ არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ასეთი მეტ-ნაკლები ზომისა და სიდიდის რენეგატები საქართველოს მანამდეც ბევრი ჰყოლია, მის დროსაც და მის შემდეგაც. აქ საკვირველი არაფერი არ არის. უცხო ძალის კოლონიური პოლიტიკა ყოველთვის წარმოშობს ასეთ სულმდაბლობას.

რუსეთში ილია, აკაკი, ვაჟა... სწავლობდნენ და შემდეგ ივ. ჯავახიშვილიცა და აკ. შანიძეც. მათ თავი „დაიმცირეს" და საქართველოს სახელი განადიდეს, ნ. მარმა კი საქართველო და მისი „ვეფხისტყაოსანი" დაამცირა და თავისი სახელი განადიდა და თავისი სამეცნიერო მდგომარეობა გაიუმჯობესა. საქართველოდან განდევნილ ვიკტორ ნოზაძეს მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ახსენებენ საქართველოში, ნ. მარმა კი თვითონ განდევნენა თავისი თავი საქართველოდან და სამარილიანად დაიმსახურა სიძულვილი თავისი პრორუსული და ანტიქართული იდეოლოგიით. .

ნ. მარზე მსჯელობას დავამთავრებთ მ. კარბელაშვილის სიტყვებით: *„აკად. ნ. მარის რუსთველოლოგიური თეორია XX საუკუნის უდიდესი რუსთველოლოგიური სოფიზმია, რომელმაც მთელი საუკუნის მანძილზე უმძიმესი კვალი დაარჩინა ქართული ფილოლოგიის ამ უძველეს და უმნიშვნელოვანეს დარგს".*

საქართველო დღესაც კოლონიალიზმის არეალშია. ამიტომ ამ მხრიდან ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ არც გულხელდაკრეფილი ყოფნაც გვეპატიება. ყოველგვარ ასეთ გამოხდომას საკადრისი მკაცრი პასუხი უნდა გაეცეს.

ამჯერად მხედველობაში „იდიოტი" გვყავს, რომელიც დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს ზემოთ უკვე დახასიათებულ რენეგატთა გზას. მან ისევ წამოჭრა „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის თითქოსდა დაძძეული პრობლემა.

ერთი ვიკითხოთ, რამ აიძულა „იდიოტი" ასე გამწარებით თავს დასხმოდა „ვეფხისტყაოსანს" და, საერთოდ, ქართველი ხალხის წარსულს? „ნარ-დონიც" ხომ ასე იქცეოდა?

იძულებითი პაუზის შემდეგ, XX საუკუნის ბოლოს, ქართული ფილოლოგია ისევ ფეხზე დადგა. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა განაახლა აქტიური სამეცნიერო საქმიანობა. განახლდა ყოველნლიური სამეცნიერო კრებულის „ლიტერატურული ძიებანის" გამოცემა. გამოვიდა რუსთაველოლოგიური სამეცნიერო კრებული „შოთა რუსთაველი", რომელიც ამიერიდან ორწლიანი შუალედით სისტემატურად გამოიცემა. ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო ძალებით იბეჭდება სამეცნიერო პერიოდული კრებული „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა", იბეჭდება ერთჯერადი გამოცემებიც. გაზეთი „ახალი განათლება" და სხვა პერიოდული გამოცემები სისტემატურად ბეჭდავენ სამეცნიერო წერილებს ქართული ლიტერატურის პრობლემებზე, განსაკუთრებით კი რუსთველოლოგიურ საკითხებზე. ასევე ახალი ენერგიით გააჩაღეს სამეცნირო მეუობა თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სხვა სამეცნიერო ცენტრებმა. სისტემატურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები. ქართველი მეცნიერ-ფილოლოგები დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულითა და გულმოდგინებით იკვლევენ და სწავლობენ ქართული ლიტერატურის პრობლემებს. 2012 წელს სრულდება ვახტანგ VI-ის მიერ „ვეფხისტყაოსნის" პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წელი. ქართული ფილოლოგია უკვე იწყებს მზადებას რუსთველის დაბადებიდან 850 წლის იუბილეს აღსანიშნავად. დღესდღეობით ეს მოძრაობა ვიწრო სამეცნიერო სფეროს ბეერად არ სცილდება, მაგრამ იგი ზვავად ქცევის პოტენციას შეიცავს: მალე საერთო-სახალხო მოძრაობად იქცევა.

ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ, როცა რომელიმე დაპყრობილი ერი თავისი ეროვნული მეობის ნარმოჩენა-აღორძინებას იწყებს, დამპყრობელი კონტრზომებს მიმართავს. ერთი ასეთი კონტრღონისძიებაა „იდიოტის" გამოსვლები გაზეთ „ახალ განათლებაში" რუბრიკით: „საუბრები „იდიოტთან".

რუსთველოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა რუსთაველის ქრისტიანად აღიარება. ამით მკვლევარები ჩვენი დიდი პოემის ქართულ ძირებს ეძებენ და ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი" ქართულ ეროვნულ ძირებზეა ამოზრდილი.

„იდიოტი" სწორედ ამ მიმართულებას ებრძვის: რუსთაველს სუფიად აცხადებს, „ვეფხისტყაოსანს" კი სუფისტურ ქმნილებად.

ამით რისი თქმა სურს „იდიოტს"? ვითომ ჭეშმარიტების ძიების სურვილი აიძულებს ამას? თვითონაა სუფია და ამიტომ ყველაფერი სუფისტურ სამოსელში გახვეული ეჩვენება? თუ რაიმე ანგარება ამოძრავებს? რამდენადაც ვიცი, თვითონ სუფიები არასოდეს ცდილან „ვეფხისტყაოსნის" „მითვისებას". „იდიოტს" რა აიძულებს, „ვეფხისტყაოსანი" მაინცდამაინც არაქართული, სუფიურ ქმნილებად გამოაცხადოს?

თვითონ სუფიზმი, როგორც მისტიკურ-ასკეტიკური მოძღვრება, ისლამურ გარემოში წარმოიშვა VIII საუკუნეში და ისლამურ სამყაროში გავრცელდა. იგი ისლამის სექტად ითვლება. ამ აზრს „იდიოტი" არ იზიარებს. იგი ემყარება თვითონ სუფიტების შეხედულებას ამ საკითხში: *„სუფიზმი მართლაც ხშირად ინოდება ისლამის ერთ-ერთ სექტად, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. მათი პოზიცია ასეთია: უბრალოდ, სუფიზმმა ისლამის წიაღში განვითარებისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები ჰპოვა და მასთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საკუთარი ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ამ რელიგიის ბევრი გარეგნული თვისება შეიძინა.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*ისე კი სუფიური ტრადიცია მას (სუფი ზმს – ა.დ.) განიხილავს, როგორც ფენომენს, რომელიც კაცობრობის დასაბამიდან არსებობს* " (გაზ. „ახალი განათლება" 7-13 დეკემბერი, 2000 წ. N38 (97)).

ერთია, რასაც თვითონ სუფიები ფიქრობენ, ხოლო მეორეა, რაც სინამდვილეში არიან. ყველა სახის მსოფლმხედველობა, რომელიც ასე თუ ისე ვრცელ ხასიათს მიიღებს, ყოველისმომცველობის პრეტენზიით გამოდის და მსოფლიო მასშტაბებს ებღაუჭება. ამ მხრივ გამონაკლისი არც სუფიზმია. ამიტომ სუფიზმის „იდიოტისნაირ" შემფასებლებს ან საგნებისა და მოვლენების რეალური აღქმის უნარი არ გააჩნიათ, ან, თუ გააჩნიათ, წყალს შეგნებულად ამღვრევენ, რათა თავისთვის რამე მოინადირონ.

„იდიოტი" რუსთაველს სუფიად რომ თვლის, ამით იგი რუსთაველის მსოფლმეხედველობას სუფისტურად აცხადებს. მსოფლმხედველობა ხომ გადამწყვეტი ფაქტორია შემოქმედისათვის. ფაქტობრივად, ყოველგვარი შემოქმედება მსოფლმხედველობაა: სწორედ თავის მსოფლმხედველობას ასხამს მხატვრულ ხორცს შემოქმედი. თუ რუსთაველი სუფიაა, გამოდის, რომ მისი ქმნილებაც სუფისტურია, უცხოური და არაქართული. ქართველებს კი პოემიდან გვრჩება მხოლოდ ცარიელი ქართული სიტყვები. „იდიოტის" აზრები და შეხედულებები არანაირად არ ესადაგება და არ უკავშირდება ქართულ სინამდვილეს.

„ნარ-დონი" და ნიკო მარი „ვეფხისტყაოსნის" ამბავს, ფაბულას თუ სიუჟეტს, ერთი სიტყვით, შინაარსს თვლიდნენ სპარსულიდან მომდინარედ. ნ. მარი გარკვეული კუთხით პოემას ქართულ სინამდვილესაც უკავშირებდა. „იდიოტმა" კი ჩვენი პოემა მთლიანად სუფისტურ ქმნილებად გამოაცხადა. ამით მან არა მარტო „ვეფხისტყაოსანი", არამედ საქართველოს მთელი ისტორიული წარსულიცა და აწმყოც სუფიზმის არეალში მოაქცია.

ჩვენ არ ვაპირებთ „იდიოტის" "შემოქმედების" მთლიანობაში განხილვას. ეს მერე უნდა მოხდეს, როცა იგი საბოლოოდ გამოავლენს თავის თავს. ამჯერად, ერთი კონკრეტული ფაქტით შემოვიფარგლებით, რომელშიც გარკვევით ჩანს მისი პოზიცია „ვეფხისტყაოსნის" მიმართ.

რუსთაველის სიდიადე მისი პოემის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ხასიათშია. ეს ილიადან მოყოლებული მრავალჯერ თქმული ჭეშმარიტებაა. ამაში ეჭვის შეტანა და მით უმეტეს მტკიცება იმისა, რუსთაველი ვინმრო ეროვნული დიაპაზონის შემოქმედიაო, არა მარტო რუსთაველის პოემის მხატვრული ღირსების დამცირებაა, არამედ ნიჰილიზმია და ხელყოფა ქართული ეროვნული სიწმინდისა. „იდიოტს" რუსთაველის ღმერთი ჩამოყავს პრაგმატიზმის, XII საუკუნის ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკის პრაქტიკული საჭიროების დონეშდე.

რუსთაველის ღმერთი ერთია პოემის ყველა პერსონაჟისათვის, მიუხედავად მათი ეროვნული და სოციალური განსხვავებისა. უფრო ზუსტად: დედამიწის ყველა მცხოვრებისათვის ღმერთი ერთადერთია. რუსთველისდროინდელი კაცობრიობა ურთიერთგამიმრეცხავი და ერომანეთის მიმართ მტრულად და კონფლიქტურად განწყობილი რელიგიების მიხედვით იყო დახლეჩილ-დანაწევრებული. თავისი პოემით რუსთაველი პრინციპულად უარყოფს ასეთ დანაწევრებას, რადგანაც ეს ხელს უშლის კაცობრიობის ერთიანობას, ერთიანან რაობად წარმოდგენას, დედამიწის ყველა მცხოვრების გაერთიანებას პუმანიზმის დროშის ქვეშ. რუსთაველისა და მისი მთავარი პერსონაჟების მთელი ძალისხმევა სწორედ აქეთკენაა მიმართული. ბოლოს ისინი აღწევენ მიზანს: მთელი კაცობრიობის მასშტაბით ამყარებენ ეროვნულ და სოციალურ ჰარმონიას: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს".

„იდიოტი" წერს, რომ რუსთაველი არ იყო პროფესიონალი პოეტი. *„ეს კაცი („იდიოტი" რუსთაველს გულისხმობს" - ა.დ.) პროფესიონალი სხვა საქმეში გახლავთ: იგი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი და დიდი სახელმწიფო მოხელეა, ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია, ყველა მისი აზრი, სიტყვა თუ საქციელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მისი კეთილდღეობის სურვილითაა ნაკარნახევი".* შემდეგ „იდიოტი" ხაზს უსვამს *„საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ და აღმსარებლურ სიჭრელეს..."* და ასე აგრძელებს თხრობას: *„მთელ ამ ხალხს სამი რამ ჰქონდათ საერთო: ენა (სახელმწიფო ენა – ქართული), მამული (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და სარწმუნოება.... მონოთეიზმი, ანუ ერთი ღმერთის რწმენა-აღიარება, სწორედ ამ გამაერთიანებელ პრინციპს არ უნდა მისდგომოდა ჩრდილი და, პრინციპში, არც მიადგა: თუკი ქრისტიანის შეიძლება გაუჩნდეს ზემოთ აღნიშნული პრეტენზია პოემისა და მისი ავტორის მიმართ, ასევე შეიძლება გაუჩნდეს მუსულმანსაც. (არ დაგვავიწყდეს: ისიც საქართველოს მოქალაქეა, ე.ი. „ქართველია"), რადგან არც მაჰმადია ამ კონტექსტში სადმე ნახსენები და არც ალლაჰი; იუდეველსაც – არ ახსენებს იაჰვეს, ან ადონაი – უფალს და ა.შ.*

*სამაგიეროდ, იგი მოიხსენიებს და არა ერთხელ ერთ ღმერთს („ჰე, ღმერთო, ერთო!"), რომელიც საერთოა და რომლის სანინაააღმდეგო არავის არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს. ამდენად გარკვეული ნეიტრალურ დამოკიდებულების პირობებში ვერც ერთი კონფესიაა ვერ აუკრძალავდა და ვერ უსაყვედურებდა თავის მრევლს მისი პოემის წაკითხვას და იგი (პოემა) საერთო-ეროვნულ საკითხავად იქცეოდა, რაც, მართლაც, აღსრულდა კიდეც. უფრო მეტიც: მე თუ მკითხავთ, „ვეფხისტყაოსანი" ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც იქცა!*

*ამაშია მისი დიდი ძალა და დიდი მნიშვნელობაც, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპექტში მაინც!"* (გაზეთი „ახალი განათლება", 9-14 თებერვალი, 2001 წ. N3 (102)).

ჯერ ეს ვთქვათ: რუსთაველის ბიოგრაფიიდან რაიმე მეტ-ნაკლებად ხელშესახები მონაცემები არ მოგვეპოვება. მისი ბიოგრაფია ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცით, ამიტომ ვარაუდები და ჰიპოთეზები ჯერ კიდევ არ არის მეცნიერული ჭეშმარიტება. საიდან აკეთებს ასეთ კატეგორიულ განცხადებას „იდიოტი": *„რუსთაველი უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელია და დიდი სახელმწიფო მოხელე ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია"?* დავუშვათ, მართლაც, შეიძლება ყოფილიყო ჩვენი დიდი პოეტი „დიდი სახელმწიფო მოხელეც", მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ჩვენს პოემას სულ არ ჰქონდა რამე ბიოგრაფია: იყდა არქივებში, იქექებოდა ხელნაწერებში, სწავლობდა და აკვირდებოდა ყველაფერს. შემდეგ მთელი თავისი ერუდიცია, ცოდნა და შეხედულებანი გადმოაფრქვია თავის პოემაში.

როგორც ვხედავთ, „იდიოტი" არა მყარ (უფრო ზუსტად: არ არსებულ!) ბიოგრაფიულ მონაცემებს აკისრებს კატეგორიულობის მნიშვნელობას და მასზე დაყრდნობით აკეთებს შორს გამწვდომ დასკვნებს: თითქოსდა რუსთაველმა, როგორც „დიდმა სახელმწიფო მოხელემ" და „პოლიტიკოსმა" პატრიოტული მოტივით შექმნა „ვეფხისტყაოსანი".

ცხადია, XII საუკუნის საქართველოს იმპერიის „მოსახლეობის ეთნიკური და აღმსარებლური სიჭრელე" მეტად სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საქართველოს ხელისუფალთ. ასევე, ცხადია, ეს ხელისუფალნი ამ პრობლემების გადასაყვეტად ზნეობრივად და პოლიტიკურად მეტნაკლებად გამაოლებულ ღონისძიებებს მიმართავდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „იდიოტი" რუსთაველის პოემას ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად მიიჩნევს: სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობამდე ჩამოჰყავს, ყოველდღიური პრაქტიკული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების ფუნქციას აკისრებს, თითქოსდა რუსთაველი იმიტომ არ ახსენებს სამებას, მაჰმადს, იაჰვეს,... რომ პოემა საქართველოს იმპერიაში მცხოვრები „ეთნიკურად და აღმსარებლურად" განსხვავებული მოსახლეობისათვის თანაბრად საკითხავი ყოფილიყო. აქედან „იდიოტი" ასეთ დასკვნას აკეთებს: „... ვეფხისტყაოსანი" ერის შინაგან გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცაო". ერის კი გამთლიანება-შეკავშირების იდეა არაა დასაბუნები. პირიქით, შემდეგ და შემდეგ, როცა საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, „ვეფხისტყაოსანი" იყო საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატვება.

მაგრამ „იდიოტს" ასეთი რამის თქმა კი არ სურს, იგი „ერის შინაგან გამთლიანებაში" გულისხმობს ქართული იმპერიის „ეთნიკურ და აღმსარებლურ სიჭრელეს" და ამათ გაერთიანების საჭიროებას. ამით „იდიოტი" რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო დიაპაზონს ამცირებს, საქართველოს იმპერიაში მყოფი სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებთა ურთიერთდამოკიდებულების რეგულატორის როლით შემოფარგლავს, რითაც აცლის მას უმთავრესს: მაღალმხატვრულ ღირსებასა და ფართო მასშტაბის იდეურ ფუნქციას.

ივ. ჯაბადარი („ნარ-დონი"), ნიკო მარი, მარისტები და „იდიოტი" ერთ სწორ ხაზზე დგანან, ისტორიული სიღმრეებიდან მოჰყვებიან ქართველ ერს. თავიანთი იდეოლოგიით ისინი ცდილობენ ქართველი ერის დემორალიზაცია გამოიწვიონ, ლაფში ამოსვარონ ქართველების ერთ-ერთი უსაჩინოესი სიწმინდე – „ვეფხისტყაოსანი". მათ კარგად იციან, ლაფის სროლით „ვეფხისტყაოსანს" ვერაფერს დააკლებენ, როგორც მზეს, მაგრამ მათ ისიც იციან, ვის დაეცემა ეს ლაფი თავზე. ესაა ქართველი ერი და, განსაკუთრებით, მისი პატრიოტულად განწყობილი მოაზროვნე ინტელიგენცია. ამ უკანასკნელთა ლაფში ამოსვრაა მათი უპირველესი საზრუნავი, რათა საკუთარი ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ, დაამცირონ, ამით კი შეამცირონ ამ ინტელიგენციის კეთილი გავლენა თავისი ერის ცნობიერებაზე, თავს მოაბეიონ უცხო მსოფლმხედველობა და აურიონ გზა და კვალი.

ვიცი, „იდიოტს" საიდანაც უნდა წამოპკრა ხელი, რუსულ „ვანკა-ვსტანკასავით" მაინც ფეხზე დადგება. ეს თვისება მან უკვე გამოავლინა ბატონ ნ. ნათაძესთან კამათში როცა ნ. ნათაძის სიტყვაფრაზების გაქილიკება-გატრაზავებას მიჰყო ხელი და არა მისი აზრის გაგება-შეფასებას.

გვეჯერა, ჩვენს წერილშიც იმოვის იგი საკბილოს. ადვილად მოსალოდნელია, „იდიოტი" გამოლმა შეგვედავოს: შენ ნაკლებად არ მიყვარს მე საქართველოო, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც: ტყე მგელსაც უყვარს და ირემსაც. მგელს – მოსაჭმელად, ირემს კი – დასამშვენებლად. ცხადია, სამშობლოს მგლური სიყვარული არავის ეპატიება და ამ მხრივ ნურც „იდიოტი" ჩათვლის თავს დამნაკლისად.

დასკვნის სახით:

*მტერი ყოველთვის მიზანში იღებს ერის უმთავრეს სიწმინდეებს. ჩვენ შემთხვევაში ესაა ეკლესია, ქალი და „ვეფხისტყაოსანი".*

*ჩვენი ქართული ქრისტიანული ეკლესია თავიდანვე მაზდაანური აგრესიის წინააღმდეგ მიმართული ძალა იყო. შემდეგ კი – მუსლიმანური შემოსევისაგან ქართველთა სულიერი გადარჩენის ციტადელი.*

*ქალი, საერთოდ, და, კონკრეტულად კი – დედა, განსაკუთრებით თუ საუკუნეებიან მოყოლებული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ელემენტი იყო. იგი არა მარტო ერის სიცოცხლის სანყისი იყო, არამედ – ქართველის ქართველად დიდი აღმზრდელიც.*

*„ვეფხისტყაოსანი" ხომ ზეაწეული დროშა იყო ყოველთვის, უწმინდესი და უსაჩინოესი. ერის სულიერი საზრდოც იყო იგი, სულიერ ჭრილობათა მკურნალიც, ერის დამრიგებელიც და მასწავლებელიც, საბრძოლო ნაღარაცა და დიდი იმედიც. ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი" ქართველი კაცის სინდისიც იყო, ღირსებაცა და სიამაყეც.*

*გარეშე მტერი როცა მოძალდებოდა საქართველოში, ცდილობდა, პირველ რიგში, ეს სიწმინდეები მოეგდო ფეხქვეშ, შეებღალა და დაემცირებინა, რათა იოლად ებატონა და ეპარპაშა.*

*მაგრამ ეს სამი ქართული ფესვი ისეთი ღრმა და ძლიერი იყო, ვერრა ძალამ ვერ აღმოფხვრა იგი: ქართველი მაინც ლოცულობდა ეკლესიაში, ქართველი დედა მაინც უჯდა აკვანს, „ვეფხისტყაოსანს" მაინც კითხულობდა ქართველი.*

**ანზორ დარცველიძე**
**აბაშა. სოფელი სამიქაო**

**რედაქციისაგან:**

ბატონ ანზორ დარცველიძის წერილი არაერთ საყურადღებო მოსაზრებას შეიცავს, თუმცა, ზოგიერთი დასკვნა ერთობ სუბიექტურად გვეჩვენება. ამჯერად შეეეხებით მხოლოდ იმ ბრალდებას, რასაც პუბლიკაციის აეტორი რედაქციას უყენებს. კერძოდ:

ბატონი ანზორი ბრძანებს, რომ „ახალმა განათლებამ" რუბრიკა – „*საუბრები ვეფხისტყაოსანზე*" – წინასწარ განზრახულად დაიწყო ალექსანდრე გვახარიას წერილით („ვეფხისტყაოსნის" აღმოსავლური კომენტარები"), რათა ნიადაგი შეემზადებინა „იდიოტის" ოდიოზური ვამოსვლებისთვისო.

ვვინდა, დავარწმუნოთ ბატონი ანზორი, რომ ახალ რუბრიკას „ვეფხისტყაოსანზე" საფუძველი ჩაეყარა სწორედ ბატონ ალექსანდრესთან თანამშრომლობით და შაინ „იდიოტის" არსებობის შესახებ საერთოდ არაფერი ეიცოდით. რუბრიკის მიზანი იყო, გამოეკვეთვინებინა მეტ-ნაკლებად ორიგინალური, „არაკაცეეფილი" ჰიპოთეზები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, რასაკვირველია, მათი მეცნიერული და საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინებით. აკი თავად ანზორ დარცველიძეც ბრძანებს, რომ *ალექსანდრე გვახარიას წერილაში წამოჭრილი თემა „შეტად სერიოზული და ყოველმხრივ გამართლებული მეცნიერული თემაა".* მაშ, რაღას ერნის პატივცემული პოლემიზმი რედაქციას, რომელსაც, თუ წერილის შემდგომ ამოოსა ეგვითვალისწინებთ, ირიბად სდების ბრალს რენეგატობისა და აღმოსავლური ფილოსოფიის პროპაგანდისთვის ხელშეწყობაში. რასაკვირველია, მისასალმებელია ბატონი ანზორის ესოდენ ფხიზლად დგომა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საკუთარი სიფხიზლის ხაზგასმის ერთადერთი საშუალება არ უნდა იყოს სხვათა უსაფუძვლო, ძირითადად, ემოციებით არგუმენტირებული, ბრალდება და ეს მხოლოდ რედაქციის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები როდია (ბევრი რამ თქმულა ნიკო მარზე, მაგრამ იმის მტკიცება, რომ მან სამეცნიერო კარიერა „ვეფხისტყაოსნის" დაკნინებით გაიკეთა, ნამეტანია და ამას მხოლოდ ემოციური საფუძველი თუ აქვს).

რაც შეეხება „იდიოტს": ამ ავტორის ვინაობა დღესაც უცნობია რედაქციისთვის. მისი მოსაზრებები, შეიძლება გაიზიარონ ან არ გაიზიარონ, მაგრამ, ძირითადად, ლოგიკას, არგუმენტაციას ემორჩილება და, რაც მთავარია, კი არ აკნინებს „ვეფხისტყაოსანს", არამედ, პირიქით, ხაზს უსვამს მისი ფილოსოფიურ-შემეცნებითი დიაპაზონის უსაზღვრობას. თავად ანზორ დარცველიძესაც მოყავს ვრცელი ციტატა იმის თაობაზე, რომ „იდიოტი" „ვეფხისტყაოსანს" ბიიჩნევს ერისა და სახელმწიფოს გამაერთიანებელ ნაწარმოებად, მაგრამ, რატომღაც, ამას ეოემის „სააგიტაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობამდე" ჩამოიყვანს (?!)

ერთი სიტყვით, ისევე, როგორც „იდიოტის" შემთხვევაში, ბატონ ანზორ დარცველიძის წერილში ბევრი რამ არის საკამათო, მაგრამ „ახალი განათლება" არ ლალატობს პოლემიკის თავისუფლად წარმართვის პრინციპებს და იმავე პათოსით, ეთხოვთ საზოგადოებას, კვლავაც მოგვაწოდოს წერილები, რასაკვირველია, საზოგადოებრივად და მეცნიერულად მეტ-ნაკლებად მაინც ღირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Mustela erminea – „მომხიმვლელი მკვლელი"

... ტრადიციის თანახმად, სუფიზმის თეორიასა და პრაქტიკაში სახე-სიმბოლოების ფართო გამოყენება სრულიად კონკრეტულ მიზანს ემსახურება, და ეს მიზანია ადეპტის (პირველ რიგში, ნეოფიტის – „ახალნეფელის") გონების „გამოლვიძება" *ასოციაციური აზროვნების „ჩართვა"*-გააქტიურების გზით.

ანუ:

იგულისხმება, რომ *თითოეული სუფიური სახე-სიმბოლო ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ* **ფონეტიკურ (ასო-ბგერით), ვიზუალურ, ან შინაარსობრივ** *ასოციაციას (იდეალურ შემთხვევაში კი – სამივეს ერთად)* **უნდა** *აღძრავდეს.*

და აღძრავს კიდეც! ამასთან, ცხადია, *ამ ასოციაციათა მრავალფეროვნება და სისრულე* **პირდაპირპროგრესიულია** *სუბიექტის (მკითხველის, მსმენელის) ცოდნისა მოცემული სახე-სიმბოლოს – კონკრეტული საგნისა, თუ აბსტრაქტული ცნების – გარშემო... მთლიანობაში,* **საზოგადოდ** *კი მისი* **განათლება-განსწავლულობისა** (ცნობები იმის შესახებ, რომ არაერთი დიდი სუფია თითქოსდა, სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარიც კი იყო, უმრავლეს შემთხვევაში, ლეგენდებისა და მითების კატეგორიას განეკუთვნება)!

*რა* ასოციაციებს ინვევს ჩვენში **ამჯერად** *კონკრეტული* **სახე-სიმბოლო „*ყარყუმი*"?**

... მართალი გითხრათ, იმ დროს, როცა დასმულ საკითხში გარკვევის საჭიროება დადგა, მე ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ამ ცხოველზე, თითქმის არაფერი ვიცოდი მის შესახებ.

ის-ის იყო, საჭირო ლიტერატურის მოძიება დავაპირე, რომ, სრულიად შემთხვევით, ხელში ჩამივარდა ცნობილი რუსი ნატურალისტის, ფოტოხელოვანისა და მწერლის, პროფ. ვ. პესკოვის შესანიშნავი ნარკვევი „მომხიბვლელი მკვლელი". აი, რას წერს იგი:

„ყარყუმს ბუნებაში არაერთხელ შევხვედრილვარ... და ყოველთვის მაოცებდა მისი საკვირველი *ცნობისმოყვარეობა*, *დაუდგრომლობა* და *უშიშარობა... იგი ადაპტაციის განსაკუთრებული უნარითაა დაჯილდოებული – ევრაზიის კონტინენტზე მას ყველგან შეიძლება შეხვდეთ:* მდინარეთა ხეობებში, ტბისპირა ლაქაშებსა და ნინოვან ტყეებში, მაღალმთიან (ზღვის დონიდან 3-4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე) რაინიებსა და თვალუწვდენელ სტეპებში, სადაც მრავალ ასეულ კილომეტრზე ერთ ბექობსაც კი ვერსად ნახავთ; ხალხმრავალი, მჭიდროდ დასახლებული სოფლების სიახლოვესაც, და უდაბური, სრულიად უკაცრიელ ადგილებშიაც. *ყველაზე ხშირად კი მას მიანც* **ქვაყრილებსა და ძველ შენობათა ნანგრევებში** *წააწყდება კაცი... ყარყუმის გარეგნობა – თვით* **ფიზიკური ჰარმონიულობის, დახვეწილობისა და სინატიფის** *განსახიერებაა:* ტანგრძელი, ვეელიკით მოქნილი და გასაოცრად სხარტი, იგი თვალშეუფლები სისხრაფით დაძვრება ხვრელებსა და სოროებში, ხის ფუღუროებში, ელვასავით გაკრთება ხოლმე ლაქაშებსა და ბუჩქნარში, რიყეზე გაფანტულ ლოდებს შორის... *მოკლედ, მისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს!* ყარყუმი შესანიშნავად დარბის, ხტუნავს, დაძვრება და დაცოცავს, ბრწყინვალედ ცურავს, ერთია – არ დაფრინავს მხოლოდ!

მას ერთი წამითაც ვერ ნახავთ უმოძრაოდ: მაშინაც კი, როცა ერთ ადგილზეა გაჩერებული, მოძრაობს მისი ნატიფი თავი, *მოძრაობენ* პატარა შავი თვალები, ყურები, ცხვირი... ერთი სიტყვით, *იგი სრულად ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას,* ამასთან, მთელი მისი სხარტი სხეული ერთიანად შემართული და მობილიზებულია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ელვისებური სისწრაფით შეიცვალოს ადგილი, თვალს მიეფაროს, გაქრეს, ან... პირიქით, იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგეზე! ... ეს პატარა მტაცებელი მართლაც რომ უბადლო, ზღვარდაუდებელი შესაძლებლობების მქონე მონადირეა: თაგვებსა და ვირთაგვებს, მასთან შეხვედრისას, პრაქტიკულად, გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვთ – ყარყუმი ადვილად ეწევა და თვალისდახამხამებაში უსწორდება, და არა მარტო მათ, არამედ ნებისმიერ სხვა მღრღნელსაც – კურდღლის ჩათვლით! შეუძლია, ახტეს და ჰაერში სტაცოს პირი საკმაოდ მაღლა აფრენილ ფრინველს (მაგალითად, როჭოს)! და ეს მაშინ, როცა მისი სიგრძე სულ რაღაც 32 სანტიმეტრია, კუდის ჩათვლით, კუდი კი... 10 სანტიმეტრის სიგრძისა აქვს!!!

თუმცა ეს მხეცუნა უპირატესობას თბილისსისხლიან ცხოველებს ანიჭებს, იგი არც ცივსისხლიანებზე – ხვლიკებზე, ბაყაყებსა და გველებზე ამბობს უარს; ხშირად იტკბარნუნებს პირს მნერებით, ფრინველის კვერცხებითა და კენკრითაც კი... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, *რომ ყარყუმი არასოდეს რჩება მშიერი.* და მაინც: ნანადირევის ნაწილს (აბა, *რად უნდა მთელი კურდღელი* ან როჭო ამ ციცქნას!) იგი ხშირად სამალავებში ინახავს. ერთი კია, თვითონ იშვიათად უბრუნდება ამ სამალავებს (?!)

ნატურრით - „პატარა მზეთუნახავი" – *ნამდვილი მაწანწალაა:* მისი სანადირო სავარგულის საზღვრების დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია!

... ... აი, გარეგნობა კი მას, როგორც უკვე ვთქვით, მარილივაც ბრწყინვალე აქვს. მარტო მისი ბენვი რად ღირს! მართალია, ნელინადის უმეტეს ნაწილს იგი დამცავი (მოყვალო-მურა) ფერის „ყოველდღიურ ტანსაცმელში" გამოწყობილი ატარებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ზამთარში იმოსება ულამაზესი, თოვლივით თეთრი „საზეიმო" ქათიბით, *რომელსაც... ნახშირივით შავი კუდის რიკი ამშვენებს!* **ერთი შეხედვით, ეს შავი ლაქა თითქოს ცუდად ხვდება თვალს, უაზროდაც კი გამოიყურება** საერთო თეთრ ფონზე, მაგრამ ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება – ამ შავ კუდის რიკს ყარყუმის მდევრის დასაბნევად იყენებს (იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მასზეადაც ნადირობენ!): უკანასკნელ მომენტში გააქნევს ამ შავრიკა კუდს ერთ მხარეს, თვითონ მეორე მხარეს გახტება, და წამის მეასედიც მოგებულია, ე.ი. გადარჩენილია სიცოცხლე! კიდევ ერთხელ – გადარჩენილია..."

ბევრი სხვა საინტერესო რამის გაგება შეიძლება კიდევ ყარყუმის შესახებ – როგორც ამ ნარკვევიდან, ისე სხვა წყაროებიდანაც, მაგრამ ვფიქრობ, ეს მცირე ინფორმაციაც ჯერ-ჯერობით საკმარისია იმის მისახვედრად, თუ „მომხიბვლელი მკვლელის" სახით, ვისთან გვაქვს საქმე...

თუ რაგვარ შინაარსობრივ და ვიზუალურ ასოციაციებს აღძრავს თქვენში ეს „პიროვნება", ამის გადაწყვეტა და შეფასება ისევ თქვენთვისვე მომინდია, მე კი შევეცდები, ტრადიციაში დამკვიდრებული და, ამდენად, სრულიად სარწმუნო, *ფონეტიკური* ასოციაციის მექანიზმი ავხსნა.

არაბულად „ყარყუმი" დაახლოებით ასე გამოითქმის *„კაკაკუუმ"*, ხოლო წერილობით ფიქსირდება ძირით *„კკმ"*; მაგრამ, ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, *რომ* ამისი ცოდნა უკვე აღარაა საკმარისი, რადგან იგივე ძირის მქონე სხვა სიტყვების (ომონიმების) მოძიება არანაირ შედეგს არ იძლევა.

ანალოგიურ შემთხვევებში სუფიები ვარაუდობენ, *რომ* სახეზეა დაშიფრული *ინფორმაცია* და გამოყენებულია *რომელიღაც ფონეტიკური შიფრი.* ასეთ შიფრთაგან უმარტივესია ე.წ. „აბჯდ"-ის სისტემა. რას წარმოადგენს იგი?

ცნობილია, *რომ* არაბული ალფაბეტის (ისევე როგორც მრავალი სხვა ალფაბეტის, მაგ. ქართულის) თითოეულ ასოს გააჩნია რიცხვობრივი ექვივალენტი. ჩვენ შემთხვევაში ესენია 100 („ა") და 40 („მ").

გაშიფვრის პირველ ეტაპზე საჭიროა, შეიკრიბოს ეს რიცხვები:

100 („ა")
100 („კ")
40 („მ")
240

შემდეგ, მიღებული ჯამი (240) იშლება ახალ სამნევრა კომბინაციებად; ასეთებია:

ა) 200+30+10
მისი ხუთი ვარიაციით:
200+10+30
30+200+10
30+10+200
10+200+30
10+30+200
და ბ)200+20+20
• *ორი ვარიაციით:*
20+200+20
20+20+200

ზედმეტი ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, პირდაპირ ვიტყვი, *რომ ჩვენთვის,* უპირველეს ყოვლისა, გამოსადეგია მეორე კომბინაციის პირველივე ვარიანტი (200+20+20). ამ რიცხვების, ანუ 200-ისა და 20-ის ფონეტიკური შესატყვისებია *„რ"* (200) და *„ქ"* (20), ანუ მივიღებდა 87-ე საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

მძიმე სენმა იმსხვერპლა, ადრე წავიდა ამქვეყნიდან, თან ნაიღო უსაზღვრო სიყვარული და დაგვიტოვა უძირო სევდა. დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა ყველა: ახლობლები, კოლეგები, აღზრდილები, *რომელთა* ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ქალბატონი ცისანა.

*თბილისის 87-ე საშუალო სკოლის დირექცია*
*მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგიური კოლექტივები*

ეთ კლასიკური სამთანხმოვნიანი ძირი *„რქქ"*. ასეთი ძირის მქონე ერთ სიტყვაა *„რაქქ"*, რაც გამოხატავს ცნებებს **„ძირი"**, **„საძირკველი"**, **„საფუძველი"**, **„საყრდენი"**, **„დასაყრდენი"**...

არაბულ სამყაროში ტიტულს „რრმენის (და)საყრდენი", გნებავთ, „სარწმუნოების (და)საყრდენი" – ატარებდნენ სუფიურ ორდენთა წინამძღვრები (შეიხები), მოგვიანებით კი – ის სასულიერო მოღვაწეები და თეოლოგებიც, *რომელთაც* **მაპსაკუთრებული** დამსახურება მიუძღოდათ მაპმადიანური სარწმუნოების წინაშე.

*პირველი ასეთი მოღვაწე* გახლდათ *დიდი* ალ-ღაზალი (იგივე „ალ-ღაზელი", „ალ-გაზელი") – ყველა დროის უდიდესი სუფია, ბრწყინვალე პოეტი, გამორჩენილი სჯულმდებელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. სწორედ მან შესძლო, ისტორიაში პირველმა, სუფიზმური მოძღვრების შესაბამისობაში მოყვანა *ორთოდოქსალურ* ისლამთან, მათი *ურთიერთ-„მორიგება"*, *-„შერიგება"* და „შერწყმა". ვფიქრობ, *მკითხველისათვის* უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტი, *რომ* ალ-ღა ზალი – *დაკით ალმაშენელის* თანამედროვე გახლდათ (მისი ცხოვრების წლებია 1058-1111), სუფიზმის ისლამთან „შერწყმა-მერიგება", ანუ მისი კანონზომიერება კი მხოლო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოხერხდა. მანამდე, ანუ *XII საუკუნემდე, სუფიზმი ორთოდოქსალური ისლამის მიერ* **განიხილებოდა,** *როგორც ერესი, მწვალებლობა („ფარული ქრისტიანობა"!)* და *მკაცრად იდევნებოდა* **მუსლიმანური** *ინკვიზიციის მიერ* (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამ – მუსლიმანური ინკვიზიციაც – არსებობდა, თურმე!)...

ასოციაციების სისრულისათვის აუცილებელია, გავითვალისწინოთ, *აგრეთვე, ყარყუმის თეთრ-შავი შეფერილობა* და გავიხსენოთ, *რომ* არსებობს „სუფიური ფერთა სიმბოლიკაც", *რომლის* **შესახებ** ჯერ თითქმის არაფერი გვითქვამს...

*ლეონარდო და ვინჩი. პანოვანი ყარყუმით. 1483 წ.*
*(კრაკოვის მუზეუმის კოლექცია)*

*არაერთი მკვლევარი დღესაც ცდილობს იმის გამორკვევას, თუ ვინაა, ლეონარდოს თანამედროვეთაგან, გამოსახული ამ პორტრეტზე; ან – ნამდვილად ყარყუმია თუ არა პანოვანის მკერდზე ნებიერად მიხუტებული ცხოველი (აეჭვებთ მისი ზომები, შეფერილობა)...*

*მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ცდებიან, მათი ცდომილების მიზეზი კი ის არის, რომ ეს მკვლევარნი პორტრეტის „წაკითხვას" რეალიზმის „ენაზე" ცდილობენ, არ ითვალისწინებენ იმას, რომ ლეონარდო და ვინჩი – არა მარტო გენიალური ინტელექტუალი, არამედ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მისტიკოსიც გახლდათ...*

*პორტრეტზე* **გამოსახული** *„პანოვანი" (სხვაგან – „მშვენიერი უცნობი ქალი", „საოცნებო სატრფო", „სანატრელი ქალწული" და ა.შ.) კი, ჩემი აზრით, რაღა თქმა უნდა,* ***სუფიზმის*** *(სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების) სახე-სიმბოლო გახლავთ, რაზეადაც აშკარად მიგვანიშნებს მის მკერდზე მიხუტებული ყარყუმი – მეორე და ერთ-ერთი უმთავრესი* **სახე-სიმბოლო** *სუფიზმისა.*



გარდაიცვალა თბილისის 87-ე საშუალო სკოლის პედაგოგი

**ცისანა კინნწურაშვილი**

ცისანა კინნწურაშვილი დაიბადა 1943 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1950 წელს შევიდა 37-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დამთავრა 1960 წელს. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1965 წლიდან დღემდე მუშაობდა

ნმ-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ნმ-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის დირექტორს ბატონ **ვახტანგ თელიას** დედის

**ქეთევან ამაღლობელის**

გარდაცვალების გამო.

## გამოხმაურება

*ჩვენს გაზეთში („ა.გ." 18-24 აპრილი, 2002 N14 (152) გამოქვეყნებულ წერილში „ვის უნდა ეშინოდეს სიმართლისა?" წერილის ავტორი – ბატონი ზურაბ ვახანია, სთხოვს რედაქციას სამი კონკრეტული შეკითხვით მიმართოს ბატონ აღუქსანდრე გვახარიას. გთავაზობთ მის საპასუხო წერილს.*

# მოკლე პასუხი ბატონ ზურაბ ვახანიას

შეძლებისდაგვარად მეც ვადევნებ თვალს საინტერესო გაზეთს „ახალ განათლებას" და იქ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ, მათ შორის, რუსთველოლოგიურ მასალებს (ერთხელ მონაწილეობაც კი მივიღე ჩემი მეგობრების თხოვნით).

ბოლოს გამოქვეყნებულ წერილში „ვის უნდა ეშინოდეს სიმართლის" (18-24.04.02) ბატონი ზურაბ ვახანია უშუალოდ ჩემგან ითხოვს პასუხს რამდენიმე კითხვაზე. დიდი მადლობა ნდობისათვის, მაგრამ ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი ორ ეარმეობის გამო: ჯერ ერთი, არ ვთვლი თავს ისეთ რთული პრობლემის, როგორიცაა სუფიზმი, დიდ მცოდნედ და მეორე, ვფიქრობ, თავად ბატონმა ზურაბმა მართებულად შეფასება არსებული ვითარება.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანი" ბენეალური მხატვრული ქმნილებაა, რომანული ჟანრის მწვერვალი, ხოლო მინი ავტორი, „შოთა რუსთაველი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოძღვრების მიმდევარი იყო, უპირველესად არის უდიდესი ხელოვანი, პოეტი, დამოუკიდებლად მოძღვრებათაგან" (ზ. ვახანია). სავსებით მართებულად მიმაჩნია წერილის ავტორის მსჯელობა პოემის ქართული სულისკვეთებისა და მისი უბადლო ენის შესახებ.

ისიც ცხადია, რომ რუსთველის ქრისტიანული აღმსარებლობა, რომელითაც განმსჭვალულია პოემა, თუმცა ეს ზედაპირზე არ ძევს და ერთის შეხედვით თითქოს არ ჩანს, არ გამორიცხავს მის ღრმა განსწავლულობას თანნაფიერულ დასაყელურ და აღმოსავლურ მოძღვრებებში, მათ მორის, სწორედ XII საუკუნეში აგრე რიგად პოპულარულ და გავრცელებულ სუფიზმში. მაგრამ არავითარი კვალი ამისა პოემაში არ ჩანს. საერთოდ, მისი ალეგორიული თუ მისტიკური ინტერპრეტაცია ხელოვნურად მიმაჩნია.

არ ვგრძნობ ისლამის ნიაფში ჩასმული ამ მისტიკური მოძღვრებისა თუნდაც ზედაპირული დონეზე განხილვას. ეს ძალიან მორს ნგაგიყვანდა. არც ე.წ. „იდიოტის" მიერ ადრე წარმოდგენილ სამუთითა შესახებ მსჯელობას, რომელთაც ნანლობრივ უკვე გაეცა პასუხი. მოკლედ შევეხები მხოლოდ მის უკანასკნელ წერილს „მოგზიბვლელი მკვლელი" (11-17.04.02), რომელმაც გამოიწვია ზ. ვახანიას შეკითხვები.

წერილში, ვ. პეტკოვის ნარკვევის მიხედვით, წარმოდგენილია საინტერესო ცნობები ყარყუმის შესახებ, მისი ზომა, ბენი (ზამთარში თეთრი), კუდი (ბოლოში შავი) და ა.შ. მაგრამ რა კავშირია ეს ყველაფერი „ვეფხისტყაოსანთან" და მის ავტორთან? მე? სმის, მაგ რომ განეხილა ტაები „*ბაძრ ცვლილა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი*", რომლის გაგება ცოლობას იწვევს (კერძოდ, რას ნიშნავს „ბაძრ ცვლილა", ან „ყარყუმნი უსაპირონი". ზოგი მკვლევარი აქ „ყარაყორუმსაც" კი ვარაუდობს და იქაურ სამსის, თუმცა ჩემთვის აშკარაა, რომ აქ სწორედ ხსენებული ცხოველის ბენვისაგან შეკერილ მოსასხამზეა საუბარი. თიმქარ მადაკერით ოგუულისმება მისი კაშირი ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახული რუსთველის პორტრეტთან.

სრულ გაუგებრობად მიმაჩნია „იდიოტის" მსჯელობა რაღაც დაშიფრული ინფორმაციის შესახებ სიტყვაში „ყარყუმი". მისი აზრით, „არაბული „ყარყუმი" დაახლოებით ასე გამოითქმის „კაკკუუმ", ხოლო წერილობით ფიქსირდება ძირით „კკმ". არ კრის სწორი! არაბულად გამოითქმის და ინერება კიდეც „კაკუმ" (კაფი, ალეფი, კაფი და მიმი). ასეა ის შეტანილი ლექსიკონებში და განმარტებული – „გორნოსტაკი". არაბისტებს ეს სიტყვა არაბულში შემოსულად, ნასესხებად მიაჩნიათ, ამდენად არავითარი ძირი „კკმ" არ არსებობს, არ არსებობს საფუძველი რიგხებებით თვითნებური მანაპულირებისა (აბაზე ზ. ვახანიამაც მიუთითა), მით უფრო აქედან ფუნტასტიკური გზით სიტყვა „რაქქის" გამოყვანისა („საძირკველი, საფუძველი"), როგორც სუფიური ორდენების წინამძღოლთა („შეიხების" და არა „შეიბების", როგორც წერს „იდიოტი") ტიტულატურის შემცველი ტრიმინისა (ისე, „სარწმუნოების დასაყრდენი" იქნება „რუქნად-დინ" და არა „„რაქქ").

აღარ გავაგრძელებ სხვა უზუსტობათა აღნუსხვას (ალ-ღაზალი სნორია, მაგრამ მედარა „ალ-ალ-ზელი", მით უფრო „ალ-გაზელი" და მისი „ბრწყინვალე პოეტობა", ის იყო ორთოდოქსი თეოლოგი და ფილოსოფოსი, რომელმაც სცადა, მაგრამ ვერ მოარგა ისლამი და სუფიზმი). გადავალ პირდაპირ პასუხებზე.

1. სუფი იმიტომაც ენოდებოდა ამ მოძღვრების მიმდეგრებს, რომ მათ ეცვათ უხეში მატყლისაგან (სუფისაგან) მოქსოვილი სამოსი, მოსასხამი – „ხირყე", რომელიც ჩვეულებრივ მუქი ლურჯი ფერისა იყო (ამდენად ხშირად მის სიმბოლოდ ნას ასახელებენ). მწვანე ფერი („საბზუფში") მხოლოდ უმაღლეს სფეროთა მაცხოვრებლებს – ანგელოსებს, წინასწარმეტყველს, ხიზრს – მიემართებოდა. გამორიცხულია სუფის, ან სუფიური ორდენის წინამძღოლის მდიდრული, ყარყუმის ბენვის საყელოიანი სამოსი ჰქონოდა (პარეს აქვე ვიტყვი, არაბულიდან „კაკუმ" გვაძლევს სპარსული „ყაყუმს", ხოლო ქართული ფორმით, რომელშიც ეს სიტყვა სპარსულიდან შემოიდო და „რ" დაემატა – „ყარყუმი". შდრ. კალაში და ყალამი, აკიკი და აყიყი და ა.შ.). პირველი და უდიდესი სუფი მოძღვარი აბუ საიდი (X ს.) ასე ქადაგებდა: „სუფიზმი ეს არის დიდება დამცირობაში, სიმდიდრე – სიღარიბეში, სიმძაღრე – მიმშილობაში, შემოსვა – სიშიშვლეში, თავისუფლება – ზონობაში, სიცოცხლე – სიკვდილში და სიტკბობა – სიმწარეში..."

2. ზოთა რუსთველის პორტრეტის ირგვლივ მთელი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა (მარილა ის არის, თუ არა; როდის არის დაბადული და ა.შ.). ცხადია, აქ მას ვერ მოვიხმობ, მით უფრო, იკონოგრაფიის სპეციალისტი არ გახლავართ. ერთი რამ ცხადია, აქ მასასხულ დიდებულს არაფერი აქვს საერთო სუფიური ორდენის წარმომადგენელთან. ყარყუმის ბენეს საყელო სწორედ ამის საპირისპიროს მეტყველებს.

3. ვეროგფრს მოგახსენებთ, როდიდან გავრცელდა ანალოგიური სამოსი ევროპაში, მაგრამ შეეძლება, მას რაიმე საერთო ჰქონდეს სუფიზმთან, ისევე, როგორც ლეონარდო და ვინჩის პორტრეტს, თუმცა, დაკვირვება საინტერესოდ მეჩვენება.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით „ყარყუმის" სიმბოლიკასთან დაკავშირებით. ყველაზე სრული და ცნობილი გამამარტებითი ლექსიკონი, რომელიც ეკუთვნის ირანელ მწერალსა და მეცნიერს დეჰხოდას, გვიუწყებს: „ყარყუმი – პატარა ცხოველია სიასამეთა ოჯახიდან, თეთრი ფერისაა, კუდის ბოლო შავი აქვს, მის ბენეს დიდებულთა თბილ სამოსად იყენებენ. გადატანით აღნიშნავს „დღეს", როგორც „ყუნდეზი" (სიასამური) – ღამეს"... შემდეგ მოტანილია მაგალითები პოეზიიდან. აი, ერთი ნიმუში: „როდესაც ყაყუმი ან აბრეშუმი ნაზია, მის სხეულზე თრთის სირცხვილისაგან" (ნიზამი). სუფიურ სიმბოლიკაში არ შემხვედრია (აქ უნდად გვაქვს ყვავილები – ვარდი, ია, ზამბახი, ტიტა, ნარგისი; ძვირფასი ქვები – იაგუნდი, ლალი, ზუმრუხტი; ფრინველები – ბულბული, მიმინო, მტრედი; ცხოველები - აქლემი, სპილო; არაბული ანბანი – ალეფი, მიმი და სხვ.).

დასკვნის სახით: სუფიზმი და ქართული მწერლობა – შესასწავლი პრობლემაა. პირველად, ალორძნენების ეპოქასთან მიმართებაში (თეიმურაზი, ვახტანგი), იგი დაადგა კორნელი კეკელიძეს. პრობლემის სირთულეს და დიდ სიფრთხილეს მისი კვლევებისს ხაზი გაუსვა რეზი თეკარძეს. ამ მხრივ ეკრთვეი ირანისტთა ახალი თაობის დიდი იმედი მაქვს.

**ალექსანდრე გვახარია**

# მზადდება ოთხწლედის შეფასების სისტემის პროექტი

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა შეფასების ახალი სისტემის დანერგვა. რამდენიმე დღის წინ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, მოეწყო ოთხწლედის შეფასების სისტემის პროექტის პირველი ეარიანტის განხილვა. იგი მომამზადეს შეფასებისა და გამოცდების ჯგუფის კონსულტანტებმა, პედაგოგიური სტაჟის მქონე ფილოლოგებმა ნინო გორდელაძემ და თამარ ოთმმეზურმა. პროექტის განხილვას ესწრებოდნენ: განათლების მინისტრი **ალექსანდრე კარტოზია**, ჯგუფის ხელმძღვანელი **ანა ჯამბარია**, სახელმწიფო გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ექიმმენტების ხელმძღვანელი **მია მიმინოშვილი** და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დარგების კოორდინატორი ნინო გოგუთაძე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების კომპონენტის წარმომადგენელი ნელტანს ციციშვილი, ფსიქოლოგები: **ია კუტალაძე, ფოდო მირიანაშვილი** და **ქეთევან მაყაშვილი**; ფილოლოგები: **ლალი გულისაშვილი, რუსუდან მგელელიშვილი, გვანცა ჩხენკელი, ნინო ნაკუდაშვილი, მარიამ მეტრეველი** და სხვები.

*" არსებული პროექტის მიზანი არ არის მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინდივიდუალური შეფასება; ეს არის მთელი სასწავლო პროგრამის შეფასება, რომელსაც განსხვავებული მეთოდი აქვს და მიზნად ისახავს სტანდარტზე, სახელმძღვანელოზე, სასწავლო პროცესზე და დაკვირვებასა და მათი ნაკლოვანებების, ხარვეზების თუ წარმატების აღმოჩენას. ჩვენი ძირითადი მიზანია არსებული საგანმანათლებლო სტანდარტის შეფასება I-IV კლასის ფარგლებში. შეფასება უნდა ჩატარდეს ერთი-ორი წლის შემდეგ, IV კლასის ბოლოს, და უნდა გამოავლინოს, ოთხი წლის განმავლობაში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლის პროცესის უარყოფითი და დადებითი მხარეები. გარდა ამისა, ამ შეფასებით, შეიძლება, გარკვეული მასალა მოვიპოვოთ იმისათვის, რომ მომავალში დაფიქრნენ საგანმანათლებლო სტანდარტები. მომდევნო ეტაპზე კი, შეიძლება დადგეს სახელმძღვანელოების საკითხიც, შემოწმდეს ალტერნატიული სახელმძღვანელოების ხარისხი და დადგინდეს, რომელი მათგანი რა მიზნისთვის იქნება გამოყენებული. მაგრამ, ამ ეტაპზე არსებული პროექტი ამ ტიპის შეფასებას არ ითვალისწინებს. ამჟამად, ჩვენი ძირითადი მიზანია არსებული საგანმანათლებლო სტანდარტი მოცემული სასწავლო ინფორმაციის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, სანტგრესოა, მისაღები იქნება თუ არა შემოთავაზებული მოდელი. ტესტებისა და კითხვების წინასწარი გამოცდა უკვე მოხდა. ასე რომ, შეგვიძლია, გავითვალისწინოთ არსებული შენიშვნებიც. ამ ტესტირების ძირითადი ფუნქცია კი, ჯერ-ჯერობით, არსებული სიტუაციის ფოტოგრაფიული სურათის ასახვაა,"- აღნიშნა **ანა ჯამბარიამ.**

სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით, I-IV კლასების სასწავლო პროცესის შეფასებისას, ოთხი კომუნიკაციური უნარ-ჩვევიდან (მეტყველება, მოსმენა, კითხვა, წერა), რომლებსაც IV კლასის დამთავრებისას მოსწავლე უნდა ფლობდეს, ამჟერად მოწმდება ორი – კითხვა და წერა. ამ უნარ-ჩვევებთან ერთად მოწმდება, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენცია, ანუ გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა. შესაბამისად, ტესტები ოთხ ქვეკომპონენტადაა დაყოფილი: ა)კითხვა, ბ) წერა, გ) ლექსიკა და დ) გრამატიკა.

როგორც პროექტია განიმარტეთ, სტანდარტების გათვალისწინებით, IV კლასის დამთავრებისას მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ა) სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალის ანალოგიური მხატვრული ტექსტების– მოთხრობის, ზღაპრის, ოგვის, ლექსის– შინაარსის გაგება და გაზხრება, ტექსტების ნაწილებს შორის კავშირის დანახვა, შეკითხვები მინიშნებული დეტალის პოვნა ტექსტში; ასევე, ასაკის შესაფერისი ინფორმაციული ხასიათის ტექსტის შინაარსის გაგება და მისი დანიშნულების განსაზღვრა.

ბ) რაც შეეხება წერით უნარ-ჩვევებს, IV კლასის დამთავრებისას მოსწავლეს უნდა ჰქონდეს აზრის წერილობით, თანმიმდევრულად და ცხადად გადმოცემის უნარი. წერისას მოსწავლემ უნდა შეძლოს I-IV კლასების სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ლექსიკური მარაგის გამოყენება, მართებული კონსტრუქციის ნინადადებების აგება. ნაწერი გამართული უნდა იყოს I-IV კლასებში შესწავლილი გრამატიკულ - ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების შესაბამისად. წერის უნარ-ჩვევების შესაბამებელი ტესტური დავალებების შინაარსი ასეთია: მოცემული გეგმის მიხედვით, წერილი დავალების შესრულებაც მცირე მოცულობის ტექსტის პერიფრაზი; მოკლე ინფორმაციული ტექსტის შედგენა; ტექსტში წინადადების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება.

გ) ტესტები ლექსიკაში მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის არგალიდან შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებს, რაც ნაცნობი უნდა იყოს მოსწავლისათვის სასაუბრო ენიდან და I-IV კლასების საპროგრამო ტექსტებიდან. აღნიშნული პრინციპით, მოსსავლემ უნდა შეძლოს:

1. მოცემული სიტყვებიდან მნიშვნელოვნით საპირისპირო (ანტონიმური) წყვილების ამოკრება;

2. მოცემული სიტყვებიდან მნიშვნელოვნით მონათესავე (სინონიმური) წყვილების ამოკრება;

3. კონტექტესტში მოწოდებული სიტყვისათვის სინონიმური ცალის დამოუკიდებლად შერჩევა;

4. სიტყვათა დაკავშირებისას სემანტიკური წესების დაცვა:

ა) სემანტიკური წყვილები სახელთა მართვის ფორმით (ლრუნელის ქულა, ნიგრის კბილი, ყვავის ბახალა);

ბ) სემანტიკური წყვილები სახელისა და ზმნის შეთანხმებით (ბუ კიბის, პეპელა ფარფატებს, წყარო ჩუხჩუხებს);

5. სიტყვათა დაჯგუფება გვარ-სახეობითი პრინციპით (მოცემული გამაერთიანებელი სიტყვისათვის კერძო სიტყვების ამოკრება: ჭურჭელი– თასი, ლამბაქი, ჯამი);

6. სიტყვის შეფარდება მისივე მნიშვნელობის განმარტებასთან (თაგინი ქონება არაგისთვის ენანება – უხვი);

7. სიტყვების სწორად შეხამება ენის მყარ გამოთქმებში (თოლელი ქალქათა, წერტილივით მცირე, კაკივით მაგარი);

დ) ტესტები გრამატიკაში მოიცავს თანამედროვე ქართული ენის გრამატიკისა და მართლწერის ნორმების იმ საკეხურს, რომელიც II-IV კლასებში სახელმძღვანელოებში არის წარმოდგენილი. IV კლასის დამთავრებისას მოსსავლეს უნდა შეეძლოს:

1. ქართული ანბანის ასოების სახელითი დასახელება;

2. სასწორგრამა მასალიდან ნაცნობ ლექსიკურ ერთეულებში თანხმოვანთა (ბ,ფ,პ; დ,ტ,თ; ზ,ს,ძ; ჰ,ხ.) აღრეკნის შემთხვევაში შეცდომის შენიშვნა და გასწორება. (ხქონდა – ჰქონდა; პრტყელი – ბრტყელი);

3. მეტყველების ნაწილების: არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, ნაცვალსახელის, ზმნისა და ზმნიზედის გამოცნობა;

" ვინ?" და „ რა?" კითხვების მართებულად დასმა;

რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრების გამოყენებით გამოსახვა;

4. არსებითი სახელის შეცვლა ნაცვალსახელით და ნაცვალსახელისა – არსებითი სახელით;

5. სიმრავლის აღმნიშველ სიტყვებთან არსებითი სახელის რიცხვში სწორად შეთანხმება;

6. გრამატიკულ-ორთოგრაფიული ნორმების დაცვა არსებითი სახელის ბრუნებისას;

7. რთული სიტყვების მართლწერა:

ა) ფუძეგვარკეცებული სიტყვები (ნელ-ნელა, გზადგზა);

ბ) დეფისისნაირ კომპოზიტები (დამმა, დედ-მამა);

გ) მერწყმული კომპოზიტები (გულკეთილი, დედისერთა);

8. გრამატიკული ნორმების დაცვა ზმნების მრავლობით რიცხვის წარმოებისას (მოვიდენ-მოვიდნენ, გაეკეთენ - გაეკეთეს);

9. რიცხვები მონაცვლე ზმნების სწორად შერჩევა;

10. გრამატიკული ნორმების დაცვა ზმნის პირველი პირის ფორმებში;

11. ზმნის ფორმათა ცვლა გრამატიკული დროების მიხედვით (კითხვის დასმის გზით);

12. თხრობითი წინადადების კითხვითად და კითხვითის – თხრობითად გადაკეთება;

13. პუნქტუაციის ნორმების დაცვა:

ა) წერტილის, კითხვის ნიშნისა და ძახილის ნიშნის წესსაბამერ ხმარება თხრობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებში;

ბ) გამაერთიანებელი სიტყვის შედეგ ორწერტილის დასმა;

გ) მძიმის დასმა სიტყვათა ჩამოთვლისას (ერთგვარი წევრების მძიმით გამოყოფა);

14. მიმართვის მართლწერა;

15. ლექსის სტრიქონის გადატანის წესის დაცვა.

16. სიტყვათა ბრჭყალებში ჩასმის წესის გამოყენება.

როგორც პროექტის ავტორებმა აღნიშნეს, კითხვითი ტესტები მოიცავს მხატვრულ და ინფორმაციულ ტექსტებს. ეს უკანასკნელი ორი ნაწილისაგან შედგება; ერთია დაახლოებით იმ ტიპის ტექსტები, რომელსაც ბავშვი ბუნების გაკვეთილზე სწავლობს, ხოლო მეორე – სალექციოკონ მასალა. მხატვრული ტექსტის კითხვა ითვალისწინებს მხატვრული სახის, პერსონაჟის საქციელის მოტივის ამოცნობას; ინფორმაციული ტექსტის კითხვა კი – მოსწავლის მიერ სასურველი ინფორმაციის ამოღებას, ეარაუდის გამოცნობას. ტესტში შესულია დახურული და ღია ტიპის კითხვები. კითხვით დავალებას დაემატება ნინადადებების დალაგება თანმიმდევრობის მიხედვით, ტესტი არის სრული შეფასების სისტემის ერთ-ერთი. ნაწილი. თუ მოსსავლემ ტესტი შეასრულა, უნდა გაირკვეს, რამდენადაა ეს მასსავლებლის, სახელმძღვანელოსა, სასწავლო მეთოდისა თუ თვით მოსსავლის დამსახურება.

როგორც განხილეაზე ითქვა, ძალზე ცუდად აქვთ მოსსავლეებს განეთარებული წერითი უნარ-ჩვევები. ისინი უფრო მეტად ასრულებენ კითხვით დავალებებს, ვიდრე – წერითს. თუმცა, კითხვითი უნარ-ჩვევებს განვითარებაშიც შეიმჩნევა ხარვეზები. ტესტირების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ ხარვეზთა მიზეზების დადგენაცა.

*" როგორც იქით , შარშან ჩატარდა ტესტირება IX კლასში, რასაც აზრთა სხვადასხვაობა მოაყვა. გასაკვირი იყო, რომ ტესტები მოკლეებული იყო სრულყოფილებას. მიუხედავად ამისა, გარკვეული ფუნქციაა ამ ტესტმა შეასრულა. მასსავლებლებმა გამოთქვეს აზრი სტანდარტებსა და სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ,– განაცხადა განათლების მინისტრმა* **ალექსანდრე კარტოზიამ,– „უკეთესია, თუ ეს ტესტები კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის ცვლილებების აუცილებლობას. ამავე დროს, ნათელი გახდა, რომ არ გვაქვს საკმარისი რაოდენობა ქართული ტექსტებისა, რომელთა სახელმძღვანელოებში შეტანაც მართებული იქნებოდა. ინფორმაციული ტექსტები მაქსიმალურად ნეიტრალური უნდა იყოს. უკეე ითქვა, რომ მოსსავლეებს პრობლემები აქვთ წაკითხულის შინაარსის გაგების მხრივაც. როგორც ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, კითხვა ნინმაგვს ნაწერი ნიშნებიდან ბარის ამოღებას. ეს მიზანიც დასასახია. უნდა დაფუძნდეს შესაბამისი საგანი და შეიქმნას სპეციალური სახელმძღვანელოც. მაგრამ, ამისთვის მზაობა ჯერ კიდევ არ არის. გადასახედია ენის სწავლების მეთოდიკაც, ვინაიდან იგი ალარ შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. ტესტირებამ, რაც შეიძლება ობიექტურად, უნდა გაზომოს მოსსავლის მიერ მასალის ათვისების დონე. ამავე დროს, ტესტმა უნდა გვაჩვენოს, თუ რამდენად ღირებულია მასალა, რომელსაც ჩვენ ვასწავლით. ასე რომ, ტესტირების მიზანი არსებული რეალობის ზუსტი სურათის შექმნა უნდა იყოს."*

ტესტების ფსიქოლოგიური ანალიზის შესახებ ისაუბრა ფსიქოლოგმა **ია კუტალაძემ.** როგორც მან განაცხადა, საგანმანათლებლო ტესტს სამი ფუნქცია აკისრია: ობიექტური ცოდნის შეფასება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ინდივიდუალური მიღწევების შეფასება. საუბარია ტესტების როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ შეფასებაზე. ეკითვება თითოეული კითხვის ანალიზი. შემდეგ ტარდება თვისობრივი კვლევა – I-IV კლასის მასწავლებლები (ფოკუსჯგუფები) იძიებენ ზაკარდნენსა და მათ მიზეზებს. მომდევნო ეტაპზე იქმნება მათი აღმოფხვრის გეგმა.

დღეს ამ შეფასების სისტემის პირველი განხილვაა. მონიტორინგი კი რამდენიმე წლის შემდეგაა დაგეგმილი. ტესტები გაიცლის გამოცდას, განისაზღვრება ფსიქომეტრიის ძირითადი კრიტერიუმების დონე და მხოლოდ ამის შემდეგ შეეკ სკოლაში.

**ბაია სიმონიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# EX ORIENTE LUX *



სურ. 1.

„. . . მე ვარ ქართველი, ე. ი. მე ვარ ევროპელი!"
**ზურაბ ჯვანია**

**„თუ გიყვარვარ, გახსოვდეს, რომ აზიელი ხარ! აზია კალთაა დედაჩვენისა. თავმომწონედ აღიარე ეს და ეცადე, აზიურ მცნებებზე მოაწყო ცხოვრება.**

**გაიუმჯობესეთ იგი მცნებები, ფრთები შეასხით მათ, ახალი ძალა მოუბერეთ მათ, მაგრამ უარნუყოფთ, ნუ ამოაგდებთ ფესვიანად ჩვენს ხეხილს უცხოური ნერგისათვის, ეცადეთ დაიცვათ და გაავრცელოთ ჩვენი მცნებები, დიდი შრომით და გამოცდილებით, დიდი მოაზრებით დასკვნილი ჰიშშარიტებები!"**

*ვასილ ბარნოვი*

ფერთა სიმბოლიკას ფართოდ იყენებდნენ ისლამამდელი ცივილიზაციებიც . . . „ეძე ცოდნა, თუნდ საამისოდ თვითონ ჩინეთში მოგიხდეს წასვლა" - ამბობს სუფიური ანდაზა.

მოდით, ჩვენც „წავიდეთ", ვნახოთ, რა ხდება იქ - „ჩინეთის დიდი კედლის მიღმა" /რეზო ყარალაშვილი, თბილისი, „ნაკადული", 1989 წ./. ეს მით უფრო სასინტერესოა, რომ ჩინური ცივილიზაცია - უძველესია თანამედროვე ცივილიზაციათა შორის და მისი ისტორიოგრაფია ორმოცე საუკუნეს მოიცავს, ეს კი სახეშარო ამბავი როდი . . .

„ევროპელისაგან განსხვავებით, ჩინელი პოეტი არასოდეს არ გაიხდიდა საკუთარ ინდივიდუალობასა და წმინდა სუბიექტურ განცდებს შთაგონების წყაროდ, არამედ ისწრაფვოდა, ბუნებას მინდობოდა და გარეგან მომდინარე შთაბეჭდილებებით ესაზრდოვდა... მგოსანი, ჩინელთა წარმოდგენით, მუდამ გახსნილი უნდა ყოფილიყო გარესამყაროს მიმართ, სადაც ყოველი მოვლენა სამყაროს საპირისპირო ძალების „ინ"-ისა და „იან"-ის მარადიულ ჭიდილზე მეტყველებდა.

იგი უნდა შერწყმოდა ყოფიერებას, საკუთარ თავში უნდა ეგრძნო „ინ"-ისა და „იან"-ის ფეთქვა და - მხოლოდ მას მერე, რაც ზეცარი „შიგნით"-სა და „გარეთ"-ს შორის სრულიად წაიშლებოდა, მას მერე, რაც იგი უყოყმანოდ მიეწდომოდა თავისი სულის წვიფიდან მომდინარე იდუმალ ძახილს, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას იქ აღმეჭდილი სახეები ქაღალდზე გადმოეტანა!" /რ. ყარალაშვილი/.

საპირისპირო ძალები . . . „ინ"-ი და „იან"-ი . . . მოდით, დავაკონკრეტოთ მაინც, რა „ძალებზეა" აქ საუბარი?

**„ინი" და „იანი"**, რომელნიც, სიტყვასიტყვით თარგმნილი, „მთის დაჩრდილულ. . ." და „მზით განათებულ" „ფერდობებს" აღნიშნავენ, **პირველადი კოსმოსური ძალები და ყოფიერების საპირისპირო პოლუსებია: „ინი" ბნელ, უარყოფით, პასიურსა და ქალურ /!/ საწყისს განასაზღვრებს, ხოლო „იანი" - ნათელ, დადებით, ქმედითსა და მამაკაცურ საწყისს"** /რ. ყარალაშვილი/

„ერთი „ინი", ერთი „იანი" - ამას უწოდებენ ხოლმე **„დაო"**-ს!"
**/„ი ძინ"-ის კომენტარიდან/**

**„დაო"** რაღაა?

**დაო**-უძველესი ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების **დაოიზმის** ცენტრალური კატეგორია გახლავთ. „მისი გადმოღება ევროპელ ენებზე არაერთგზის უცდიათ, მაგრამ, ცნების მრავალმნიშვნელობის გამო, **დღესაც ვერ შეთანხმებულან, თუ როგორ თარგმნონ იგი.**

ჩინურში **„დაო"**-ს ხმარობენ **ზმნის** სახითაც, და **არსებითი სახელის** სახითაც. ამიტომ ის შეიძლება აღნიშნავდეს „სიარულს", „წინსვლას", „მართვას", „ხელმძღვანელობას", „ლაპარაკს", „თქმას", „დასახელებას" . . ., და, ამავე დროს, „გზას", „პრინციპს", „ენარს", „სიტყვას". . .

**როგორც ფილოსოფიური კატეგორია, „დაო" მრავალნაირად უთარგმნიათ -„არსი", „ზრი", „ლოგოსი", „გონება", „ღერთი", „სამყაროს კანონი", „შემოქმედი პრინციპი", „პირველმიზეზი"** და სხვა" /რ. ყარალაშვილი/.

* - /ლათ./ - *„ნათელი აღმოსავლეთიდან მოდის!"*

სურ. 2.

დედოფლისწყაროს რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალის - ხალხთა მეგობრობის მუზეუმში (გამგე **ქეთევან შეყილაშვილი**) გიიხსნა სოფელ წითელწყაროს რუსულ-ქართული საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებლის **მზია მოსიევა-გალიდისის ნახატების პერსონალური გამოფენა.**

მზია მოსიევა-გალიდისი 1960 წელს დაიბადა სოფელ ქვემოქედში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან თბილისის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა. მზია მასწავლებელი დღესაც მადლიერებით იხსენებს იგ ბატარბელ სტუდენტურ წლებს, მაგრამ როგორც, პროფესიონალი მხატვარი, იგი მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. აქ სწავლობდა გრაფიკის განხრით, რომლის სრული კურსი 1996 წელს დაამთავრა.

მის ნახატებში ყვავილები სჭარბობს, რომელიც საოცრად ჰგავს ორიგინალს და შესრულებულია აბრეშუმის ტილოზე.

მის შემოქმედებაში გამოირჩევა რელიგიურ თემაზე შესრულებული ქნილეულები: „ქრისტე", „ღვთისმშობელი", „წმინდა ნინო", „ეელია" და „მოსა".

მას აქვს ხეზე შესრულებული ნახატები: „ვეფხისტყაოსანი", „იესო ქრისტე" და „ღვთისმშობელი".

დიდი შთაბეჭდილება დატოვა მხატვრის თვალით დანახულმა პეიზაჟებმა: „ტბის ნაპირზე", „ზამთრის პეიზაჟი", „ეელია ტბაში" და სხვ.

გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. მზია მასწავლებლის ნახატები დაათვალიერეს როგორც ქართველმა, ისე არაქართველმა მოსახლეობამ - სწორედ მეგობრობა აკავშირებს ამ ხალხს ერთმანეთთან - ბრძანა მუზეუმის დირექტორმა **ქეთევან შეყილაშვილმა.**

ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მზია მოსიევას პერსონალური გამოფენა გახსნა რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ **ნელი გობეჯიშვილმა.**

გახსნას ესწრებოდნენ: სოფელ წითელწყაროს გამგებელი **ელა იაკობიშვილმა,** რაიონის განათლების განყოფილების გამგე **მურად ოზაშვილი** და რუსულ-ქართული საშუალო სკოლის დირექტორი **სვეტლანა შალვაშვილი.**

ხალხთა მეგობრობის მუზეუმი დაათვალიერა და პედაგოგებს გულთბილად ესაუბრა რაიონის გამგებელი **ვაჟა ქადაგიძე.**

*მარიკა პოპიაშვილი, დედოფლისწყაროს*

## პეტსონალური გამოფენა

## გრანტების მფლობელები

პირველ იენისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. ამ სცენაზე ყოველწლიურად იმართება „პატარა ვირტუოზების" კონცერტი და საუკეთესოების დაჯილდოვება გრანპრით და დიპლომებით.

უკვე რამდენიმე წელია ამ კონცერტში, თბილისელებთან ერთად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ვოკალური თუ ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობენ.

პატარა ვირტუოზებმა საინტერესო პროგრამა შესთავაზეს მაყურებელს. კონცერტს ჩვენული ბიბლიით **ინგა ბერიაძე** და **გიგი გეგელაშვილი** უძღვებოდნენ.

სცენიდან ისმოდა ბავშვების წკრილა ხმები. პატარები დიდი არტისტიზმით უმღეროდნენ დედას, საქართველოს, გაზაფხულს. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ საქართველო ისევ გამლილანდება, ქართველი ხალხი ისევ დაიბრუნებს თავის საზღვრებს და ყველა ერის წარმომადგენელები კვლავ ძმურად იცხოვრებს საქართველოს მიწაზე.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს: რუსთავის საბავშვო სტუდია „ბაჩარნის" სოლისტებმა - ეკვნი წლის მოიმბიბვლელმა ეკა ქერდაძემ, მარი ოქროუაშვილმა და სალომე ბარათაშვილმა. თბილისის ბავშვთა სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურმა ანსამბლმა „ენიმელამ" და მისმა წევრმა, დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ნათია ნატროშვილმა. შთამბეჭდავი იყო თბილისის ბიჭუნათა გუნდის - „ალიონის" - მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები.

დიპლომები დაიმსახურეს: ბიჭუნათა გუნდმა **„ალიონმა"** თბილისიდან;

**მარიამ ფიფიამ** რუსთავიდან; **გიორგი ბეროშვილმა** კაჭრეთიდან;

გრანპრის მფლობელები გახდნენ: **თამუნა ქარცივაძე, ნინო კოშორიძე, ოთარ ბერიშვილი, თორნიკე ბალაკაძე** თბილისიდან;

**ტრიო „აკორდი"** (ხელმძღვანელი დიანა გუგუაშვილი რუსთავიდან).

„პატარა ვირტუოზების" მთავარმა რეჟისორმა ქალბატონმა **ლანა საყვარელიძემ** გრან-პრი და დიპლომი გადასცა დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„ხორნაბუჯის"** ხელმძღვანელს **ლეგან ხუნაშვილს,** ხოლო ანსამბლის თითოეულ წევრს გადაეცა დიპლომი.

კონცერტის ბოლოს მონაწილეებმა სამახსოვრო სუვენირები გადაიღეს საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტთან, პატარა ვირტუოზებს უცავლელ წამყვანთან **გიგი გეგელაშვილთან.** მთავარმა რეჟისორმა ლანა საყვარელიძემ კიდევ ერთხელ მიუღოცა პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და სიხარული და სიკეთე უსურვა მათ.

*მარიკა პოპიაშვილი, დედოფლისწყაროს*

# ციხარტყელა ანუ „ეს უცნაური სიმბოლიკა..."

*„ნაშთი ძველის დიდებისა*
*არ გამქრალა ჯერაც ყველა...*
*დღესაც მისი შარავანდით*
*ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!*

*შვიდ სამთავაროს მოგვაგონებს*
*მოელვარე ის შვიდფერი,*
*და გვამღერებს: არ მომკვდარა,*
*გაიღვიძებს ისევ ერი!"*

*„თორნიკე ერისთავი"*

*„ყარყუმს რა მოჰკლავს?*
*– თავისი ენა!*
*ვინ გეხვეწება შენ, რომ იმღერი?*
*ყველას მაგისთვის*
*ჰსურს შენი წყენა*
*და მას გიწყრება...*
*ტვინმეფისტერი!"*
*„რჩევა ახალგაზრდა მბრძოლებს"*
*აკაკი წერეთელი*

... ვფიქრობ, დაინტერესებული მკითხველი უკვე მოიძიებდა დიდი ლეონარდოს „ბანოვანი..."-ს ფერად რეპროდუქციას და თვითონვე დარწმუნდებოდა ჩემი ვარაუდის საფუძვლიანობაში: გარდა (– რეალიზმის პოზიციებიდან! –) ძალზე „თავისებური" და „უცნაური" კომპოზიციისა (– მშვენიერი ქალბატონი მკერდზე ნებიერად მიხუტებული ყარყუმით – „მომხიბლველი მკალელით", რომელიც... საერთოდ, არ თვინიერდება, მით უმეტეს – არ შინაურდება!), აქ, ჩემი აზრით, თვალში საცემია ეროგვარი **ფიზიკური მსგავსებაც** სურათზე გამოსახულ ორ არსებას შორის...

და კიდევ: ამ ფერწერულ ტილოზე აშკარად დომინირებს **მწვანე ფერი**: – მუქი მწვანე ფერისაა სურათის ფონი; შედარებით ბაცი მწვანე ფერისა – კაბა, რომელიც ბანოვანს აცვია! თუმცა, აქვე „წარმოდგენილია" სხვა ფერებიც...

მაგრამ ჩვენ – „პირველსავე სიტყვასა ზედა მივიდეთ": „ვეფხისტყაოსანს" დავუბრუნდეთ!

... მიუხედავად იმისა, რომ დიდებული პოემის ლექსიკა, თავისი ბრწყინვალეებითა და ფერადოვნებით, მარადაც ჩინურ ფერთა პალიტრას თუ შეედრება მხოლოდ, თვით ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს მისი ავტორი ძალზე იშვიათად იყენებს. ესენია, უპირველეს ყოვლისა, **ცისარტყელას** ფერები – ლურჯი, ლაჟვარდისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, მეწამული (პოემაში – ძოწისფერი, „ძონეული") და, აგრეთვე – ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი – **თეთრი** და **შავი** (თეთრ-შავი ყარყუმი, თეთრ-შავი ინ-იანის სიმბოლო...)!

მე მგონი, მკითხველი უკვე აუღია ალღოს სუფიური სიმბოლიკის შინაგან ლოგიკას, ინფორმაციის შიფრირება-დეშიფრირების სუფიურ მეთოდს. ამიტომ, დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით, აღარ შევუდგები – თითოეულ ფერთან მიმართებაში – ამ პროცესის დეტალურ ახსნას. ვიტყვი მხოლოდ, რომ: **ნარინჯისფერი – მზის** ფერად მოიაზრება და არის სიმბოლო იმისა, რასაც „მზე" გასანაზიერებს, ანუ: კონკრეტულად – **ღმერთისა, ღვთაებისა**, საზოგადოდ კი – ყველაფერი **ღვთაებრივისა;**

**ყვითელი – ოქროს** (უძვირფასესი, უკეთილშობილესი მეტალის) ფერია; მან ფერისაა ყველა და ყველაფერი **„მზის"** სხივებით მოფენილი, ანუ „გასხივოსნებული" („ვარდთა და ნეხვთა — (ყოველთა!) — მზე სწორად მოეფინების", განსაკუთრებით – „განათლებული პიროვნება", „გასრულქმნილებული ადამიანი", „ოქროსთავიანი და ოქროსგულა კაცი" – **სუფია!**

**მწვანე** – უკვე ვიცით: „სულისა და გონების მარადიული გაზაფხულის", „ჭეშმარიტების გზის", „სატრფოს", ანუ **სუფიზმის** აღმნიშვნელი ფერია;

**ლურჯი** – გამოხატავს „სატრფოსთან", „მიჯნურთან", ან „მოყვარესთან" („მოყვასთან", „მეგობართან") **განშორებით გამოწვეულ სევდასა** და **დარდს**, და **იმედად მოლოდინს** მასთან კვლავ შეყრისას;

**წითელი – „სისხლი", „სიცოცხლე", „სული"** და ამ სულის თვისება — **„ცეცხლია სიყვარულისა"**, რომელიც განშორებისას კი არ ნელდება, პირიქით, უფრო ღვივდება, ძლიერდება და მიჯნურს ახალი და ახალი „საგმირო საქმეებისაკენ" უბიძგებს;

**ლაჟვარდისფერი** – „ აისს", „განთიადს", ე.ი. **„მზის აღმოპრწყინების მოახლეობას"** მოასწავებს, ანუ – **„გამარჯვების მოახლეობის დღესასწაულს"!**

**მეწამული (ძოწისფერი, „ძონეული")** ჩემი აზრით, განსაკუთრებულ ახსნას საჭიროებს: საქმე იმაში გახლავთ, რომ ცნება „ცხოვრება", „ცხოვრებისეული ორომტრფიალი" სუფიზმში აღინიშნება სიმბოლოთი „ზღვა", „ოკეანე" (ქართულად „ცხოვრების მორევს" ვიტყვით), ხოლო ძველი არაბი სუფიებისათვის ზღვა სწორედ... მეწამული ფერისა იყო, რადგან ისინი (ყოველ შემთხვევაში, მრავალი მათგანი მაინც) მეწამული ზღვის ნაპირებზე სახლობდნენ და იღვწოდნენ!

**თეთრი** – ადამიანის სულისა და მისი მრწამსის სისპეტაკეზე, **სარწმუნოების, რწმენის ერთგულებაზე** მიანიშნებს და, ბოლოს:

**შავი – „სიბრძნის"** სინონიმია როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც...

ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სულ სხვანაირად დავინახოთ და ახლებურად შევაფასოთ ინ-იანის სიმბოლოში კოდირებული აზრი – ყოველ შემთხვევაში, მიკრო-კოსმის დონეზე მაინც: **„ადამიანი** (იდეალში **– ადამიანები**, ადამიანების ერთიანობა – **საზოგადოება, ერი) ღვთისაგან შექმნილია, როგორც განსხეულებული, ხორცშესხმული ჰარმონია რწმენისა და სიბრძნისა, აღვსილი ღვთაებრივი სულით!"**

მე ვფიქრობ, აგრეთვე, რომ იგივე, ან დაახლოებით იგივე აზრი, უნდა იყოს ჩაქსოვილი **ქართული სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაშიც**...

მოდით, ჯერ ის გავიხსენოთ, როდის შეიქმნა ჩვენი დროშა – 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, ე.წ. „მენშევიკების", ანუ იმავე სოციალ-დემოკრატების მმართველობის ხანაში!

ნურც მისი სიმბოლიკის „გაშიფვრის" იმდროინდელ ვერსიაზე ვდგიხუჭავთ თვალს: თუ არ ვცდები, შავი ზოლი – ჩვენი ხალხის მძიმე, საშინელი და ბნელი „ფეოდალურ-კაპიტალისტური" წარსულის აღმნიშვნელი, **თითქოს; თეთრი** – ნათელი „სოციალ-დემოკრატიული" მომავლისა, რომელსაც მენშევიკები ჰპირდებოდნენ ქართველ ერს; მწვანული ფერის ფონი კი – იმ ზღვა სისხლისა, რომელიც დაიღვარა და კიდევ უნდა დაღვრილიყო ამ „ნათელი" მომავლის მისაღწევად...

დიახ, **„თითქოს"!**

ასე და მხოლოდ ასე რომ „იშიფრებოდეს" ჩვენი დროშის სიმბოლიკა, ის რემთვისაც ისევე „გაუგებარი", ანუ მიუღებელი იქნებოდა, როგორც მისი მრავალი, ხშირად საკმაოდ ავტორიტეტული, ოპონენტისთვისაც!

მაგრამ!

ნელან „დამკვეთი" ვახსენეთ – საქართველოს მაშინდელი, „მენშევიკური" მთავრობა. ახლა „შემსრულებლებიც" გავიხსენოთ: ვინ არიან ისინი? დიახ, „არიან" და არა „იყვნენ", რადგან ის „დამკვეთები" დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, ესენი კი – „შემსრულებლები" – **უკვდავნი** არიან:

დიდი ივანე ჯავახიშვილი!
დიდი ექვთიმე თაყაიშვილი!
დიდი იაკობ ნიკოლაძე!

დიახ, როგორც ჩანს, სოციალ-დემოკრატებს ეყოთ ჭკუაც, გამჭრიახობაც და ვაღაკაცობაც, რომ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის (ამ შემთხვევაში – დროშის) შექმნა ღირსეული ადამიანებისათვის მიენდოთ; ჩვენ კი...?

ყოველთვის დაუჯერებლად მიმაჩნდა თვით ვარაუდიც კი იმისა, რომ ქართული კულტურის ამ სამმა ტიტანმა, სამმა გენიოსმა სწორედ ის პრიმიტიული აზრი ჩააქსოვა თავისი საღოცავი სამშობლოს – **მარადიული საქართველოს** – სახელმწიფო დროშის სიმბოლიკაში, რომელიც მხოლოდ სისხლით დამთვრალ და ვერ გამძღარ სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ, „მიეღოთ" და „თამომმავლობისათვის დაეტოვებინათ".

მართლაც და, ნუთუ შესაძლებელია იმის დაჯერება, რომ დიდი იავნე, დიდი ექვთიმე და დიდი იაკობი იმაზე მოცდნენ, იმას ანაცვალეს საკუთარი დრო, ენერგია და, რაც მთავარია, მამფლიშვილური მრწამსიც კი, რომ ქართველი ერისათვის სოციალ-დემოკრატთა **პარტიული,** ე.ი. **დროებითი** დროშა „მიეძღვნათ"?

კი, დღეანდელ „პოლიტიკოსებს" შეუძლიათ იფიქრონ, რომ რამდენი პარტიაც მოვა ხელისუფლებაში, იმდენჯერ შეიძლება ეროვნული დროშის შეცვლა...

მაგრამ!

ნუთუ, „ისინიც" ასე ფიქრობდნენ?

ან, იქნება მიაჩნდათ, რომ სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური") მმართველობა საქართველოში არასოდეს შეიცვლებოდა?

ასეთი გულუბრყვილოები და მოკლე თვალსაწიერისანი იყვნენ, ვითომ?

არ მჯერა და არც არასადროს მჯეროდა, რადგან დარწმუნებული ვარ, გენიოსები „დროებითზე", „წარმავალზე" არასოდეს იხარჯებიან – ისინი ყოველთვის „დიადს", „უნიკალურს", „მარადიულს" ქმნიან! ამიტომაც არიან ისინი **გენიოსები!**

... დიახ, ჩვენი დროშა ცოტა „ბუქ" შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს სჭირდებოდა ასე.

რა „საქმეს" და „რატომ"?

ამის გარკვევაში, პირადად მე, ისევ ზემით მოყვანილი სუფიურ ფერთა სიმბოლიკა დამეხმარა. როგორ „იკითხება", ამ სიმბოლიკის თანახმად, ჩვენი დროშა?

**„ჩვენ – ქართველი ერი – ცხოვრებაში** (მეწამული ფონი) **გზას გავიკვლევთ რწმენითა** (თეთრი ზოლი) **და სიბრძნით** (შავი ზოლი)"!

მოკლე ფორმულა, ერთგვარი დევიზიც კი შეიძლება ჩამოყალიბდეს:

**„რწმენითა და სიბრძნით აღმამაღლებულნი"**

აბა, რა არის აქ „გაუგებარი" ან მიუღებელი"?

თქვენი არ ვიცი, და, პირადად ჩემთვის, არაფერი!

პირიქით, ყველაფერი სრულიად გასაგებია და, მე თუ მკითხავთ, სრულიად მისაღებიც, რამეთუ ეს სიმბოლიკა **უნიკალურია** – გუშინაც, დღესაც და ხვალაც ყველა სარწმუნოებისა და ყველა სოციალური ფენისათვის ასეთივე ერთნაირად **გასაგები, მისაღებიც** და **სასურველიც!**

გავბედავ და მეტსაც ვიტყვი: ჩემი ღრმა რწმენით, დღეს ჩვენი დროშა ის „სავიზიტო ბარათია", რომლის წინაშე ყველა კარი იღებოდა, იღება და კვლავაც გაიღება, თუკი მას, რაღა თქმა უნდა, ღირსეული პატრონიც ეყოლება ქართველი ერისა და საქართველოს მთავრობის სახით!

როგორც ხედავთ, ქართული სახელმწიფო დროშის სიმბოლოკაში საკმაოდ ღრმა აზრი ყოფილა „ჩადებული", სხვანაირად კი, არც შეიძლება ყოფილიყო: ჩვენ ხომ „ბუმბერაზების მხრებზე ვდგავართ!"

... ასეთი „ნაკითხვა" ჩვენი დროშისა მით უფრო სარწმუნოდ და დამაჯერებლად მეჩვენება, რომ, სუფიურ ფერთა სიმბოლიკაზე დაყრდნობით, საუცხოოდ „იშიფრება", სხვა დემოკრატიული ქვეყნების – მაგ.: იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის... სახელმწიფო დროშებიც!

... თუმცა, შეიძლება, როგორც ყველაფერი დანაჩრენი, ესეც ჩემი ფანტასმაგორიული ზმანებები აღმოჩნდეს მხოლოდ...

თქვენ როგორ გგონიათ?..



# რატომ ჭეულვართ მათ?

ამერიკელი პედაგოგების განცხადებით, 11 სექტემბრის შემდეგ – „ისლამი", „პოლიტიკის ისტორია" და „ტერორიზმი" კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში წამყვან საგნებად იქცა, რაც დიდი მოულოდნელობა იყო. მაგალითად, ოჰაიოს უნივერსიტეტში შემოიღეს საგანი „პოლიტიკა და კულტურა ცენტრალურ აზიაში".

„პიოტტერორიზმი და მისი ისტორია" ახალი საგანია, რომელიც ტენესის შტატის უნივერსიტეტში ისწავლება და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჯორჯიოს შტატის უნივერსიტეტში კი, მოთხოვნების საფუძველზე, მოიწვიეს არაბული ენის, ლიტერატურისა და კინოს ისტორიის სპეციალისტი. სასწავლო დისციპლინების რიცხვს ორი საგანი დაემატა, რომლებიც სტუდენტებს ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის ცხოვრებასა და ისლამური ფუნდამენტალიზმის ისტორიას ასწავლის. ერთ-ერთი საგნის სახელწოდება „იმი, მშვიდობა და რელიგია" გაბლათი. ნიუ-იორკის სანტტაურენსის უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი კურსი „*რატომ ვძულვართ ჩვენ მათ?*"

11 სექტემბრის მოვლენებმა ახალი სული შთაბერა ნაკლებად პოპულარულ, ძველ სასწავლო საგნებსაც. ვირჯინიის შტატის ჯორ ვეესონის უნივერსიტეტში, წლების მანძილზე, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კურსს „საინფორმაციო თავდაცვის ტექნოლოგიები". დღეისათვის აღნიშნულ საგანს, როგორც მთავარ სპეციალობას, 80-ზე მეტ სტუდენტი ეუფლება, რისთვისაც დამატებითი ჯგუფის გახსნა გახდა საჭირო. ასევე დამატებული იქნა სასწავლო კურსი „ისლამი და ინტერნეტი".

როგორც ფილადელფიის სანტ ჯოზეფის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯეფ პისონი** აღნიშნავს, იგი წლების მანძილზე ოცნებობდა, ნაეკითხა სალექციო კურსი იმის შესახებ, თუ როგორ ფორმირდება ისტორიული მოვლენები კოლექტიურ მეხსიერებაში.

დღეისთვის იგი პირველკურსელებს უკითხავს ლექციებს ტემაზე „ისტორია და მეხსიერება".

*„მსურს, რომ ახალგაზრდებს გავაცნო 11 სექტემბრის წარსული და მომავალი"* – ამბობს იგი.

# სახელმძღვანელოების პრობლემა გერმანელ მასწავლებლებსაც აწუხებთ

გერმანელი პედაგოგები ჩივიან, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ნაკლებობის გამო თავად უნეკთ სასწავლო მასალების მომზადება.

გერმანიაში პიზა-ტესტების ჩატარებისას მიღებულმა უარყოფითმა შედეგებმა საჭირო გახადა სწავლების მეთოდებისა და სახელმძღვანელოების გადახედვა, რომელთა დონეც, განათლების მუშაკთა განცხადებით, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

გერმანიაში სკოლებში სწავლება, საშუალოდ, 10 წლის წინანდელი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. იშვიათობას არც 80-იანი წლების ისტორიის წიგნი წარმოადგენს. ხმარებაში დაშვებულია 1955 წლის გამოცემებიც.

ჰამბურგის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა საკუთარი სახსრებით დაამზადა კედლის რუკები, ვინაიდან სკოლაში არსებული ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელი პოლიტიკის სახელმძღვანელოს მიხედვით გერმანია ორ ნაწილად იყოფა, გერმანიის კანცელერი ჰელმუტ კოლი გახლავთ.

ჰუმბოლდის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე, თერთმეტი წლის სენტა კი ერთ-ერთ ჟურნალს სწერს: *„გვაქვს თუ არა უფლება, ვიეოდეთ, რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათი წლის მანძილზე?"* იზრდება მასწავლებლთა მიერ შმობლებისთვის გაგზავნილი რეკომენდაციების მოცულობა, რომლებიც შემდეგი სიტყვებით იწყება: *„კარგი იქნება, თუ თქვენი ბავშვისათვის მოახერხებთ, შეიძინოთ..."*

*„მთავრობა ირიდებს პასუხისმგებლობას"*, – აღნიშნავს **კარინ ბრაიტკრო�n**, რომელიც დიუსელდორფის მერიაში სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხს კურირებს. კანონის მიხედვით, 1943 წლიდან სკოლის მასწავლებლებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების არჩევისას. ეს კანონი რეალურად მხოლოდ ბადენ-ვიუტენბერგში, ბრემენში, ჰამბურგში, ჰესენსა და ტიურინგენში მოქმედებს.

სახელმძღვანელოების ტირაჟის სიმცირის გამო ყველა მოსწავლის დაკმაყოფილებაც ვერ ხერხდება. შმობლები საყვედურს გამოთქვამენ მათი სიძვირის გამოც. ყოველწლიურად ბავშვების წიგნებით მომარაგება 80 ეკრო ჯდება. ერთ-ერთი გერმანიის მოსწავლეების ცნობით, ისინი თავიანთ ნახმარ წიგნებს, გარკვეულ ფასებში, გადასცემენ მომდევნო კლასის მოსწავლეებს.

ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მშობელთა ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში. მათი თქმით, დღეს, მშობლების უმეტესობა ვვილებისთვის ძვირფასი ტანსაცმლის შეძენას ამჯობინებს მათთვის სახელმძღვანელოების და საკითხვი ლიტერატურის შეძენას. სახელმძღვანელოები კი თითქმის ერთადერთი სახეა ლიტერატურისა, რომელთანაც პატარები შეხება აქვთ. უმეტესობა ამბობს, რომ გასაკრთობი ლიტერატურის სია მხოლოდ კომიქსებისა და გაზეთებისგან შედგება. საჭირო ტერმინის განმარტებას კი ინტერნეტის საშუალებით იგებს.

ძველი სახელმძღვანელოები პიგიენური თვალსაზრისითაც წარმოადგენს პრობლემას.

*„ესდაგოგები იმედგაცრუებულნი არიან, განათლება ყველას ნაკლებად აინტერესებს"* – აღნიშნავს **კარინ ბრაიტკროიცი.**

*უცხოური პრესის მიხედვით მასალები მოამზადა*
**მაია სიმონიშვილმა**

ახალი ქართველოს ბიბლიოთეკა

# შ ა ბ დ ი ზ ი

„ხარ ას ფარეშზე მდიდარი და
ვინ შეგედრება:
ყორნისფერ რაშთა – შაბდიზების* –
დაგიდის რემა!
ხარ ამაყი და მძლავრი, მაგრამ
დაიცხრე რისხვა –
მზიან დღეს მოსდევს ავდარი და
ბუნება წყრება".
ᲐᲓᲘᲖ ᲡᲐᲑᲘᲠ ᲗᲘᲠᲛᲘᲗᲘ /XIII.c./

„თვით ᲠᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ კი, რომელიც ᲯᲔᲠ კიდევ ᲩᲕᲘᲡ წელთა აღრიცხვამდე ცხოვრობდა, ცხოველთა გამოყენება-აღწერით ᲗᲝᲗᲐᲡ ᲨᲣᲑᲚᲝᲑᲔᲓᲔᲑᲐ, მაგრამ მას მაინც ᲕᲔᲠ ᲔᲗᲝᲚᲔᲑᲐ...

ᲠᲣᲗᲕᲘᲡᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ დიდ ადგილს უთმობს ᲪᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ამის შემდეგ ᲚᲝᲛᲘ /ნახსენებია 78-ᲯᲯᲠ/ და ᲕᲔᲨᲮᲘᲡ /22-ᲯᲯᲠ/, მაშინ როდესაც ᲠᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡ მხოლოდ ერთხელ ასახელებს ᲯᲮᲘᲡᲐ, ᲕᲔᲨᲮᲘᲡ კი – არც ერთხელ...

ᲐᲡ. ᲠᲐᲠᲐᲫᲔ
„ᲕᲔᲨᲮᲝᲜᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲚᲘᲡ" ცხოველთა
სამყარო"

„ᲠᲣᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ასახელებს 4-ᲯᲯᲠ. რამდენი ვირი იყო ამ დროს საქართველოში, ან ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲚᲘᲡ, ამის შესახებ ნაშრომში არაფერია თქმული".

Ნ. ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘ
„ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ"

... აბა, რა მოიფიქრეთ?

თქვენი არ ვიცი, და მე კი მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი ძალიან ნააგაის სიმართლეს და ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜᲐᲪ საკმაოდ ახლოს უნდა იყოს!

მაგრამ ახლა ისევ „ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ცხᲔᲠᲔᲑᲘᲡ დავუბრუნდეთ" – მით უმეტეს, რომ, როგორც იქნა, „ᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ" პოემის ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲡ გმირი – ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ /„ᲛᲐᲚᲛᲝᲗᲐ ᲔᲚᲘᲠᲗᲡᲐᲛ", ᲜᲘᲫᲒᲘᲡ, ᲐᲚᲐᲛᲝᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ/!

6. „ᲐᲜ ᲔᲜᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲘᲛᲐᲓ,
ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲒᲜᲔᲑᲐ!
ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘᲛᲐᲓ, ᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐ –
ᲨᲔᲜᲒᲜᲘᲗ ᲛᲐᲫᲘᲡ: ᲛᲘᲛᲪᲔᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ;
ᲛᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘ –
ᲤᲐᲠᲨᲐᲛᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲚᲔᲑᲐ...
ᲛᲐᲗ ᲡᲐᲛᲝᲗᲐ ᲒᲘᲠᲘᲗᲐ ᲛᲐᲜᲘᲛᲔᲑᲘᲗ
ᲡᲮᲘᲠᲘ ᲝᲠᲗᲐᲜᲐᲒᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗ
7. მო, დავსხდეთ... ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲝᲠᲘᲛᲔᲝ ᲒᲔᲫᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲨᲠᲝᲜᲔᲚᲘ!

ᲛᲘᲡᲔᲓᲠᲘ ᲛᲐᲠᲗ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲑᲘᲗ
ᲕᲘᲜᲛᲔᲪᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲝᲑᲔᲚᲘᲐ?!..."

და სხვ.

ᲔᲗ „ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲐ", ᲔᲠᲗᲘᲠᲘᲗ, ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘᲐ /ოდესმე ხომ უნდა გამოჩენილიყო მაინც!/, მეორე მხრივ კი – მოულოდნელი!

რატომ – მოულოდნელი?

თავად განსაჯეთ:

ᲯᲯᲠ მხოლოდ მეᲐ-Ე სტროფამდეა პოემის მკითხველი მისული; ᲬᲘᲜᲐ სტროფებში და მეᲐ-Ე სტროფის 1-2 სტრიქონებშიაც საუბარია საეკლესიო კონკრეტულ, რეალურად არსებულ „სახელებზე" (1-სა და მეᲐ-Ე სტროფებში – ᲔᲚᲓᲐᲠᲘᲡ, მეᲐ-Ე და მეᲐ-ᲔᲨᲘ – ᲒᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ: თამარისა და დავითზე/, და კიდევ – ავტორის საკუთარ, ასევე რეალურ განცდებზე /„გასტეხს ᲫᲕᲐᲡᲐᲪᲐ მაგარსა...", „ᲐᲜ ᲔᲜᲐ მინდა გამოთქმᲐᲓ...", „ᲛᲐᲚᲐ მომეᲪᲘ, და ᲨᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐ...."/, და ამ დროს – ᲣᲪᲘᲓ! – „მით შევᲘᲜᲘᲜᲔᲗᲝᲗ ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘ"! ხოლო, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ „ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘ", საიდან გაჩნდა? – ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ!

ᲯᲯᲠ – ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ!

ᲛᲐᲚᲘᲡᲐᲜ მალე, უკვე მომდევნო ფრაზებიდანვე კი ცხადი ხდება, რომ დიდი, დიდად მნიშვᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲨᲔᲫᲔᲚᲔᲡᲐᲓ, რადგან:

ᲐᲐ) მას, თურმე, აქაც კი – მᲘᲠᲜᲘᲜᲒᲑᲣᲚ ᲒᲐᲘᲠᲒᲘᲜᲝᲛᲘᲡᲗᲐ ᲒᲐᲒᲠᲔᲚᲘ! – ᲠᲐᲒᲛᲔᲚᲘ, „ᲢᲣᲠᲤᲐᲓᲐᲪᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲮᲡᲜᲔᲑᲐ"!

ᲑᲑ) იგი იმდენად ახლო დამოკიდებულებაში ყოფილა თამარსა და დავითთან, უფრო მეტიც – ამ სამი ადამიანის ᲑᲘᲓ–ᲝᲚᲔᲑᲘᲡ იმდენად მჭᲘᲠᲘᲠᲛᲔ ყოფილა ᲣᲠᲗᲝᲘᲠᲘᲗ-ᲒᲐᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ-ᲒᲐᲓᲐᲯᲯᲐᲭᲣᲚᲘ, რომ ᲨᲔᲠᲜᲔᲓ ამ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲑᲐᲡ ᲘᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘ ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, რᲐᲗᲐ „ᲤᲐᲠᲘᲔᲚᲘᲪᲘᲗ" მოქმᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲝᲗ. ᲘᲡ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘᲗ /„ᲗᲐᲗ სამთა ᲒᲘᲠᲘᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲝᲗᲐ ᲨᲔᲮᲔᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲗᲐᲜᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲗᲐᲜᲘᲗᲘ ᲛᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘ"/!

ᲑᲑᲑ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მარგალიტი"

## (ვერსიები)

**„... წლებით უმრწემესი ვარ მე, თქვენ კი – მოხუცებულნი; ამიტომაც მომერიდა და ვერ გავბედე, ადრევე მომეხსენებინა თქვენთვის ჩემი აზრი.**

**ვიფიქრე: დაე, დღეებმა ილაპარაკონ და ნელთა სიმრავლემ ასწავლოს-მეთქი ი ბ რ ძ ე ნ ე ; ნამდვილად კი მხოლოდ კაცში მყოფი ს უ ლ ი დ ა ს უ ნ თ ქ ვ ა ყ ო ვ ლ ა დ - ძ ლ ი ერ ი ს ა გ ა ნ ს წ ა ვ ლ ი ს მ ა ს!**

**დღეგრძელნი ყოველთვის არ არიან ბრძენნი და მხოლოდ მოხუცებულნი არ მიხვედრილან ს ი მ ა რ თ ლ ე ს !**

**ამიტომ ვამბობ: მომისმინეთ – მეც გამოვთქვა ჩემი აზრი!**

**... შორიდან წამოვიღებ ჩემს აზრს და ჩემს შ ე მ ქ მ ნ ე ლ ს მივაგებ სიმართლეს!**

**... რადგან საავე ვარ სიტყვებით და შიგნიდან მაწვება სული; აჰა, თავმოუხდელ ღვინოსავით არის ჩემი შიგანი, გასკდომაზეა ახალი ტიკივით.**

**ვილაპარაკებ, რათა სული მოვითქვა; გავხსნი ბაგეებს და პასუხს გავცემ;**

**გულწრფელია ჩემი სიტყვები და ჩემი ბაგე ნათლად გამოაცხადებს ც ო დ ნ ა ს !**

**პირფერობას არ დავუწყებ კაცს და ადამიანს არ მოველაქუცები!**

**რადგან მ ე ლ ა ქ უ ც ი ა რ ვ ი ც ი .**

**უმალ ღმერთმა წამიღოს აქედან!"**

*ი ო ბ ი (32, 6-10; 18-22; 33,3; 36,3)*

„მარგალიტი – სფეროსებრი ან არასწორი ფორმის წარმონაქმნია, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის (კერძოდ, ორსაგდულიანი და მუცელფეხა მოლუსკების) ორგანიზმში რაიმე უცხო სხეულის (ბაქტერია, კენჭი, ქ ვ ი მ ი ს მ ა რ ც ვ ა ლ ი ...) მოხვედრის შედეგად.

... ამ უცხო სხეულის გარშემო – კონცენტრულად, ფენა-ფენა – დაგროვებას იწყებს სადაფი, იგივე პ ერ ლ ა მ უ ტ რ ი (გერმ. Perle - მარგალიტი, Mutter - დედა), რომლის თხელი ფენითაც, ნორმალურ პირობებში, დაფარულია ამ მოლუსკების ნიკარის შიგნითა ზედაპირი.

... ქიმიურად ეს ნითიერება, ძირითადად, შედგება ა რ ა გ ო ნ ი ტ ი ს (კარბონატების $CaCO_3$ კლასის მინერალი) კრისტალებისაგან.

... მარგალიტს ახასიათებს ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ი ს ე ბ რ ი ელვარება. იგი ერთ-ერთ უძვირფასესს სამშვენისად ითვლება და, რაც უფრო დიდი ზომისაა, მით უფრო მტკად ფასობს". (ც ნ ო ბ ა რ ე ბ ი დ ა ნ ).

... მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს , ამ უმშვენიერესი „ცოცხალი ქვის" ხატი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, სრულიად განსაკუთრებული დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში", არამედ, საერთოდ მთელ სუფიურ ლიტერატურაშიც.

ამასთანავე აღმოჩნდა, რომ იგი ის „წყალქვეშა კლდეცაა", რომელზედაც არაერთი მეცნიერის „ცოდნის ხომალდი" დამსხვრეულა!

თუმცაღა – ესეც უნდა ვთქვათ! – არც საკვირველია.

თავად განსაჯეთ:

როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა „მარგალიტი" უხსოვარი დროიდან იხმარება და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ მხრივ, არც „ვეფხისტყაოსანია" გამონაკლისი; მაგ.:

„უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი,
ვითა დრმაზ". /683/
„ოქროც რამე წარიტანეს, მარგალიტნი
ღარიბები". /1367/
„ოქრო, თვალი, მარგალიტნი, მშვენიერი
სანახავად". /1643/

... მაგრამ, ამასთანავე, ეს სიტყვა არის ერთ-ერთი უძველესი ეპითეტი და მეტაფორაც, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მწერალ-პოეტები.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა, რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი.

... ძველი არაბული პოეზიის მთარგმნელები – თინათინ მარგველაშვილი და გივი ციცქიშვილი, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „მარგალიტები არაბულ პოეზიაში საგრაფოს ლამაზი კბილების მეტაფორაა". ეს კომენტარი დართული აქვს VIII-IX საუკუნეების არაბი პოეტის აბუ ნუვასის ერთი უსათაურო ლექსის შემდეგ ტაეპს:

„და როს ღვინო შიგ შერეულ
ღრუბლის ნაჟურს ვეღარ იტევს,
ილიმება და თან აჩენს
სადაფების მარგალიტებს".

მთარგმნელები სრულიად სამართლიანად შენიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში „... პოეტს აქვს ორმაგი მეტაფორა... კბილებთან კი აქ შედარებულია ბუშტები, რომლებიც წარმოიქმნებიან ღვინის წყალთან გაზიანების შედეგად" (კომენტარები, „არმაღანი", წიგნი მეოთხე, თბ., 1988).

ანალოგიური მნიშვნელობით „მარგალიტი" არაერთხელაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანშიც":

„ვნახე: ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად
მოემაზრა". /534/
„შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი
ტყუბები" /1142/
„კბილ-მარგალიტი, ტან-ალვა,
ღაწვ-ბალახმ, ყორან-თმიანი" /1578/
და ა.შ.

... მაგრამ, აბუ ნუვასის სხვა ლექსში, რომელიც ამავე კრებულშია წარმოდგენილი,

„ნარგაზებიდან ჯინანს სცვივა
მარგალიტები,
ვარდს სილას ურტყამს, თან იხოკავს
ბროლის თითებით!"

და, მართალია, ეს „მარგალიტები" მთარგმნელებს უკვე კომენტარის გარეშე დაუტოვებიათ, მაგრამ აქ ისედაც ხომ ცხადია: „ნარგაზებიდან" (ლამაზი, მშვენიერი თვალების მეტაფორაა; რუსთველთან, მაგალითად, „ნარგიზთათა წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნანვიმარია" 1315/, ჯ ი ნ ა ნ ს უკვე... ც რ ე მ ლ ე ბ ი სცვივა!

ხოლო რუსთველს „მარგალიტი"-ს არც ეს მნიშვნელობა გამორჩენია მხედველობიდან:

„ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, სწვიმს
ვარდისა დასანაზოდ". /141/
„თვალთათ, ვითა მარგალიტი,
ცრემლი ცხელი გარდმოთოვა". /628/
„თვალთათ, ვითა მარგალიტი,
გარდმოყარა ცრემლი ხშირი" /1172/
და სხვ.

/აქვე, აღბათ, უპრიანია, ისიც ვთქვათ, რომ მრავალ შემთხვევაში „მარგალიტი" გამოიყენება, აგრეთვე, როგორც საზოგადოდ წყლის – ზღვის, მდინარის – ზხეფების, აგრეთვე ნამის წვეთების ეპითეტი ან მეტაფორა, მაგ.:

„ცვარი, თითქოს, წმინდა მარგალიტი არის,
მთვარე – მოჭიმული მშვილდი!"
ვინ ი ტკი, შუა საუკ. ჩინელი პოეტი/

მაგრამ!

აღმოსავლურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ისეთ „საჩოთირო" ეპიზოდებს, რომელთაც საბჭოთა (და, მათ შორის ქართული) მეცნიერება, უმეტეს შემთხვევაში, „მორცხვი" დუმილით, კომენტარების გარეშე უვლიდა გვერდს. ასე, მაგალითად:

„ოქვე ეწერა: ასეთია
განგების ნება –
როცა ეს ვაჟი წამოაყოფს თავს
ქვეყნის მპყრობელი,
შვიდი სამეფოს შვიდი მეფის
შვიდ ლამაზ ასულს
გულში ჩაიკრავს ის ოგლელი
მარგალიტივით..."
ნიზამი განჯელი, „ბაპრამ გური"

აღბათ, ცხადია, რომ ეპითეტი „ობოლი მარგალიტივით" აქ სრულიად არაორაზროვნადაა გამოყენებული „შვიდი ლამაზი ასულის" მიმართ!

- კი მაგრამ, საროთიროს აქ რას ხედავთო, – იკითხავთ.

საქმე იმაშია, რომ ნიზამი შემდეგ უფრო შორს „მიტოპავს":

„ნოყმანი, შვილი იემენის
მეფის – მონზარის,
ტახტისთვის მებრძოლს ამოუდგა
ბაპრამ-გური გვერდში.
მიართვა ბაპრამს ლაშქრობისთვის
ურიცხვი განძი;
იმდენი იყო მარგალიტი —
ვ ი ნ გ ა ხ ვ რ ე ტ დ ა მ ა თ ! ",

ხოლო ამ საკმაოდ ბუნდოვანი პასაჟის შემდეგ კი (აქ, გულ- ბრყვილო მკითხველმა, შეიძლება, გაიკვირვოს კიდეც: „მარგალიტების გახვრეტა რაღა მეფეთა სადარდებელი იყოო, ვითომ!") ნიზამი უკვე ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე გვიცხადებს, რომ:

„როგორც კი ქალაქს მიატანა,
სიტყვის პატრონმა
გვირგვინი ისკვნა თავის გულის
სასურველ ქალთან:
... გ ა ხ ვ რ ი ტ ა მ ა რ ჯ ნ ი თ
მარგალიტი გ ა უ ხ ვ რ ე ტ ე ლ ი !
— თევზმა ჩათვლიმა, როცა ჩიტმა
გამოიღვიძა..."
/იქვე/*

... საერთოდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ე რ ო ტ ი ზ მ ი , მეტ-ნაკლები სიმძაფრის ეროტიკული სურნელი შუა საუკუნეების - განსაკუთრებით, რენესანსის ეპოქის – პოეზიისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი, იქნებ ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაც კი იყო. მით უმეტეს, რომ ცხოვრებისეული პერიპეტიების აღწერისას, თვით დიდი პოეტებიც კი ჩვენთვის (სულ ცოტა ხნის წინ!) საკმაოდ უჩვეულო ნატურალიზმს უყოფმანოდ მიმართავდნენ, რათა მათ მონაყოლს ხელოვნურობის ჩრდილი ზომაზე მეტად არ მისდგომოდა და მას დამაჯერებლობა არ დაეკარგა; გავიხსენოთ, თუნდაც, სულისშემძვრელი სცენა „ვეფხისტყაოსნიდან":

„დავარ მოსთქმიდა სიტყვათა, **რომელნი**
**არა მსმენოდეს:**
**— ბოზო, შე ბოზო,** რად მომკალ! ვეძჭვ,
შენც არა გლხენოდეს!
**როსკიპო, ბოზო დიაცო,** საქმრო რად
მოაკვლევინე?
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად
მოაზღვევინე?"

....

**ხელი მიპყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი**
**დაუფუშნა,**
**დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი**
**მოუქლუშნა..."**
/575, 576, 577/

და ა.შ., ა.შ.

... თუმცაღა, „რადღა ვაგრძელებ სიტყვასა – ჟამია შემოკლებისა": ცხადია, რომ ზემოთ მოყვანილ ეპიზოდებში (ლაპარაკია „ბაპრამ გურიდან" მოყვანილ ეპიზოდებზე) მარგალიტ – ქ ა ლ ი ს მეტაფორაა, თანაც საკმაოდ დაკონკრეტებულია (აქ, ყოველი შემთხვევისათვის, მანდილოსნებთან ბოდიშს მოვიხდი): ბაუზრეტილი მარგალიტი – ქალწული ყოფილა, ბაზრეტილი მარგალიტი კი – დედაკაცი!

იმის დამადასტურებელ მაგალითებს, რომ ეს ასეა (და არა მხოლოდ ნიზამი განჯელთან), დაინტერესებული მკითხველი, ვფიქრობ, საკმაოდ მოიძევებს სპარსულ-არაბულ ლიტერატურაში, და არა მხოლოდ იქ: ჩვენს დიდ პოეტს – დავით გურამიშვილსაც, მაგალითად, მიაჩნია, რომ

„ნამუსიანად მქცეველი ქალი
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი!"...

როგორაცა ჩანს, სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი (თუ საბაბი) იმისა, რომ ზოგიერთ მკვლევარს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ჩვენი პოემის ერთი ეპიზოდისათვის, კერძოდ: იქ, სადაც, ტექსტის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი მოყმის საძებნელად ნასული ავთანდილის პირველი შემოქცევისას, თინათინთან მისი პირისპირ შეყრის დროს, მა რაინდს „ქალმან მ ი ს ც ნ ა მარგალიტნი, სრულქმნა მისი სანადელი!" /სტრ.707/, თ ი თ ქ ო ს დ ა , იგულისხმება, რომ მან საკუთარი თავი, საკუთარი ქალწულობა „მიუძღვნა" მიჯნურს!

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ასეთ ინტერპრეტაციას, უდავოდ, აქვს გარკვეული თ ე ო რ ი უ ლ ი საფუძველი – მით უფრო, რომ აღნიშნულ ეპიზოდს საკმაოდ „გამჭვირვალე" პასაჟიც მოსდევს:

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი
ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს რგოს,
მორწყოს ახიოს..."
/708/

(ან კი, მართლაცდა, რა უნდა იყოს გასაკვირი იმაში, თუკი მიჯნურთა სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, მათი ფიზიკური სიახლოვით დაგვირგვინდა?! ალბათ, არაფერი...)

მაგრამ!

აქ არის ერთი მომენტი – თითქმის შეუმჩნეველი და, ალბათ, ამიტომ ყურადღების მიღმა დარჩენილი შტრიხი: ავთანდილს „ქალმან მისცნა მ ა რ გ ა ლ ი ტ ნ ი ", და არა „მარგალიტი", ანუ: ნახმარია მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ფორმა ამ სიტყვისა, რაც, თუკი აქ კონკრეტულ ქალზე, ან მის ქალწულობაზეა საუბარი, სრულიად უადგილოა!

ესეც ვიფიქროთ ბარემ: იქნებ გადაწერისას, რედაქტირებისას, ან ბეჭდვის დროსაა გაპარული შეცდომა (და, ეი., უნდა იყოს „მარგალიტი" და არა „მარგალიტნი", როგორც ტექსტშია), ან, იქნებ, თვით ავტორი გვიხსნის შეგნებულად გზა-კვალს, როგორც ამას არაერთხელ სჩადის?!

მაგრამ, არა! ყველაფერი სწორია, რადგან, მოგვიანებით, შინდაბრუნებული

„ყმა მივიდა, სანოლს დაჯდა, ზოგჯერ
ტირს და ზოგჯერ ბნდების,
მაგრა ახლაც გონებითა, საყვარელსა
არ მოსწყდების,
...
მან მარგალიტნი მოიხვნა, მის მზისა
სამეყვესონი,
მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ
კბილთა შესაბყვესონი,
პირსა დაიდვა, აკოცა; ცრემლი სდის,
ვითა ბისონი"...
/714,716/

და სხვ.

როგორც ვხედავთ, აქაც – „მარგალიტნი", თანაც „მის მზის მკლავსა ნაბამნი" (სამაჯური ყოფილა!), ასე რომ, შეცდომა გამორიცხულია: „ქალმან მისცნა მარგალიტნი", სწორედ „მარგალიტნი"!

და რა გამომდინარეობს აქედან?

რად „დავშვრით ესე"?

ნუთუ მაგანთა „გასაკრიტიკებელ-განსაქიქებლად", როგორც ეს ზოგიერთს კვლავ შეიძლება მოეჩვენოს?

არა, რა თქმა უნდა!

მაშ, რატომ, რისთვის?

... ვფიქრობ, ჩემი დ ა ს კ ვ ნ ა მთლად მოულოდნელი აღარ აღმოჩნდება მკითხველისათვის: ვერსია „ძალი არს მარგალიტი" (დაკით გურამიშვილისეული ფორმულა) – „ვეფხისტყაოსნის" შემთხვევაში! – მ ც დ ა რ - ი ა , მაგრამ მცდარია მ ხ ო ლ ო დ ნ ა ნ - ი ლ ო ბ რ ი ვ !

ანუ: იგი მ ც დ ა რ ი ა , რ ო გ ო რ ც ს ა ბ ო ლ ო ო ვ ა რ ი ა ნ ტ ი ; მაგრამ, ამასთანავე, სწორედ ეს მნიშვნელობა „ბეერ-ად-საჩხრეკი" სახე-სიმბოლოსი წარმოადგენს, თუმცა შ უ ა ლ ე დ უ რ , მაგრამ უ მ ნ ი - შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს რ გ ო ლ ს იმ ლოგიკური ჯაჭვისას, რომელსაც მის კიდეკ ერთ მნიშვნელობამდე მივყავართ...

***აქაც, და ყველან სხვაგანაც, თარგმანი**
**მაგალი თოდუასი**

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს!"

მარკოზი /4.22/, ლუკა /8.17/

„თქმულა: სიწყნარე გმობილი – სჯობს სიჩქარესა ქებულსა!"

/1339/

„ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი!"

/1447/

„ვეფხისტყაოსანი"

ჩვენს ბოლო „საუბარში" („მარგალიტი": ვერსიები", „ახ. განთლება", № 35-36, 2002 წ.) განეიხილე რა რამდენიმე ვარიანტი სიტყვა „მარგალიტი"-ს ეპითეტ-მეტაფორად გამოყენებისა, დასკვნის სახით გამოვთქვი მოსაზრება, რომ ვერსია „ქალი არს მარგალიტი" (დავით გურამიშვილისეული ფორმულა) უნდა წარმოადგენდეს უმნიშვნელოვანეს შუალედურ რგოლს იმ ლოგიკური ჯაჭვისას, რომელსაც მის კიდევ ერთ მნიშვნელობამდე მიეყავართ...

დიახ, ასე მგონია, და აი, რატომ:

გავიხსენოთ – სუფიური პოეზიის მთავარი თემა, ძირითადი მოტივი – სიყვარული გახლავთ, ცენტრალური ფიგურა კი – ამ სიყვარულის ობიექტი:

„საოცენებო სატრფო", „სანატრელი ქალწული", „მშვენიერი უცნობი ბანოვანი", ... ანუ, განზოგადებულად, „ქალი"!

ხოლო!

რა „სიყვარულია" ეს და რამელ „საოცენებო სატრფოზეა" აქ საუბარი?

იგულისხმება: „ღმთაებრივი სიყვარული" – პირდაპირი გაგებით, ანუ სიყვარული ღმთაების, ღმერთის, უზენაესის მიმართ!

აქედან გამომდინარე, „მარგალიტი" – ღვთაების, ღმერთის, უზენაესის სახე-სიმბოლოცაა („მარგალიტი" – „ქალი" – ღმერთი)!

მაგრამ...

არც ეს მნიშვნელობაა საბოლოო!

... ღმერთი (ღვთაება, უზენაესი) – პირველსაწყისი და, ამდენად, განსახიერებაა ღვთაებრივ (უზენაეს, ჭეშმარიტ) სათნოებათა; ანუ: იგი თვითონაა

უზენაესი, ჭეშმარიტი სიკეთე,

უზენაესი, ჭეშმარიტი სამართლიანობა,

უზენაესი, ჭეშმარიტი სიყვარული,

უზენაესი, ჭეშმარიტი სიბრძნე...

მეორე მხრივ, ღმერთი რჩება უზენაეს, უდიდეს საიდუმლოდ, რამეთუ იგი ყველგანაა და ყველაფერშია, მაგრამ, იმავდროულად, ყოველთვის უჩინარი რჩება ადამიანის თვალთაგან, „ღმერთი არასდროს არავის უნახავს" (გამოს. 33,20. I იოან., 4,12. I ტიმ., 6,16) იოანე, 1,18.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გვაქვს უფლება ვიგულისხმოთ, რომ

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიკეთე" – საიდუმლო სიკეთეა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სამართლიანობა" – საიდუმლო სამართლიანობა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიყვარული" – საიდუმლო სიყვარული,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიბრძნე" კი – საიდუმლო სიბრძნე!

ალბათ, ამიტომაც გვასწავლის ჩვენც, მის მოწაფეებს, ღმერთი განკაცებული – უფალი, მაცხოვარი და უზენაესი მოძღვარი ჩვენი იესო ქრისტე:

„ერიდეთ სამართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად; თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან.

ჰოდა, როცა მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ შენ წინაშე, როგორც თვალმოქცენი სჩადიან ამას სინაგოგებსა და ქუჩებში, რათა ხალხმა აქოს ისინი.

ჭეშმარტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური!

შენ კი, როდესაც მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ უცოდინებს, რას აკეთებს შენი მარჯვენა!

რათა შენი მოწყალება დაფარულში იყოს!

და მამაშენი, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ!"

მათე, /6,1-4/

... ხოლო „დაფარული" – ბიბლიური სინონიმია სიტყვისა „საიდუმლო".

ასევითვე მნიშვნელოვნი იყენებს მას „ვეფხისტყაოსნის" ავტორიც:

ა/ „ტარიელის ვარდი იყო დათრთვიელული,
არ დაზრული;
ყმასა უთხრა: – მესწრაფების, მითხარ
შენი დაფარული,
ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური,
სით მოსრული?..." /281/

ბ/ „... კარის მცველმან მონა უხმო, უთხრა
საქმე დაფარული..." /389/

გ/ „შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა
ჰკადრა არმალული;
– ერთსა რასმე მოგახსენებ:
გამიცხადე დაფარული –
– ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩჩინა
ვისგან წყლული,
– რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? –
თქვი, დავიღო მერმე სული!" /892/

დ/ „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ
ბრძენთა თქმულსა:
„არ იხმარებ – რა ხელსა ჰხდი საუნჯესა
დაფარულსა?" /899/

ე/ „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი
დიენოს გააცხადებს..." /1486/

ვ/ „ტარიელცა დაიზახნა, დაფარული
გაცხადდნ". /1583/

ზ/ „ბოლოდ ასრე გაცხადნა გონებამან
დაფარულნი!" /1447/

... რადგან ქმნა ჭეშმარიტი სიკეთისა (სახარებისეული „მოწყალების გაცემა"), აღსრულება ჭეშმარიტი სამართლიანობისა (სახ. „სიმართლის კეთება") და ხორცშესხმა ჭეშმარიტი სიყვარულისა (სახარება იოანესი, 14,34: „... გიყვარდეთ ერთმანეთი! როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენ ისე გიყვარდეთ...!"), უბრალოდ ყოველისა, ყოველივე ამის ე.წ. „თეორიულ ცოდნასა" და „პრაქტიკულ უნარს" მოითხოვს, ანუ – ჭეშმარიტ ცოდნას, ჭეშმარიტ სიბრძნეს, – გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ ჩამოთვლილ სათნოებათადან ნარმოადგენს ერთგვარ შესაკრებელს დანარჩენებისას, ე.ი.:

ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი სიბრძნე თავის თავში თავში აერთიანებს, ჯვიცავს ყველა სხვა ღვთაებრივ სათნოებებს – ჭეშმარიტ სიკეთეს, ჭეშმარიტ სამართლიანობას, ჭეშმარიტ სიყვარულს...

აი, სწორედ ამ ღვთაებრივ სათნოებათა შესაკრებლის – ჭეშმარიტი, საიდუმლო („დაფარული") სიბრძნის (იგივე ცოდნის, იგივე მეშვერვრების) – ან, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლოა აქ – „მარგალიტი"!

„ცათა სასუფეველი წაგაგის საუნჯეს, მინდორში დაფარულს, ჟამსა ერთსა იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს. რაც აბადია, და ყიდულობს იმ მინდორს.

და კიდევ: ცათა სასუფეველი წაგაგის ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს;

როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, – წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და იყიდის მას!"

მათე, /13,44-45-46/

(ცხადია, აქ „სასყიდელში" არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები უნდა ვიგულისხმოთ – თუმცა, პირველ რიგში, სწორედ ისინი, რადგან „ძნელია მდიდრისთვის სასუფეველში შესვლა... უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში" – მათე, 20, 23-24. – არამედ დაბარჯული ფრო და გაგეული შრომა: „მარგალიტი არვის მიუხედეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად" – 161)

... აქ, ვფიქრობ, კიდევ ერთი საკითხი უნდა დაზუსტდეს და, კერძოდ, აი რა:

ბავშვიც კი მიხვდება – მარგალიტები, „რუსთველის" ეპოქაშივე, მილიონობით თუ არა, ალბათ, ასეულ ათასობით მაინც მოიპოვებოდა, ჭეშმარიტი სიბრძნე, ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი მოძღვრება – ანუ, უბრალოდ, უზენაესი ჭეშმარიტება კი ერთადერთი შეიძლება იყოს მხოლოდ!

და – როგორ ებმის ერთიმეორეს ეს ორი გარემოება?

პასუხი: ძალზე მარტივად!

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ყოველი მცოდნე იოლად გაიხსენებს, რომ თუკი თავიდან მისი ავტორი არაკონკრეტებს მარგალიტების ზომა-ნონა – რაოდენობას – სხვათა შორის, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ სიტყვას აშკარად სუფიური ტექნიკური ტერმინის დაბეჭირთვა აქვს, მაგალითად სტრ. 83: „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა", სტრ. 707: „ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულქმნა მისი სანადელი" — პოემის ფინალურ ნაწილში ეჯაჭვის ციხის ალების შემდგომ ეპიზოდებში იგი საკმაოდ აშკარად, დემონსტრატიულადაც კიხაზს უსვამს რაოდენობრივ მახასიათებელს:

ა. „იგი ტაბაკი სავსე მარგალიტითა
სხვილითა" 1461

ბ. „კელა მარგალიტი ამსაი, მართ
ვითა კეკრცხი ტრედისა" 1553

გ. „ცხრა მარგალიტი სიდიდით,
მართ ვითა კეკრცხი ბაბისა" 1459

დ. „ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი
მარგალიტი თავმოდგმული" 1554

ე. „ჩნდის მარგალიტი ოდენი
ბურთისა საბურთალისა" 1361

და, ბოლოს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: „უპირველეს ყოვლისა!"):

ვ/ „ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ოგოლი,
ხელისხელსაგოგმანები,
ეპოვე და ლექსად გარდავთქვი – სამე
ვქენ საჭოჭმანები!"

ვფიქრობ, დიდი ახსნა-განმარტება აღარაა საჭირო: ჭეშმარიტი სიბრძნის, ჭეშმარიტი ცოდნის, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო – სწორედ ეს „ხელიხელსაგოგმანები" „ოგოლი მარგალიტია", ანუ ისეთი მარგალიტი, რომლის ბადალი – ტოლი და სწორი მეორე – არსად მოიპოვება (ამიტომაცაა იგი ოგოლი)!

... ხოლო სხვა „მარგალიტები" კი (დალმავალი ხაზით „ოდენი ბურთისა საბურთალისა", „სიდიდითა მართ ვითა კეკრცხი ბატისა", „მართ ვითა კეკრცხი ტრედისა", „მარგალიტი სხვილი", უბრალოდ, „მარგალიტი" (ან „მარგალიტნი") – ჩვეულებრივი „ცოდნის მარგალიტებია", ანუ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის (რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე!) „ჭეშმარიტებათა" შემცველი „საიდუმლოებებია", რომელთა გაგდობა ხდება „ზნის" სხვადასხვა ეტაპზე, როგორც მაძიებლის (მოწაფის, შეგირდის, მიურიდის), ისე მასწავლებლის (მოძღვრის, ოსტატის, მურშიდის) ცოდნა-კვალიფიკაციის შესაბამისად...

კიდევ ერთი რამ: ნებისმიერი ცოდნა – თავისსავად დიდი ძალაა, მძლავრი იარაღია მის ხელში, ვინც მას ფლობს. მით უმეტეს – ჭეშმარიტი სიბრძნე, უზენაესი ჭეშმარიტება – „ოგოლი მარგალიტი"! ეს დიდი სიკეთე აუცილებლად, ასევე, დიდ ბოროტებად იქცევა ჯკეთურთა ხელში! ამიტომაც გვმოძღვრავს ბიჭთან ურთიერთობას: ასწავლიდა მას მათემატიკის საფუძვლებს, ფილოსოფოსს (ალბათ, გასაგებია, თუ რა „ფილოსოფოსს"! – „იდ."), ხატვას... და ვინმის შემოქმედების მკელევარები აღნიშნავენ მის ინტერესს ადამოსავლური კულტურის მიმართ, აგრეთვე ადამოსავლური მოტივების არსებობას მის მხატვრულ და მუსიკალურ შედევრებში...

მიმაჩნია, რომ ეს აღმოჩენა, უდავოდ, მხარს უმაგრებს ჩემს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ყოველ შემთხვევაში, მის მეცნიერულ ასაქმეს მაინც...

ჭეშმარტად, „არენ უწყიან გზანი უფლისანი"!

*** თარგმანი – აქაც, და ყველგან სხვაგანაც, მაბალი თოდუასი.**

# „მარგალიტი"

## -სუფიური ვერსია-

# „მწუხარე სახის რაინდი"

*„... იმ ბრძენმა, ვისაც ბედი ჩემთა ღვაწლთა აღწერას არგუნებს, საჭიროდ დაინახა, უნინდელ დროთა რაინდების მსგავსად, ჩემთვის რაიმე მეტსახელი მოეცა – როგორც, მაგალითად, ერთს ერქვა: მგზნებარე მახეილის რაინდი, მეორეს – მარტრფისა, მესამეს – ქალწულთა რაინდი, სხვებს კიდევ – ფენიქსისა, ფასკუნჯისა, ზოგს – ბიკეფალისა და სხვა...*

*ამ მეტსახელებით არიან ცნობილი ისინი მთელს ქვეყანაზე!*

*ამიტომაც ვფიქრობ, სანჩო, რომ ჩემმა მოშავალმა ისტორიკოსმა ჩაგაგონა, ეგ მეტსახელი – მწუხარე სახის რაინდი – გეწოდებინა ჩემთვის!*

*და მეც, ამიერიდან, ამ სახელს ვირქმევ...*"

სპრპანტაქის, „ დონ კიხოტი"

...ახლა ისევ იქ მიბერწუნდეთ – „წყლისა პირსა", სადაც პირველად შევავლეთ თვალი ჩვენს გმირს – „ტარიელს"!

დიახ, მხოლოდ „თვალი შევავლეთ", რადგან ეს ეერთი „თვალის შევლებაც" კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა უამრავი კითხვა გაგვჩენოდა.

კრძოდ, გასარკვევი აღმოჩნდა, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს – რა თქმა უნდა, სუფიზმის პოზიციებიდან! – „უცხო მოყმე ვიმეცეს" ამ ატრიბუტიკას, რომელზედაც ასეხაზგასმითა და საგანგებო მიგვანიშნებს ავტორი: „შეპ ცხენს" – რომელიც „სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა" /№083/, „მარბალიტს" – რომელიც „ხშირად ესხა... ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა" /№083/, „ვეფხის ტყავს" – რადგან „მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა, /ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა" /№084/ და მის „მაშარახს", რომელიც „ნაჭედი" და „უხხოსი მკლავისა" ყოფილა! და – რა გავარკვევთ?

ა/ „ტარიელი" – სუფიაა /„ვეფხვი" – სუფიზმი ს, სუფიური მოძღვრების სიმბოლოა, შესაბამისად: ვეფხვის ტყავის მატარებელი, ვეფხვის ტყავით მოსილი ადამიანი, ანუ „ვეფხისტყაოსანი" – სუფიური მოძღვრების მიმდევარი, სუფიზმის ადეპტი, ანუ – სუფიაა! მაგრამ! სუფიაც არის და – სუფიაც...

ბ/ „მ დ რ ო ს ა თ ვ ი ს, რ ო დ ე ს ა ც ჩ ვ ე ნ მ ა ს პ ი რ ვ ე ლ ა დ „ ვ ხ ვ დ ე ბ ი თ ", ი გ ი – „ ჯ ერ კ ი დ ე ვ ! – ფ ლ ო ბ ი ს ", ანუ მ ო ხ ე ტ ი ა ლ ი სუ ფ ი ა /სპარს., თურქ. „დარვიშ", არაბ. „ფაკირ" – ღარიბ-ღატაკი, მთიბოვარი, უპოვარი. – „ისლამი", ენციკლოპედიური ცნობარი, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 1999. / თუმცა, უკვე სუფიური ბ ზ ი ს /„ტარიკა სუფიაა"/ ამ ეტაპის – „ყარიბობის ეტაპის" – უკანასკნელ მონაკვეთზე – ს ი ბ რ ძ ნ ი ს მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე – გასული /სიმბოლო: „ბაპი ცხენი"; „ყარიბობის ეტაპს" მ ა ძ ი ე ბ ელ ი „ თეთრ ცხენზე ამხედრებული" ნნყებს.../: იგი ეპსოლუტურად ფლობს სპაუშარ „მე"-ს – მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს თავის ენებებსა და ემოციებს /სიმბოლო: „მაშარახი"/ და სუფიური მოძღვრების ა რ ა ე რ თ ს ა ე ი ფ ლ ე ბ ს ( ნ ა ზ ჩიარეი ი / სიმბოლო: „მარბალიტი", რომელიც „ხ შ ი რ ა დ ეხხა"/.

...მათ, ვინც გ უ ლ ი ს ყ ო ნ ი თ ეცნობოდა ჩვენს წინა „ხაუბრებს", ვფიქრობ, არ გაუჭირდებათ იმის მიხვედრა, თუ, რაღა მაინდამაინც „წყლისა პირსა" „ჯდა მტერალი" მოყმე, ან კიდევ – რა „ატირებდა" ადამიანს, რომელიც, როგორც უკვე ეთქვით, მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს საკუთარ ენებებსა და ემოციებს /.../?!/: ადრე, როგორღაც, უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ „წ ყ ა ლ ი" ს ა ზ ო გ ა დ ო ( / „ ო კ ე ა ნ ე ", „ ზ ღ ვ ა ", „ ტ ბ ა"... / – ცხოვრებაა, წუთისოფელი; „მიმდინარე წყალი", „წყლის დინება", ე.ი. „ მ დ ი ნ ა რ ე" კი, შესაბამისად, წუთისოფლის მდინარეებს აღნიშნავს, ანუ, უბრალოდ, დრო-ს! რაც შეეხება „ტირილს", „ცრემლთა ღვრას" – იგი უ ზ ნ ა ვ ი ს ს გ ა მ ძ ა ფ რ ე ბ ულ მ ი ს ტ ი ურ ნ ე დ ო ( ( (